



რელიგიური ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების პოლიტიკა 2014-2015 წლების პრაქტიკის ანალიზი



თელავის რაიონის და გარეუბნების განვითარების ინსტიტუტი

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

EMC

Human Rights Education and Monitoring Center

რელიგიური ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების პოლიტიკა

2014-2015 წლების პრაქტიკის ანალიზი

კვლევის ავტორები:

ეთერ გვრიტიშვილი

ეკა ჭითანავა

თამთა მიქელაძე

მარიამ კვარაცხელია

დამკაბადონებელი:

თორნიკე ლორთქიფანიძე

სარჩევი

შესავალი	5
კვლევის მეთოდოლოგია	6
1. კვლევის ძირითადი მიგნებები.....	7
2. რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების არსებული მოდელების მიმოხილვა	12
2.1. საქართველოს საპატრიარქოსა და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საბიუჯეტო დაფინანსების წესის, მასშტაბისა და მიზნობრიობის მიმოხილვა	12
2.2. ოთხი რელიგიური თემის დაფინანსების წესის, მასშტაბისა და მიზნობრიობის მიმოხილვა...	15
3. 2014-2015 წლებში სარეზერვო ფონდებიდან, საქართველოს მთავრობისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიერ რელიგიური გაერთიანებების დაფინანსებისა და მატერიალური მხარდაჭერის სხვა პრაქტიკის მიმოხილვა	19
3.1. 2014-2015 წლებში პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გამოყოფილი თანხების ოდენობისა და მიზნობრიობის ანალიზი	20
3.2. საქართველოს მთავრობის მიერ რელიგიური ორგანიზაციებისთვის გადაცემული მატერიალური სიკეთეები და დაფინანსება სარეზერვო ფონდიდან.....	22
3.2.1 2014-2015 წლებში საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს საპატრიარქოსა და მისი დაფუძნებული ორგანიზაციებისთვის გამოყოფილი ფინანსური სახსრები	23
3.2.2 2014-2015 წლებში საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს საპატრიარქოსთვის გადაცემული სხვადასხვა მატერიალური სიკეთე	24
3.2.3 2014-2015 წლებში საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სხვა რელიგიური ორგანიზაციებისთვის გამოყოფილი ფინანსური დახმარება..	25
3.3. 2014-2015 წლებში რელიგიური ორგანიზაციებისთვის მთავრობის მიერ გადაცემული უძრავი ქონების მიმოხილვა	26
3.3.1. 2014-2015 წლებში საქართველოს საპატრიარქოსთვის საკუთრებასა და სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონება	26
3.3.2. 2014-2015 წლებში სხვა რელიგიური ორგანიზაციებისთვის სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონება	28
3.4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ რელიგიური ორგანიზაციებისთვის 2014-2015 წლებში გადაცემული ქონება	30
4. რელიგიური ორგანიზაციების მუნიციპალური დაფინანსება	31
4.1. რელიგიური ორგანიზაციების მუნიციპალური დაფინანსების ზოგადი მიმოხილვა	31
4.1.1. მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ანალიზი	32
4.1.2. შეუსაბამოებები საბიუჯეტო დადგენილებებსა და საჯარო ინფორმაციის სახით გამოთხოვილ დოკუმენტებში მოცემულ ინფორმაციას შორის	33
4.1.3. თანხის მიმღები სუბიექტები.....	34

4.2. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მუნიციპალური დაფინანსება 2014-2015	36
4.2.1. ზოგადი მიმოხილვა	36
4.2.2. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია - დაფინანსების მიზნობრივი კატეგორიები (მუნიციპალიტეტები)	38
4.2.3. მართლმადიდებელი ეკლესიის მუნიციპალური დაფინანსების დინამიკა 2012-2015	44
4.3. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მუნიციპალური დაფინანსება თბილისში	45
4.3.1. ზოგადი მიმოხილვა	45
4.3.2. თბილისში საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსების მიზნობრივი კატეგორიები	47
4.4. სხვა რელიგიური გაერთიანებების მუნიციპალური დაფინანსება.....	49
4.5. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის მუნიციპალიტეტების მიერ გადაცემული უძრავი ქონება	52
4.6. თბილისში საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გადაცემული უძრავი და მოძრავი ქონება.....	55
4.7. ქონებისა და სხვა მატერიალური სიკეთეების განკარგვის მონიტორინგის საკითხი....	56
4.8. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს როლი მუნიციპალური დაფინანსების პოლიტიკაში	57
5. რელიგიური ორგანიზაციების საკუთრებასა და სარგებლობაში რეგისტრირებული უძრავი ქონება.....	58
5.1. საქართველოს საპატრიარქოს საკუთრებასა და სარგებლობაში რეგისტრირებული უძრავი ქონება	59
5.2. სხვა რელიგიური ორგანიზაციების საკუთრებასა და სარგებლობაში რეგისტრირებული უძრავი ნივთები	63
6. რელიგიური ორგანიზაციების გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება სახელმწიფოს დაფინანსების ფარგლებში	64
6.1. მოქმედი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ჩარჩოს მიმოხილვა	64
6.2. სახელმწიფოს წვდომა საქართველოს საპატრიარქოსთვის გადაცემულ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვასთან	67
6.3. სახელმწიფოს წვდომა ოთხი რელიგიური თემისთვის გადაცემული სახსრების ხარჯვასთან	68
7. რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების არსებული მოდელის სამართლებრივი შეფასება	70
7.1. მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსების პრაქტიკის სამართლებრივი შეფასება	70
7.2. ოთხი რელიგიური გაერთიანების დაფინანსების პრაქტიკის სამართლებრივი შეფასება.....	72
7.3. დაფინანსების მოდელის შემაჯამებელი შეფასება.....	75
7.4. სეკულარიზმის სამართლებრივი პრინციპის მიმოხილვა	76

შესავალი

„ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრისა“ (EMC) და „ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის“ (TDI) ერთობლივი კვლევის მიზანია, სახელმწიფოს მიერ რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების არსებული პრაქტიკის მიმოხილვა, მათი სამართლებრივი შეფასება და მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებთან დაფინანსების პრაქტიკის შესაძლო კავშირის გამოვლენა. ორგანიზაციებმა 2014 წელსაც გამოაქვეყნეს მსგავსი კვლევა, რომელიც 2012-2013 წლებში რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების პოლიტიკის ანალიზს მოიცავდა.

წინამდებარე კვლევა შეისწავლის, 2014-2015 წლებში, სახელმწიფოს ბიუჯეტიდან, პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტიდან რელიგიური გაერთიანებებისთვის გადაცემული ფინანსური რესურსებისა და სხვა მატერიალური ქონების მასშტაბსა და მიზნობრიობას.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ სახელმწიფოსგან დაფინანსების ძირითად ნაწილს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია (შემდგომში „მართლმადიდებელი ეკლესია“) და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირები იღებენ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმების პირობების მიუხედავად, მართლმადიდებელი ეკლესია სახელმწიფოსგან დაფინანსებას იღებს არა ზიანის ანაზღაურების წესით, არამედ პირდაპირი დაფინანსების წესით, რაც წინააღმდეგობაში მოდის სეკულარიზმის კონსტიტუციურ პრინციპთან და ქმნის სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დაუშვებელი აფილაციის რისკებს.

სახელმწიფოს მიერ მართლმადიდებელი ეკლესიის მატერიალური მხარდაჭერა მასშტაბურია და ბიუჯეტიდან დოტაციის წესით მიღებული პირდაპირი დაფინანსების გარდა, მოიცავს სარეზერვო ფონდებიდან და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტიდან თანხებისა და საკმაოდ დიდი ოდენობის უძრავ-მოძრავი ქონების გადაცემას.

მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გამოყოფილი მატერიალური სიკეთის ძირითადი ნაწილი რელიგიური საქმიანობის განხორციელებას ხმარდება და არღვევს სახელმწიფოს რელიგიური ნეიტრალიტეტის მოთხოვნას. დაფინანსების პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ სახელმწიფო, როგორც წესი, არ ამოწმებს საქართველოს საპატრიარქოსთვის უძრავი და მოძრავი ქონების, თუ ფინანსური სახსრების გადაცემის საჭიროებას და შემდგომში ამ სახსრების გამოყენების მიზნობრიობას.

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გარდა, 2014 წელს, საქართველოს მთავრობამ დაიწყო კიდევ ოთხი სხვა რელიგიური თემის, კერძოდ, ისლამური, იუდეური, რომაულ-კათოლიკური და სომხური სამოციქულო აღმსარებლობის

მქონე რელიგიური გაერთიანებების დაფინანსება. ფორმალურად, სახელმწიფო უთითებს, რომ აღნიშნული დაფინანსება საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს, რელიგიური გაერთიანებებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით ხორციელდება, თუმცა, ფაქტობრივად, მართლმადიდებელი ეკლესიის მსგავსად, პირდაპირი დაფინანსების სისტემით მუშაობს. აღნიშნული რელიგიური ორგანიზაციების მიერ მიღებული საბიუჯეტო სახსრების ოდენობა, მართლმადიდებელ ეკლესიასთან შედარებით, რადიკალურად მცირეა. ამასთან, მართლმადიდებელი ეკლესიისგან განსხვავებით, სახელმწიფო აღნიშნული რელიგიური გაერთიანებებისთვის გაცემული ფინანსების მიზნობრიობასა და ხარჯვას დეტალურად აკონტროლებს.

კვლევის მეთოდოლოგია

სახელმწიფოს მხრიდან რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების შესწავლის მიზნით, ორგანიზაციის მკვლევრებმა საჯარო ინფორმაცია გამოითხოვეს საქართველოს პრეზიდენტის აპარატის, საქართველოს მთავრობის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, ფინანსთა სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან. 2014 წლის საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მოთხოვნა გაეგზავნა 73 მუნიციპალიტეტს, 2015 წელს კი 74 მუნიციპალიტეტს, მათ შორის, თბილისის რაიონულ გამგეობებსა და თბილისის მერიას.¹ კვლევის პერიოდი მოიცავდა 2014 და 2015 წლებს.

აღნიშნული უწყებებიდან საჯარო ინფორმაციის სახით მიღებულ დოკუმენტებთან ერთად, კვლევის პროცესში დამუშავდა და გაანალიზდა საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული აქტები. მათ შორის, მუნიციპალიტეტების საკრებულოების საბიუჯეტო დადგენილებები, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები და საჯარო რეესტრის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული რელიგიურ ორგანიზაციათა უძრავი ქონების მონაცემები და სხვა საკანონმდებლო აქტები, რომლებიც რელიგიური ორგანიზაციებისთვის განკუთვნილ სპეციალურ რეგულაციებს ითვალისწინებს.

კვლევის ფარგლებში, ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტებისა და სხვა ქვეყნების პრაქტიკის შუქზე, გაანალიზდა ის საკანონმდებლო აქტები, რომლებიც რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსებისა და სხვადასხვა ტიპის ბენეფიტების საკითხს აწესრიგებს.

¹ შენიშვნა: 2014 წელს, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია არ გამოუგზავნია ქალაქ მცხეთის მერიასა და ცაგერის მუნიციპალიტეტს, 2015 წელს, წერილს ყველა მუნიციპალიტეტმა გასცა პასუხი.

1. კვლევის ძირითადი მიგნებები

დაფინანსების ზოგადი სურათი


• წინა წლების მსგავსად საკვლევ პერიოდში სახელმწიფო აგრძელებდა მართლმადიდებელი ეკლესიის პირდაპირ საბიუჯეტო დაფინანსებას. ამასთან, ეკლესიისთვის კვლავ რეგულარულად ხორციელდებოდა ფინანსური რესურსების, უძრავი ქონებისა და სხვა მატერიალური სიკეთეების გადაცემა სარეზერვო ფონდებიდან და სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი-მოძრავი ქონების რესურსიდან;

• 2014-2015 წლებში რელიგიური ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსება ჯამურად 68 292 963 ლარს უტოლდება. რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ წინა წლების მსგავსად, სახელმწიფოს მიერ რელიგიური ორგანიზაციებისთვის გადაცემული თანხების ყველაზე დიდი ნაწილი მართლმადიდებელ ეკლესიას გადაეცემა;

• 2014-2015 წლებში მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გადაცემული თანხის ჯამური ოდენობა 63 173 299 ლარს შეადგენს, საიდანაც თანხის ყველაზე დიდი ნაწილის გადაცემა ორივე წელს ცენტრალური სახელმწიფო ბიუჯეტიდან განხორციელდა;

დიაგრამა #1


საერთო დაფინანსება - საქართველოს საპატრიარქო და სხვა რელიგიური გაერთიანებები (2014-2015)




• 2014-2015 წლებში ცენტრალური სახელმწიფო ბიუჯეტიდან მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გადაცემული ჯამური 51 228 170.13 ლარიდან, თანხის ყველაზე დიდი ნაწილი მართლმადიდებელი ეკლესიის თანამშრომელთა ხელფასებს, პრემიებს, პენსიებსა და მსგავსი სახის მიზნობრიობას მოხმარდა, მეორე ნაწილი უძრავ-მოძრავი ნივთების შეძენასა და მათ მოვლა-პატრონობას, დარჩენილი თანხის გახარჯვა კი ძირითადად არაკლასიფიცირებული (სხვა დანარჩენი) დანიშნულებით განხორციელდა, შესაბამისად, აღნიშნული თანხების გახარჯვის მიზნობრიობის დადგენა შეუძლებელია;

დიაგრამა #2

მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გამოყოფილი ჯამური თანხა (2014)

**დიაგრამა #3**

მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გამოყოფილი ჯამური თანხა (2015)

**პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი**

• წინა წლებისგან განსხვავებით რადიკალურად მცირდება მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსება პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან რაც სავარაუდოდ, პრეზიდენტის ინსტიტუტის როლის კონსტიტუციურ ცვლილებას უკავშირდება. 2014 წელს საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან მართლმადიდებელ ეკლესიას ჯამში 108 000 ლარი გამოეყო, რომლის 91% სოციალურ პროექტს მოხმარდა. 2015 წელს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა არ განხორციელებულა;

მთავრობის სარეზერვო ფონდი

• აღსანიშნავია, რომ წინა წლებთან შედარებით მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ეკლესიისთვის გადაცემული თანხების ოდენობის მკვეთრი ზრდის ტენდენცია შეიმჩნევა. მაგალითისთვის, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მართლმადიდებელმა ეკლესიამ 2012 წელს 969 000 ლარი, 2013 წელს 270 000 ლარი, 2014 წელს 1 542 000 ლარი, 2015 წელს კი 1 590 000 ლარი მიიღო. 2014-2015 წლებში მართლმადიდებელ ეკლესიას საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ჯამში 3 132 000 ლარი გამოეყო, რომლის 100% რელიგიური საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსებას მოხმარდა, რაც თავის მხრივ რელიგიური განათლების განმახორციელებელი სუბიექტების ინსტიტუციურ გაძლიერებაზე უთითებს და არღვევს სეკულარული სახელმწიფოს პრინციპს;

მთავრობის მიერ უძრავი ქონების გადაცემის პრაქტიკა

• საკვლევ პერიოდში დაფიქსირდა მართლმადიდებელი ეკლესიისთვის სახელმწიფოს მიერ გადაცემული უძრავი ქონების მასშტაბის შესამჩნევი ზრდა. 2014-2015 წლებში ეკლესიამ სახელმწიფოსგან 48 ერთეული უძრავი ნივთი (საერთო ფართობი: 913 546,922 კვ.მ.), მუნიციპალიტეტებიდან კი 18 ერთეული უძრავი ნივთი (საერთო ფართობი: 65,837) მიიღო საკუთრებაში;

მართლმადიდებელი ეკლესიისთვის 2014 წელს გადაცემული უძრავი ქონება

	უძრავი ქონება	საერთო ფართობი
სახელმწიფოს საკუთრებიდან	27	345 454.83 კვ.მ
მუნიციპალიტეტის საკუთრებიდან	6	32, 642

მართლმადიდებელი ეკლესიისთვის 2015 წელს გადაცემული უძრავი ქონება

	უძრავი ქონება	საერთო ფართობი
სახელმწიფოს საკუთრებიდან	21	568 060 კვ.მ
მუნიციპალიტეტის საკუთრებიდან	12	33,195 კვ.მ.

• აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო არ ახდენს ეკლესიისთვის გადაცემული უძრავი ქონების ღირებულების შეფასებას და შესაბამისად, გადაცემული ქონების საბჭოთა პერიოდში მიყენებული ზიანის ანაზღაურების პროცესთან კავშირში დაანგარიშება შეუძლებელი ხდება. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გამოყოფილი მატერიალური სიკეთის ძირითადი ნაწილი რელიგიური საქმიანობის განხორციელებას ხმარდება და არღვევს სახელმწიფოს რელიგიური ნეიტრალიტეტის მოთხოვნას. სახელმწიფო, როგორც წესი, არ ამოწმებს საპატრიარქოსთვის უძრავი და მოძრავი ქონების, თუ ფინანსური სახსრების გადაცემის საჭიროებას და შემდგომში ამ სახსრების გამოყენების მიზნობრიობას;

- კვლევის ფარგლებში განხორციელდა საპატრიარქოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სრული მასშტაბის შესწავლა. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური მონაცემების თანახმად, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს საპატრიარქოს საკუთრებაში ფიქსირდება 565 მიწის ნაკვეთი, ჯამური ფართობით 16 742 987.82 კვ.მ. (1674.3 ჰა). აღსანიშნავია, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება 6-ჯერ აღემატება თვითმართველი ქალაქი მცხეთის მთლიან ფართობს;
- კვლევის შედეგად გამოჩნდა, რომ მართლმადიდებელი ეკლესია ზოგიერთ შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ მისთვის საკუთრებაში გადაცემული რამდენიმე უძრავ ნივთს მოგების მიღების მიზნით იჯარით გასცემს;

მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსების პოლიტიკური კონტექსტი

- წინა ხელისუფლების პირობებში დაფინანსების კვლევის შედეგები აჩვენებდა, რომ ბიუჯეტიდან და სარეზერვო ფონდებიდან დაფინანსების რადიკალური ზრდა წინასაარჩევნო პერიოდსა და პოლიტიკურ კრიზისებს ემთხვეოდა. ახალი ხელისუფლების პირობებში მსგავსი პირდაპირი კორელაციების პოვნა რთულია. თუმცა, იმ პირობებში, როდესაც დაფინანსების პოლიტიკა ხელისუფლებას არსებითად არ შეუცვლია, სახელმწიფოს აფილაციები და ლოიალობა ეკლესიას მიმართ კი კიდევ უფრო ღიად გამოჩნდა პოლიტიკურ ცხოვრებასა და ინსტიტუციურ დონეებზე, ეს გარემოება სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არასეკულარული მიმართებების გაღრმავებაზე უნდა უთითებდეს;

სხვა ოთხი რელიგიური ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების პრაქტიკა

- 2014 წლიდან სახელმწიფომ დაიწყო ოთხი რელიგიური გაერთიანების (ისლამური, იუდეური, რომაულ-კათოლიკური და სომხური სამოციქულო აღმსარებლობის მქონე რელიგიური გაერთიანებების) დაფინანსება საბჭოთა პერიოდში მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველით. 2014 წელს აღნიშნული გაერთიანებებისთვის გადაცემული თანხა მთლიანობაში 1 795 186 ლარს, 2015 წელს 3 324 478 ლარს შეადგენდა;
- ოთხი რელიგიური ორგანიზაციის დაფინანსების პრაქტიკა, მართლმადიდებელი ეკლესიის მსგავსად ასევე პირდაპირი დაფინანსების მოდელში ეფუძნება. შესაბამისი დადგენილება ასევე არ ითვალისწინებს ზიანის ოდენობის განსაზღვრის ობიექტურ, სამართლიან და ზიანთან დაკავშირებული კრიტერიუმებს. აღსანიშნავია, რომ ოთხი რელიგიური ორგანიზაციის დაფინანსების წესი დისკრიმინაციულია და ის გამორიცხავს სხვა რელიგიურ დენომინაციებს, რომლებსაც საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს ასევე მიაღდათ ზიანი. აღსანიშნავია, რომ მართლმადიდებელი ეკლესიისგან განსხვავებით, სახელმწიფო სრულად ახდენს ოთხი რელიგიური ორგანიზაციის დაფინანსების მიზნობრიობისა და ხარჯვის კონტროლს, რაც რელიგიური ორგანიზაციების ავტონომიაში ჩარევის შემაშფოთებლად მაღალ რისკებს შეიცავს;

მუნიციპალური დაფინანსების პრაქტიკები

- თვითმმართველი თემებისა და ქალაქების ბიუჯეტები ითვალისწინებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის, მის დაქვემდებარებაში არსებული ეპარქიებისა და ეკლესიების დაფინანსებას კონკრეტული პროგრამების მიხედვით. აღნიშნულ ქვეპროგრამებს სპეციალური დასახელება აქვს - „რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა“ შესაბამისი პროგრამული კოდებით;

- 2014 წელს, 40-მა მუნიციპალიტეტმა და თბილისის 10-მა რაიონულმა გამგეობამ, მართლმადიდებელ ეკლესიასა და მის დაქვემდებარებაში არსებული ეკლესიების, სასულიერო პირების, ეპარქიების თუ იურიდიული პირებისთვის გამოყო სულ 4,738,539 ლარი (რეგიონები - 2,967,578 ლარი, თბილისი - 1,770,961 ლარი). 2015 წელს, 48 მუნიციპალიტეტმა და თბილისის 10-მა რაიონულმა გამგეობამ საქართველოს საპატრიარქოს გადაურიცხა 3,966,590 ლარი (რეგიონები - 2,364,829 ლარი, თბილისი - 1,601,761 ლარი);

- 2012-2015 წლებში საპატრიარქოს მუნიციპალური დაფინანსების დინამიკა (მონაცემები არ მოიცავს თბილისში დაფინანსებას) აჩვენებს, რომ 2014 წელს 2013 წელთან შედარებით, დაფინანსება გაზრდილია 23%-ით, ხოლო 2012 წელთან შედარებით -54%-ით. აღსანიშნავია, რომ 2014 წელს, 2009 წლის შემდეგ დაფინანსების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა. 2015 წელს, მუნიციპალური დაფინანსების მაჩვენებელმა 2014 წელთან შედარებით 20%-ით იკლო, თუმცა, აღემატება 2012 წლის დაფინანსების მაჩვენებელს. რაც შეეხება თბილისს, 2014 წელს, 2013 წელთან შედარებით დაფინანსება თითქმის 20%-ით არის გაზრდილი;

- 2014 წელს რეგიონებში საქართველოს საპატრიარქოსთვის გამოყოფილი მუნიციპალური დაფინანსების თითქმის ნახევრის ხარჯვის მიზნობრიობა უცნობია. იმ ნაწილში, კი სადაც თანხის მიზნობრიობა ცნობილია, პროცენტულად ყველაზე დიდი თანხა ეკლესიების მშენებლობა/რესტავრაციასა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე იხარჯება, სოციალურ-საქველმოქმედო მომსახურებაზე კი, 1%-ზე ნაკლებია გამოყოფილი;

- 2014-2015 წლებში, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ რეგიონებში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გადაცემული მიწების საერთო ფართობი მკვეთრად აღემატება წინა წლებში გადაცემული ქონების მასშტაბს;

- ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მხრიდან სხვა რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსება უმნიშვნელოა;

- 74 მუნიციპალიტეტიდან და თბილისის 10 რაიონიდან თვითმმართველი ერთეულების მიერ თანხის მიზნობრივად ხარჯვის მონიტორინგი განხორციელდა მხოლოდ 9 შემთხვევაში. აქედან 3 შემთხვევაში, მხოლოდ ნაწილობრივ, რაც იმას ნიშნავს, რომ მონიტორინგი ჩატარდა არა მათ მიერ 2015 წელს თანხების ყველა გადარიცხვაზე, არამედ მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე.

2. რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების არსებული მოდელების მიმოხილვა

2.1. საქართველოს საპატრიარქოსა და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საბიუჯეტო დაფინანსების წესის, მასშტაბისა და მიზნობრიობის მიმოხილვა

2002 წელს, საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმების (შემდგომში კონსტიტუციური შეთანხმება) დადების შემდეგ, მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსება სხვადასხვა სახელმწიფო წყაროდან, მათ შორის, ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან, სარეზერვო ფონდებიდან ხორციელდება. დაფინანსების გარდა, მართლმადიდებელი ეკლესია, 2002 წლის შემდეგ, სახელმწიფო დაწესებულებებიდან საკუთრებაში იღებს სხვადასხვა სახის უძრავ, მოძრავ ნივთებსა და სხვა სარგებელს. ეკლესიის დაფინანსებაში ყველაზე დიდი წილი ცენტრალური ბიუჯეტიდან ყოველწლიურ ტრანსფერზე მოდის.

2002 წლიდან 2015 წლის ჩათვლით, საქართველოს საპატრიარქომ ცენტრალური სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჯამში 200 971 600 ლარი მიიღო. 2009 წლიდან 2013 წლამდე, ყოველწლიურად გამოყოფილი თანხები 22–დან 27 მილიონამდე მერყეობდა, ხოლო 2013 წლიდან, ქვეყნის მთავარი საფინანსო დოკუმენტი საპატრიარქოს დაფინანსებისათვის სტაბილურად 25 მილიონს ითვალისწინებს.

წელი	სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადაცემული თანხის ოდენობა
2002	857,600
2003	910,000
2004	1,640,000
2005	1,290,100
2006	4,803,300
2007	4,270,600
2008	12,933,400
2009	26,394,900
2010	25,680,000
2011	24,391,700
2012	22,800,000
2013	25,000,000
2014	25,000,000
2015	25,000,000
ჯამში	200,971,600

კონსტიტუციური შეთანხმების შესაბამისად, საქართველოს საპატრიარქოსთვის გადასაცემი თანხის ოდენობა საქართველოს პარლამენტის მიერ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომზადებული სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტით განისაზღვრება. შესაბამისად, საქართველოს საპატრიარქოსთვის ყოველი მომდევნო წლისთვის ბიუჯეტიდან გადასაცემი თანხის ოდენობა, საბიუჯეტო წლის დასასრულს, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული, მომავალი წლის ბიუჯეტის შესახებ კანონით წესრიგდება.

საბიუჯეტო თანხების დიდი ნაწილი საქართველოს საპატრიარქოს მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს გადაეცემა. თავად საპატრიარქო დაფინანსების მხოლოდ მცირე ნაწილს იღებს.

ბოლო წლების ბიუჯეტის კანონების ანალიზი ცხადყოფს, რომ მართლმადიდებელი ეკლესიისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული თანხების აღრესატთა უმეტესობას საპატრიარქოს მიერ დაფუძნებული საგანმანათლებლო დაწესებულებები წარმოადგენენ. ხოლო თანხის ხარჯვის მიზნობრიობად სასულიერო განათლების ხელშეწყობაა მითითებული. კერძოდ, ბიუჯეტის კანონის თანახმად, მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გადაცემული თანხა ხმარდება ახალგაზრდების ქრისტიანული ღირებულებებით აღზრდას საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (მათ შორის, მაღალმთიან რეგიონებში). ამ მიზნით, დაფინანსებას იღებს საპატრიარქოს 70-ზე მეტი საგანმანათლებლო-კულტურული და საქველმოქმედო ორგანიზაცია. მათ შორის, სასულიერო აკადემიები და სემინარიები, უნივერსიტეტი, სკოლა-გიმნაზიები, დედათა და ბავშვთა სახლები, ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონები, სმენადაქვეითებულ ბავშვთა რეაბილიტაციისა და ადაპტაციის ცენტრი, პროფესიული კოლეჯი და სახელობო სასწავლებლები. 2014-2015 წლებში, საქართველოს საპატრიარქომ და მისმა დაფუძნებულმა იურიდიულმა პირებმა „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ და „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონების საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსგან ჯამში 51 228 170.13 ლარი მიიღეს.

წელი	გეგმა	შესრულება
2014	25 000 000	25 630 860.48
2015	25 000 000	25 597 309.65
ჯამი	50 000 000	51 228 170.13

2014-2015 წლებში, ცენტრალური სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გადაცემული დაფინანსების ფარგლებში, დაფინანსება მიიღო საქართველოს საპატრიარქომ და მისმა დაფუძნებულმა 63-მა იურიდიულმა პირმა.

საბიუჯეტო დაფინანსების მიმღები 12 სუბიექტი განსაზღვრულია პირდაპირ სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით (იხ. დანართი #1), ხოლო საბიუჯეტო დაფინანსების მიმღებ დანარჩენ სუბიექტებს, სასულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტის ფარგლებში, განსაზღვრავს საქართველოს საპატრიარქო.

სასულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტის ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2014-2015 წლებში გამოყოფილი, დაახლოებით, 15 მილიონი ლარი საქართველოს საპატრიარქოსა და მის დაფუძნებულ 51 იურიდიულ პირზე განაწილდა. ამ იურიდიული პირების დიდი ნაწილი ზოგად საგანმანათლებლო და უმაღლეს საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს.

თავად საპატრიარქო ბიუჯეტიდან მხოლოდ თანხის მცირე ნაწილს იღებს. 2014 წელს, უშუალოდ საქართველოს საპატრიარქოს მიერ მიღებული თანხა 804 100 ლარს შეადგენდა, 2015 წელს კი 1 779 999.68 ლარს.

2014-2015 წლებში, საქართველოს საპატრიარქოსა და მისი იურიდიული პირებისთვის გადაცემული საბიუჯეტო სახსრების დიდი ნაწილი თანამშრომელთა ხელფასებს, პრემიებს, დანამატებსა და ჰონორარებს მოხმარდა (იხ. დანართი #2).


2014 წლის საბიუჯეტო ტრანსფერის მონაცემების თანახმად, 25 630 860.48 ლარიდან, მართლმადიდებელმა ეკლესიამ, მიღებული თანხის 62.23% (15 436 593.55 ლარი) ძირითადად, თანამშრომელთა ხელფასებს, პრემიებს, ჰონორარებსა და მსგავსი სახის მიზნობრიობას მოახმარა.

2015 წელსაც, მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გადაცემული საბიუჯეტო დაფინანსების დიდი ნაწილი, 25 597 309.65 ლარის 61.49% (15 739 214.15 ლარი) თანამშრომელთა ფინანსურ უზრუნველყოფაზე დაიხარჯა.

2014-2015 წელს, საბიუჯეტო ტრანსფერიდან მიღებული თანხის მეორე ძირითადი ნაწილი კი, უძრავ-მოძრავი ქონების შეძენასა და მათ შენახვასთან დაკავშირებულ ხარჯებს მოხმარდა. ორივე წელს, აღნიშნული თანხის ყველაზე დიდი ნაწილი, რამდენიმე მილიონი ლარი არასაცხოვრებელ შენობა-ნაგებობებს მოხმარდა.

დიაგრამა #4


ცენტრალური სახელმწიფო ბიუჯეტიდან მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გადაცემული თანხების მიზნობრიობა (2014)



- ხელფასები, ჰონორარები და ა.შ.
- უძრავ-მოძრავი ნივთების შეძენა-შენახვა
- სხვა მიზნობრიობა

დიაგრამა #5

ცენტრალური სახელმწიფო ბიუჯეტიდან მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გადაცემული თანხების მიზნობრიობა (2015)



- ხელფასები, ჰონორარები და ა.შ.
- უძრავ-მოძრავი ნივთების შეძენა-შენახვა
- სხვა მიზნობრიობა

დასახელება	შესრულება (ლარი) 2014 წ.	შესრულება (ლარი) 2015 წ.
საცხოვრებელი შენობები	169 365.00	136 958.40
არასაცხოვრებელი შენობები	3 092 924.33	2 618 655.67
სხვა შენობა-ნაგებობები	25 000.00	60 000.00
მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილი	53 035.00	0
მსუბუქი ავტომობილი	4 318.00	0
ტრაქტორები, კომბაინები და სხვა სასოფლო-სა- მეურნეო ტექნიკა	2 000.00	0
სხვა სატრანსპორტო საშუალებები	103 626.00	46 535.00
ტელევიზორი	1 994.99	3 903.00
მაცივარი	6 695.04	6 962.00
კომპიუტერი	18 573.30	15 616.99
პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები	8 589.99	3 380
ფოტოაპარატი	763.2	2550
ვიდეო-აუდიო აპარატურა	4 000.00	9 497.00
მუსიკალური ინსტრუმენტები	3 000.00	9 440.00
ავეჯი	13 642.00	38 784.00
რბილი ავეჯი	1 820.00	1 887.00
სპორტული საქონელი	13 991.00	0
ოპტიკური ხელსაწყო	0.00	2 445.00
ნახატი, ქანდაკება, ხელოვნების სხვა ნიმუშები, ანტიკ- ვარიანი და ძვირადღირებული კოლექციები	39 700.00	1 370.00
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომე- ლიც არ არის კლასიფიცირებული	123 656.72	47 552.57
სხვა ძირითადი აქტივები	9 006.21	17 500.00
ჯამი	3 695 700.78 (2014 წელს გაცემული მთლიანი თანხის 14.44%)	2 886 078.23 (2015 წელს გაცე- მული მთლიანი თანხის 11.28%)

ორივე წელს, თანხის დარჩენილი ნაწილი საპატრიარქოს და მის დაქვემდებარებაში არსებული იურიდიული პირების მიერ, არაკლასიფიცირებული (სხვა დანარჩენი) დანიშნულებით გაიხარჯა. შესაბამისად, აღნიშნული თანხების გახარჯვის მიზნობრიობის დადგენა შეუძლებელია.

2.2. ოთხი რელიგიური თემის დაფინანსების წესის, მასშტაბისა და მიზნობრიობის მიმოხილვა

2014 წლის 27 იანვარს, საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება „საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული, ზოგიერთი ღონისძი-

ების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“.² დადგენილების თანახმად, საქართველოს მთავრობა აღიარებს საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებულ ზიანს. განსახილველ პერიოდში საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი ვალდებულების არარსებობის მიუხედავად, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე, მთავრობამ გამოაცხადა მზადყოფნა 2014 წლის 27 იანვრამდე საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებული ისლამური, იუდეური, რომაულ-კათოლიკური და სომხური სამოციქულო აღმსარებლობის მქონე რელიგიური გაერთიანებებისთვის ანაზღაურებინა მატერიალური და მორალური ზიანი.

იმის მიუხედავად, რომ საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს, მასშტაბური ზიანი ასევე მიადგა საქართველოში არსებულ სხვა რელიგიურ ორგანიზაციებს (იეზიდები, თემი, ლუთერული ეკლესია, სახარების რწმენის ეკლესია, ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია, სხვა პროტესტანტული დენომინაციები და ა.შ.), სახელმწიფოს მიერ კომპენსაციის მიმღები რელიგიური ორგანიზაციების (თემების) შერჩევა წინასწარ დადგენილი, ობიექტური კრიტერიუმების შეფასებისა და კვლევის გარეშე განხორციელდა.³ ოთხი რელიგიური გაერთიანების შერჩევის კრიტერიუმები ბუნდოვანი იყო თავად რელიგიური ორგანიზაციებისთვისაც.⁴

საქართველოს მთავრობის დადგენილების თანახმად, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში რეგისტრირებულ რელიგიურ გაერთიანებებს არ აქვთ სამართლებრივი კავშირი საბჭოთა რეჟიმის დროს დაზარალებულ რელიგიურ გაერთიანებებსა და თემებთან, საქართველოს მთავრობა ზიანს აუნაზღაურებს იმ რელიგიურ გაერთიანებას, რომელიც აღიარებს იმავე რელიგიურ მოძღვრებას და/ან მას აქვს აღმსარებლობითი მემკვიდრეობა დაზარალებული რელიგიური გაერთიანებებისაგან.⁵

დადგენილების შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ რელიგიური თემი წარმოდგენილია რამდენიმე საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ, მათ მოეთხოვებათ ერთ იურიდიულ პირად გაერთიანება ან წარმომადგენლობითი საბჭოს შექმნა, რომელშიც შევა ერთი და იმავე აღმსარებლობის ყველა რელიგიური გაერთიანების წარმომადგენელი. იგი იქნება უფლებამოსილი, აწარმოოს ურთიერთობა სახელმწიფო ორგანოებთან თავისი აღმსარებ-

2 „საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების წესის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის N117 დადგენილება

3 შენიშვნა: აღსანიშნავია, რომ სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარემ ზაზა ვაშაყმაძემ, 2016 წელს, სააგენტოს 2015 წლის საქმიანობის ანგარიშის პრეზენტაციაზე განაცხადა, რომ 2016 წლის ბოლომდე, სავარაუდოდ, შესაბამისი ცვლილება შევიდოდა მთავრობის N117 დადგენილებაში და საბჭოთა პერიოდში მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოხდებოდა დამატებით კიდევ ერთი ან ორი რელიგიური ორგანიზაციისთვის. თუმცა მან არ დააზუსტა ის კრიტერიუმები, რის საფუძველზეც მოხდება კონკრეტული ორგანიზაციების შერჩევა.


4 საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში „აღამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში 2014 წელი“ გვ. 327. ხელმისაწვდომია <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3509.pdf>

5 „საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების წესის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის N117 დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი;

ლობის სახელით, მიიღოს ანაზღაურება და იყოს სოლიდარულად პასუხისმგებელი მიღებული თანხის მიზნობრივად ხარჯვაზე.⁶

საქართველოს მთავრობის N117-ე დადგენილების საფუძველზე, 2014-2015 წლებში, დაფინანსება ჯამში შევიდმა რელიგიურმა ორგანიზაციამ მიიღო. დაფინანსების მიღების მიზნით, ორმა რელიგიურმა თემმა (კათოლიკე და მუსლიმი თემები) წარმომადგენლობითი საბჭოები შექმნა.

საქართველოს მთავრობის N117-ე დადგენილების ფარგლებში, დაფინანსებას იღებენ შემდეგი ორგანიზაციები:



6 „საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების წესის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის N117 დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი


2014 წელს, საქართველოს მთავრობის N117-ე დადგენილების საფუძველზე, ოთხი რელიგიური გაერთიანებისთვის ზარალის ანაზღაურების ფარგლებში გასაცემი თანხა საქართველოს მთავრობის სარგებრეო ფონდიდან გამოიყო⁷, ვინაიდან „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი უკვე მიღებული იყო. ოთხი რელიგიური თემისთვის, საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის ფარგლებში მიყენებული ზიანის კომპენსაციის მიზნით გადასაცემი თანხა 2014 წელს 1 750 000 ლარით განისაზღვრა. 2015 წელს აღნიშნული თანხა სახელმწიფო ბიუჯეტიდან სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს გადაეცა 4 200 000 ლარის ოდენობით.

2014 წელს, საქართველოს მუსლიმი თემისთვის გადარიცხული თანხა შეადგენდა 1 100 000 ლარს, იუდეური თემისთვის – 150 000 ლარს, რომაულ-კათოლიკური თემისთვის 200 000 ლარს, ხოლო სომეხთა სამოციქულო ქრისტიანული თემისთვის 300 000 ლარს.

2015 წელს დადგენილებით ოთხი რელიგიური ორგანიზაციისთვის გადაცემული თანხები გაორმაგდა და 3 300 000 ლარი შეადგინა. აღნიშნული თანხა ორგანიზაციების შორის შემდეგი პროპორციით განაწილდა: მუსლიმი თემი - 2 000 000 ლარი, იუდეური თემი - 300 000 ლარი, რომაულ-კათოლიკური თემი - 400 000 ლარი, სომეხთა სამოციქულო ქრისტიანული თემი - 600 000 ლარი.

დიაგრამა #6

ოთხი რელიგიური თემისთვის გადაცემული თანხა (2014-2015)



7 საქართველოს მთავრობის განკარგულება N1942. 30.10.2014

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს (შემდგომში სააგენტო) პოზიციის თანახმად, ორივე წელს რელიგიური გაერთიანებებისთვის გასანაწილებელი თანხის განსაზღვრის დროს, გათვალისწინებული იყო ისეთი ობიექტური მონაცემები, როგორიცაა: მრევლის, სასულიერო პირების რაოდენობა; ასევე, საკულტო შენობა-ნაგებობების რაოდენობა და მათი დღევანდელი მდგომარეობა, მიმდინარე საჭიროებები და ა.შ.

თანხების გადაცემის მიზნით, სააგენტომ რელიგიურ ორგანიზაციებთან საბჭოთა ტოტალური რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივი ანაზღაურების შესახებ ხელშეკრულებები გააფორმა, რომლის თანახმადაც, რელიგიურ გაერთიანებებს დაეკისრათ ვალდებულება, მათთვის კომპენსაციის სახით გადაცემული თანხები დაეხარჯათ შემდეგი მიზნობრიობით:

- ღვთისმსახურთა სახელფასო და რელიგიური საქმიანობის განხორციელების ანაზღაურება;
- საკულტო და რელიგიური შენობა-ნაგებობების რესტავრაცია და მოვლა-პატრონობა;
- რელიგიური საგანმანათლებლო საქმიანობა;
- რელიგიური გაერთიანების მიმდინარე საყოფაცხოვრებო ხარჯები;
- კულტურული და საქველმოქმედო საქმიანობა;

სააგენტოს მიერ, 2014 წელს, მუსლიმ თემთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, მუსლიმი თემი ვალდებული იყო 2014 წელს მიღებული თანხის 75% დაეხარჯა ღვთისმსახურთა სახელფასო და რელიგიური საქმიანობის განხორციელების ანაზღაურებაზე, ხოლო მიღებული თანხის დარჩენილი 25% ხელშეკრულებით განსაზღვრულ სხვა მიზნობრიობაზე.

აღსანიშნავია, რომ 2014 წელს, სააგენტოს მიერ რელიგიურ თემებთან დადებული ხელშეკრულებების ბლანკეტური ხასიათის მიუხედავად, მითითებული პირობა მხოლოდ მუსლიმ თემთან დადებულ ხელშეკრულებაში გვხვდება. 2015 წელს, მუსლიმ თემთან სააგენტოს მიერ დადებულ ხელშეკრულებაში ეს პირობა აღარ არის.

3. 2014-2015 წლებში სარემბერვო ფონდებიდან, საქართველოს მთავრობისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიერ რელიგიური გაერთიანებების დაფინანსებისა და მატერიალური მხარდაჭერის სხვა პრაქტიკის მიმოხილვა

საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარემბერვო ფონდები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, ასევე, სახელმწიფო სტრუქტურები საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის ინდივიდუალური აქტებით, წლების განმავლობაში გადასცემენ საქართველოს საპატრიარქოს სხვადასხვა სახის მატერიალურ სიკეთეს.

პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ ზოგჯერ, დახმარებას სხვა რელიგიური გაერთიანებებიც იღებენ, თუმცა საპატრიარქოსთან შედარებით, ეს მაჩვენებელი მინიმალურია და ძირითადად, რელიგიურ-საკულტო დაწესებულებებს ხმარდება.

წინამდებარე თავში შეფასებულია მთავრობისა და პრეზიდენტის მიერ, 2014 -2015 წლებში, საქართველოს საპატრიარქოსა და სხვა რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსებისა და სხვა ფორმით მატერიალური მხარდაჭერის პრაქტიკა.

3.1. 2014-2015 წლებში პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გამოყოფილი თანხების ოდენობისა და მიზნობრიობის ანალიზი

2014-2015 წლებში, წინა წლებთან შედარებით, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფის პრაქტიკა არსებითად არის შეცვლილი. ეს ცვლილება, სავარაუდოდ, პრეზიდენტის ინსტიტუტის შესუსტებით არის განპირობებული. 2007-2013 წლებში, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან მართლმადიდებელ ეკლესიას მთლიანობაში 10 806 207 ლარი გადაეცა. ამ პერიოდში, საქართველოს საპატრიარქოსთვის ფინანსური დახმარების გადაცემა ძირითადად მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებსა და პოლიტიკურ კრიზისებს უკავშირდებოდა⁸. ხელისუფლების ტრანზიციის შემდგომ, პრაქტიკის ანალიზი აღნიშნული ტენდენციის ცვლილებას აჩვენებს. პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსება არსებითად შემცირებულია. ამასთან რელიგიური ორგანიზაციებისთვის ფინანსების თუ სხვა სარგებლის გაცემა არ უკავშირდება კონკრეტულ პოლიტიკურ მოვლენებს და ძირითადად არათანმიმდევრულად, რელიგიური ორგანიზაციის მოთხოვნის საფუძველზე ხორციელდება.

2014 წელს, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი სულ 5 000 000 ლარით იყო განსაზღვრული, საიდანაც 108 000 ლარი საქართველოს საპატრიარქოს იურიდიულ პირებსა და მის ბენეფიციარებს გადაეცათ და ძირითადად მოწყვლადი ჯგუფების სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილებისკენ იყო მიმართული.

2014 წელს, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან, საქართველოს პატრიარქის ილია II-ს ინტრონიზაციის შესახებ ფილმის დამზადებისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით, შპს „საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული კინოსტუდია სიონს“ გამოეყო 10 000 ლარი.

8 ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების პრაქტიკა (2013 და 2014 წლის დასაწყისის მდგომარეობისა და ხელისუფლების ცვლილების შემდეგ სახელმწიფო პოლიტიკის მიმოხილვა) EMC-ისა და TDI-ის კვლევა 2014 წ. გვ. 11

პრეზიდენტის ინიციატივით, ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით, 98 000 ლარი გამოიყო ა(ა)იპ „ბერი ანდრიას სახელობის ფონდის“ პატრონაჟის ქვეშ მყოფი ბავშვებისა და ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონის“ აღსაზრდელებისთვის ერთჯერადი ფულადი დახმარების განევის მიზნით. აღნიშნული თანხის გამოყოფა ემსახურებოდა სოციალურ მიზანს, რამდენადაც ამავე განკარგულების საფუძველზე, დახმარება გაიცა სხვა (არარელიგიური) თავშესაფრების ბენეფიციარ ხანდაზმულებზე, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე, ოჯახურ მზრუნველობამოკლებულ, სოციალურად დაუცველ და მიუსაფარ ბავშვებზე.


2015 წელს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და სხვა რელიგიური ორგანიზაციებისთვის პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ფულადი სახსრები არ გამოყოფილა.

აღსანიშნავია, რომ 2007-2013 წლებში, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გამოყოფილი თანხის 62.6% (6 743 444 ლარი) ეკლესიის მშენებლობა-მოპირკეთება-კეთილმოწყობას მოხმარდა. სოციალურ პროექტებისთვის კი, ამ პერიოდში, მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გაცემული თანხის მხოლოდ 0.4% (38 023 ლარი) იყო გამოყოფილი.

აღნიშნული პოლიტიკა 2014-2015 წლებში რადიკალურად იცვლება და საკვლევ პერიოდში, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გადაცემული თანხის 90.75 % (98 000 ლარი) სოციალურ პროექტს მოხმარდა.

დიაგრამა #7


2014-2015 წლებში საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გაცემული თანხების მიზნობრიობა



2007 წლიდან 2015 წლის ჩათვლით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს საპატრიარქოსა და მის მიერ რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს 10 848 587 ლარი გადაეცათ.

დიაგრამა #8

2007-2015 წლებში საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გაცემული თანხების ოდენობა




3.2. საქართველოს მთავრობის მიერ რელიგიური ორგანიზაციებისთვის გადაცემული მატერიალური სიკეთეები და დაფინანსება სარეზერვო ფონდიდან

ხელისუფლების ცვლილების შემდგომ, საქართველოს მთავრობის ინსტიტუციური როლის გაზრდასთან ერთად, მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს მთავრობის მიერ რელიგიური ორგანიზაციებისთვის, მათ შორის, საქართველოს საპატრიარქოსთვის გადაცემული ფინანსური და სხვა მატერიალური სიკეთეების ოდენობაც. მნიშვნელოვანია, რომ 2007-2013 წლებისგან განსხვავებით, 2014-2015 წლებში, ფინანსური დახმარება და უძრავი ნივთები საქართველოს საპატრიარქოს და ასევე სხვა რელიგიურ ორგანიზაციებსაც გადაეცათ. 2014 წელს, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, რომელიც მთლიანობაში 82 741 363.39 ლარისგან შედგებოდა, 3 292 000 ლარი რელიგიურ ორგანიზაციებს გადაეცათ. 1 542 000 ლარი მართლმადიდებელ ეკლესიას, ხოლო 1 750 000 ლარი ოთხ რელიგიურ თემს გადაეცა საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივი ანაზღაურებისთვის.

ხოლო, 2015 წელს, მთავრობის სარეზერვო ფონდის გეგმა 85 მილიონი ლარით იყო განსაზღვრული. აქედან 5 636 400 ლარი გამოეყო რელიგიურ ორგანიზაციებს. კერძოდ, საქართველოს საპატრიარქოს სასულიერო განათლების ხელშეწყობის მიზნით და სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოსთვის“ სარგებლობაში გადასაცემად უძრავი ნივთის შესაძენად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას გამოეყო.

დიაგრამა #9

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გამოყოფილი ფინანსური დახმარება (2009-2015)



3.2.1 2014-2015 წლებში საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს საპატრიარქოსა და მისი დაფუძნებული ორგანიზაციებისთვის გამოყოფილი ფინანსური სახსრები

2014 წელს, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებულ იურიდიულ პირებს - სასწავლო დაწესებულებების და საგანმანათლებლო ცენტრების სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, ჯამში 1 542 000 (მილიონ ხუთას ორმოცდაორი ათასი) გამოეყო. აქედან, 1 000 000 ლარი ა(ა)იპ – „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტს“ გადაეცა⁹ სწავლებისა და კვლევითი ხარისხის განვითარების დაფინანსების მიზნით. დარჩენილი თანხა გადაეცა საქართველოს საპატრიარქოს მიერ დაფუძნებულ სხვა ხუთ საგანმანათლებლო დაწესებულებას (იხ. დანართი #3).¹⁰ 2015 წელს, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს საპატრიარქოს მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს ჯამში გამოეყოთ 1 590 000 ლარი. სწავლებისა და კვლევითი ხარისხის განვითარების დაფინანსების მიზნით, 1 000 000 ლარი ა(ა)იპ – „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტს“ გამოეყო¹¹, 590 000 ლარი კი სხვა სუბიექტებზე განაწილდა (იხ. დანართი #3).

როგორც საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებული იურიდიული პირებისთვის საბიუჯეტო სახსრების გადა-

9 საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №1502 განკარგულება. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2495962>

10 საქართველოს მთავრობის 2014 წლის 23 დეკემბრის №2393 განკარგულება. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2673403>

11 საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 აგვისტოს №1687 განკარგულება. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2944271>

ცემის პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, მთავრობა, ყოველწლიურად, ძირითადად, ერთი და იმავე სუბიექტებისთვის გამოყოფს თანხებს, ერთი და იმავე დანიშნულებით. ეს ცხადყოფს პირდაპირი დაფინანსების პრაქტიკას და აჩვენებს, რომ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფა ემსახურება კონკრეტული რელიგიური დანიშნულების იურიდიული პირების ინსტიტუციურ გაძლიერებასა და რელიგიური განათლების ხელშეწყობას.

**საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 2014-2015 წლებში
გაცემული თანხების 100% რელიგიურ განათლებაზეა მიმართული, რაც,
თავის მხრივ, არღვევს სეკულარული სახელმწიფოს პრინციპს.**

3.2.2 2014-2015 წლებში საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს საპატრიარქოსთვის გადაცემული სხვადასხვა მატერიალური სიკეთე

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს საპატრიარქო, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ფინანსური სახსრების გარდა, იღებს დიდი ოდენობით სხვა მატერიალური სიკეთესაც. საქართველოს მთავრობის მიერ, საპატრიარქოსთვის გადაცემული ნივთები მრავალფეროვანია და სხვა დანარჩენთან ერთად, მოიცავს ავტომობილებს, ავტობუსებსა და სხვა სახის ტექნიკას.

ძირითად შემთხვევაში, გადაცემული ნივთების ღირებულება არ არის შეფასებული. შესაბამისად, შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რა ღირებულების მატერიალური სიკეთეები გადაეცემა საქართველო საპატრიარქოს ზუსტად.

2014 წელს, საქართველოს საპატრიარქოს საქართველოს მთავრობამ გადასცა 2012 წელს გამოშვებული HYUNDAI-ის ფირმის ორი ავტობუსი და ორი ავტომობილი.

ასევე, 2014 წელს, საპატრიარქოს, სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ, გადაეცა 109 455.16 ლარის ღირებულების სამშენებლო¹² და 71 466.81 ლარის ღირებულების სხვადასხვა ჯიშის ხის მასალა¹³, ეკლესიების მშენებლობისა და კეთილმოწყობის მიზნით.

მაგალითად, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსის 2014 წლის 19 სექტემბრის N90 წერილის საფუძველზე, სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს გენერალური დირექტორის 12/10/2014 წლის #3776 ბრძანებით გაიცა 100 539.66 ლარის ღირებულების 16 756.61 კგ თითბრის გასროლილი ჰილზი, მახათას მთაზე მშენებარე ტაძრისთვის შანდლების, ზარების, ჭაღებისა და სხვა ნივთების

12 იხ. დანართი #4

13 იხ. დანართი #5

დასამზადებლად (იხ. დანართი #6). მითითებული მატერიალური სიკეთეების გარდა, 2014 წელს, საქართველოს საპატრიარქოს საქართველოს მთავრობისგან გადაეცა სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო ნივთები, ტექნიკა, ავეჯი და ა.შ. საპატრიარქოსთვის გადაცემულ ნივთთა შორის გხვდება, გაზქურები, სარეცხის მანქანა, ტელევიზორები, ქვაბები, ლეიბები და ა.შ.¹⁴

2015 წელს, კვლავ გრძელდება საქართველოს საპატრიარქოსთვის მოძრავი ნივთების გადაცემის პრაქტიკა. საქართველოს მთავრობამ საქართველოს საპატრიარქოს 2 ერთეული სატრანსპორტო საშუალება, SAME SOLARIS 55-ბორბლიანი ტრაქტორი გადასცა.

2015 წელს, საქართველოს საპატრიარქოს დამატებით, ასევე, საქართველოს მთავრობის მიერ, გადაეცა 32 ერთეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკა (14 ტრაქტორი Belarus MTZ 82.1 და SAME SOLARIS 55 ტიპის, 1 სათიბელა, 8 გუთანი, 5 კულტივატორი და 3 სიმინდის სათესი).

2015 წელს, სახელმწიფოს მიერ საქართველოს საპატრიარქოსთვის საკუთრებაში გადაცემული მოძრავი ნივთების ღირებულების შეფასება არ განხორციელებულა.

ის გარემოება, რომ საქართველოს საპატრიარქოსთვის გადაცემული მატერიალური სიკეთეების შეფასება არ ხორციელდება, თავის მხრივ, კიდევ ერთი დასტურია, რომ აღნიშნული ნივთების მიწოდება ხორციელდება არა საბჭოთა პერიოდში მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში, არამედ ეკლესიის სუბსიდირების მიზნით.

3.2.3 2014-2015 წლებში საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სხვა რელიგიური ორგანიზაციებისთვის გამოყოფილი ფინანსური დახმარება

გემონახსენები N117-ე დადგენილების საფუძველზე, რელიგანტური რელიგიური ორგანიზაციებისთვის გადასაცემი თანხების ასახვა სახელმწიფო ბიუჯეტში ვერ განხორციელდა. ამის გამო, 2014 წელს, მითითებული ოთხი რელიგიური გაერთიანებისთვის გადასაცემი თანხა 1 750 000 ლარის ოდენობით გამოიყო საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან.

2015 წელს, საქართველოს მთავრობამ, სარეზერვო ფონდიდან 4 486 400 ლარი გამოუყო აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას სსიპ სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოსთვის სარგებლობაში გადასაცემი, ქ. ბათუმში მდებარე ორი უძრავი ნივთის შეძენის მიზნით.

¹⁴ 2014 წელს, მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გადაცემული საყოფაცხოვრებო ნივთების დეტალური ჩამონათვალი იხ. დანართი #7

მითითებული თანხით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ შეიძინა ქ. ბათუმში მდებარე 1 000 000 აშშ დოლარის ღირებულების 997, 9 კვ.მ შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული 2 197 კვ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. ასევე 1 000 000 აშშ დოლარის ღირებულების შპს „Crystal“-ის 100%-იანი წილი, რომელიც შემდგომში მართვის უფლებით სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს“ გადაეცა.¹⁵

3.3. 2014-2015 წლებში რელიგიური ორგანიზაციებისთვის მთავრობის მიერ გადაცემული უძრავი ქონების მიმოხილვა

3.3.1. 2014-2015 წლებში საქართველოს საპატრიარქოსთვის საკუთრებასა და სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონება

საქართველოს საპატრიარქო გარდა ფინანსური სახსრებისა, სახელმწიფოსგან საკუთრებისა და სარგებლობის ფორმით, ყოველწლიურად, იღებს ათეულობით უძრავ ნივთს. საპატრიარქოს საკუთრებაში აქტიურად გადაეცემა არამხოლოდ ის მიწის ნაკვეთები, რომელიც მის ისტორიულ საკუთრებას წარმოადგენდა, არამედ, სახელმწიფოს საკუთრებაში რეგისტრირებული სხვა მიწის ნაკვეთებიც. უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემა სიმბოლური 1 ლარის გადახდის სანაცვლოდ ან სრულიად უსასყიდლოდ ხორციელდება. სახელმწიფოს მხრიდან არ ხდება გადაცემის მიზნობრიობის მითითება.

2014 წელს, საქართველოს საპატრიარქოს, პირდაპირი მიყიდვის წესით, სიმბოლურ ფასად 1 ლარად გადაეცა 27 მიწის ნაკვეთი, საერთო ფართობით 345 454.83 კვ.მ. ხოლო, 2015 წელს, 21 მიწის ნაკვეთი, საერთო ფართობით 568 060 კვ.მ.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, ქონების საქართველოს საპატრიარქოს საკუთრებაში ან/და სარგებლობაში უძრავი ნივთების გადაცემამდე, არ ახორციელებს მათი საბაზრო ღირებულების შეფასებას. აქედან გამომდინარე, უცნობია თუ რა ღირებულების უძრავი ქონება გადაეცემა საქართველოს საპატრიარქოს ყოველწლიურად.

გადაცემული ქონების ღირებულება ცნობილია მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში, როდესაც გადასაცემი მიწის ნაკვეთისა თუ სხვა ობიექტის ღირებულების შეფასება სხვა მიზნით განხორციელდა. 2012 წლიდან 2015 წლის ჩათვლით, საქართველოს საპატრიარქოს საკუთრებაში გადაცემული 62 უძრავი ნივთიდან შეფასებულია მხოლოდ 7 ობიექტი, რომელთა ჯამური ღირებულება შეადგენს 501 427 ლარს.¹⁶

¹⁵ შენიშვნა: აღსანიშნავია, რომ აჭარის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებების დაცვის კომისიის ხელმძღვანელის მედეა ვასაძის მოსაზრებით მითითებული უძრავი ნივთების ჯამური ღირებულება 1 მილიონ აშშ დოლარს არ აღემატება და სავარაუდო კორუფციულ გარიგებებზე მიუთითებს, რის საფუძველზეც აჭარის სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტომ შესაბამისი მოკვლევა დაიწყო. <http://1tv.ge/ge/news/view/112087.html> <http://rustavi2.com/ka/news/32867>

¹⁶ შენიშვნა: ფასის განსაზღვრის ადეკვატურობა ცალკე შეფასებისა და დავის საგანი შეიძლება გახდეს.

მაგალითად, 2014 წლის 15 დეკემბერს, საქართველოს საპატრიარქოს გადაეცა ქალაქ თბილისში, ლესელიძის ქუჩა N41-ში მდებარე, 388 795 ლარის ღირებულების შენობა-ნაგებობა N7-ში, II სართულზე და მანსარდში არსებული 423.34 კვ.მ. ფართი და მასზე ნილობრივად დამაგრებული მიწის ფართობი.

ასევე, 2014 წელს, საპატრიარქოს გადაეცა ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩა N12-ში მდებარე, 56 400 ლარად შეფასებული, 1200 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.

2014 წელს მართლმადიდებელ ეკლესიას სახელმწიფოს მიერ უზურფრუქტის უფლებით, 7 წლის ვადით გადაეცა 1 უძრავი ნივთი, ქ. ახალქალაქში მდებარე ყოფილი კეჩის მმართველობის შენობა, საერთო ფართობით 2207 კვ.მ, ხელშეკრულების თანახმად მართლმადიდებელი ეკლესია ვალდებულია 2 წლის ვადაში განახორციელოს სარემონტო სამუშაოები, ხოლო დარჩენილი 5 წლის განმავლობაში უზრუნველყოს უძრავი ქონების სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროფილით გამოყენება.

2015 წელს, საპატრიარქოსთვის საკუთრებაში გადაცემული არცერთი უძრავი ნივთის ღირებულება არ შეფასებულა.

საპატრიარქოს, 2015 წელს, სულ 21 მიწის ნაკვეთი გადაეცა საკუთრების უფლებით (საერთო ფართობით 568 060 კვ.მ). აქედან, 100 474 კვ.მ. ნალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ბეშთაშენში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

2015 წელს მართლმადიდებელ ეკლესიას, საქართველოს მთავრობის მიერ¹⁷, შპს „კრწანისის პარკის“ 100%-იანი წილის საპატრიარქოს მიერ სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, 49 წლის ვადით, უსასყიდლო უზურფრუქტის უფლებით გადაეცა ქობულეთში, აბაშიძის ქუჩა №128-ში მდებარე 11810.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები.

ამავე განკარგულებით, მართლმადიდებელ ეკლესიას მთავრობის მიერ საკუთრებაში გადაეცა ქ. ქობულეთში, აბაშიძის ქუჩა №128-ში მდებარე 149796.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე არსებული შენობა-ნაგებობებითა და მასში განთავსებული მოძრავი ქონებით (ბობოყვანის რეზიდენცია).

17 საქართველოს მთავრობის 2015 წლის 21 სექტემბერის N2013 განკარგულება, ხელმისაწვდომია: http://government.ge/files/410_51469_877151_201321.09.15.pdf

2014 წელი:

საკუთრების უფლებით: 27 უძრავი ნივთი
 გაცემული უძრავი ნივთების საერთო ფართობი: 345 454.83 კვ.მ
 მიზნობრიობა: უცნობია
 საერთო ღირებულება: უცნობია

სარგებლობა/უზურფრუქტის უფლებით: 1 უძრავი ნივთი
 გაცემული უძრავი ნივთების საერთო ფართობი: 2207 კვ.მ
 მიზნობრიობა: სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროფილი
 საერთო ღირებულება: უცნობია

2015 წელი:

საკუთრების უფლებით: 21 უძრავი ნივთი
 გაცემული უძრავი ნივთების საერთო ფართობი: 568 060 კვ.მ.
 მიზნობრიობა: უცნობია
 საერთო ღირებულება: უცნობია

სარგებლობა/უზურფრუქტის უფლებით: 1 უძრავი ნივთი
 გაცემული უძრავი ნივთების საერთო ფართობი: 11810.00 კვ.მ
 მიზნობრიობა: უცნობია

3.3.2. 2014-2015 წლებში სხვა რელიგიური ორგანიზაციებისთვის სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონება

მართლმადიდებელი ეკლესიისგან განსხვავებით, რომელსაც დიდი ოდენობის თანხები, მასშტაბური უძრავი ქონება და სხვა მატერიალური სიკეთეები გადაეცემა, სახელმწიფოს პოლიტიკა სხვა რელიგიური ორგანიზაციების მიმართ მოუწესრიგებელი და დისკრიმინაციულია.

რელიგიურ უმცირესობათა საკულტო ნაგებობებისა და მათ ისტორიულ საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთების დიდი ნაწილი, დღესდღეობით, სახელმწიფოს საკუთრებაშია რეგისტრირებული. საბჭოთა კავშირის პერიოდში კონფესიური დანიშნულების ობიექტების კონფისკაციის პრაქტიკამ და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ქვეყნის კონსტიტუციით საკუთრებისა და რელიგიის უფლებების გარანტიის განსაზღვრამ, წარმოქმნა სახელმწიფოს მიერ საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული კონფესიური დანიშნუ-

ლების ნაგებობების რესტიტუციის პოლიტიკის განსაზღვრის საჭიროება. მიუხედავად ამ საჭიროებისა, სახელმწიფოს მიერ აღნიშნული ურთიერთობის მომწესრიგებელი არც ერთი დოკუმენტი არ შეუქმნია. შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ, რელიგიური ორგანიზაციების უძრავი ნივთების დაბრუნება სპორადულად, პოლიტიკური ნების საფუძველზე ხორციელდება, ყოველგვარი სპეციალური სამართლებრივი მოწესრიგების გარეშე. თუმცა, სახელმწიფოს მიერ რელიგიური ორგანიზაციებისთვის ქონების გადაცემის პროცესს რესტიტუციის ჩარჩოებიდან სრულიად გამორიცხავს კანონმდებლობაში არსებული დისკრიმინაციული ჩანაწერი, რომელიც მართლმადიდებელი ეკლესიის გარდა, არ უშვებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საკუთრების უფლებით გადაცემას სხვა საჯარო სამსართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე რელიგიური ორგანიზაციებისთვის.

დღესდღეობით მოქმედი საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“ სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული ქონების პირდაპირი მიყიდვის წესით გადაცემას მხოლოდ საქართველოს საპატრიარქოსთვის ითვალისწინებს. შესაბამისად, არ არსებობს სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც შესაძლებელს გახდიდა უძრავი ნივთების სსიპ სამართლებრივი სტატუსის მქონე რელიგიური ორგანიზაციებისთვის საკუთრებაში გადაცემას. ამის გამო, საკულტო ნაგებობებისა და სხვა უძრავი ნივთების რელიგიური უმცირესობებისთვის გადაცემა მხოლოდ სარგებლობის უფლებით ხდება, რის შედეგადაც, უძრავი ნივთის მესაკუთრედ კვლავ სახელმწიფო რჩება. ასევე, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზება შესაძლებელია საქართველოს მოქალაქისათვის ან საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის სასყიდლით, ხოლო საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის და უსახლკაროდ დარჩენილი საქართველოს იმ მოქალაქეებისათვის, რომლებიც ცხოვრობდნენ ან ცხოვრობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე – უსასყიდლოდ.“ აღნიშნული ნორმის საფუძველზე საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შეუძლია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიღება სახელმწიფოსგან უსასყიდლოდ. ამავე დროს, სხვა რელიგიურ ორგანიზაციებს არ შეუძლიათ აღნიშნული უფლებით სარგებლობა, როგორც სასყიდლით, ისე უსასყიდლოდ.

TDI-იმ და და თბილისის თავისუფალმა უნივერსიტეტმა საკონსტიტუციო სასამართლოში 2016 წლის 8 ივლისს შეიტანეს სარჩელი, რომლითაც სადავო საკანონმდებლო ნორმები გასაჩივრებულია საქართველოს კონსტიტუციის 14-ე და 21-ე მუხლებთან (დისკრიმინაციის აკრძალვა, საკუთრების უფლება) მიმართებით. მსგავსი დისკრიმინაციული ჩანაწერები არსებობს საქართველოს თვითმმართველ ორგანოთა ნორმატიულ აქტებშიც.

2014 წელს, სსიპ სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს სარგებლობაში გადაეცა 43 უძრავი ნივთი, საერთო ფართობით 45073 კვ.მ. მითითებული უძრავი ნივთები მუსლიმი თემის საკულტო ნაგებობასა და ისტორიულად მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებს წარმოადგენს.

2015 წელს, სსიპ საქართველოს ებრაელთა კავშირს სახელმწიფოს მიერ სარგებლობაში გადაეცა 9 უძრავი ნივთი (საერთო ფართობით 10911 კვ.მ).

სსიპ საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტულ ეკლესიას გადაეცა ქ. გორში მდებარე, ერთი უძრავი ნივთი (611 კვ.მ).

მუსლიმი თემის მსგავსად, მითითებული უძრავი ნივთებიც ამ რელიგიური ორგანიზაციების საკუთრება იყო ისტორიულად.

3.4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ რელიგიური ორგანიზაციებისთვის 2014-2015 წლებში გადაცემული ქონება

ცენტრალური მთავრობის მსგავსად, რელიგიურ ორგანიზაციებს სხვადასხვა რესურსი გადასცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამაც.

საკვლევ პერიოდში, ქონება გადაეცა მხოლოდ ორ ორგანიზაციას - სსიპ სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოსა და საქართველოს საპატრიარქოს მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირს შპს „ხარ-ფურს“.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ სსიპ სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს ყველა უძრავი ნივთი გადასცა სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს რეკომენდაციის საფუძველზე. ცენტრალური მთავრობიდან მუსლიმი თემისთვის უძრავი ქონებების გადაცემის მსგავსად, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის დისკრიმინაციულობის გამო, აჭარის მთავრობის შემთხვევაშიც, მუსლიმი თემისთვის უძრავი ნივთების გადაცემა სარგებლობის უფლებით ხდება. გადაცემული უძრავი ნივთების უმეტესი ნაწილი მითითებულ შემთხვევაშიც მოქმედ მეჩეთებს წარმოადგენდა.

2014 წელს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ რელიგიური ორგანიზაციებისთვის უძრავი ქონების ან/და სხვა მატერიალური სიკეთის გადაცემა არ ფიქსირდება.

2015 წელს, სსიპ სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს სარგებლობის უფლებით გადაეცა სახელმწიფოს საკუთრებაში რეგისტრირებული 32 უძრავი ნივთი (საერთო ფართობით 23 818 კვ.მ). აქედან, 23 უძრავი ნივთი ხულოში, 2 ხელვაჩაურში, 2 ქედაში, 2 შუახევში, ხოლო 1 უძრავი ნივთი ბათუმში საქართველოს მთავრობის სარგებრვო ფონდიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ შეიძინა სსიპ სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოსთვის სარგებლობაში გადასაცემად.

მუსლიმი თემისგან განსხვავებით, რომელსაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ უძრავი ქონება საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ქონების რესტიტუციის ფარგლებში გადაეცემა, საქართველოს საპატრიარქოს მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირს, შპს

„ხარ-ფურს“, ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტი დიმიტრის მიმართვის საფუძველზე, 2015 წელს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქ. ქობულეთში კაიკაციშვილის ქუჩა N1 და კაიკაციშვილის ქუჩა N4, სოფელი ხუცუბნის მიმდებარედ 249 909 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საინვესტიციო პირობების განხორციელების სანაცვლოდ, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით გადაეცა. უზურფრუქტის ხელშეკრულების თანახმად, შპს „ხარ-ფური“ ვალდებულია, სარგებლობაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე დაიწყოს და 5 თვის ვადაში დაასრულოს არანაკლებ 10 მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე გათვლილი ფერმის (სხვა დამხმარე შენობა-ნაგებობებთან ერთად) მშენებლობა. ასევე, ამავე პერიოდში, მან უნდა შეიძინოს არანაკლებ 10 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. ასევე, აღნიშნული პროექტით, 5 თვის განმავლობაში, მან უნდა განახორციელოს არანაკლებ 300 000 (სამასი ათასი) ლარის ინვესტიცია.

4. რელიგიური ორგანიზაციების მუნიციპალური დაფინანსება

4.1. რელიგიური ორგანიზაციების მუნიციპალური დაფინანსების ზოგადი მიმოხილვა

მუნიციპალიტეტების მიერ მონოდებული დოკუმენტების მიხედვით, 72 მუნიციპალიტეტიდან (თბილისის გამოკლებით), 2014 წელს რელიგიურ ორგანიზაციებს, ძირითადად საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, ფინანსური მხარდაჭერა გაუწია სულ 40-მა მუნიციპალიტეტმა, 30 მუნიციპალიტეტს კი ამ მიზნით, ბიუჯეტიდან თანხა არ გამოუყვია, 2-მა მუნიციპალიტეტმა ინფორმაცია არ მოგვანოდა. 2015 წელს, 74 მუნიციპალიტეტიდან, 48-მ რელიგიურ ორგანიზაციებს გამოუყო დაფინანსება, ხოლო 26-ს თანხა არ გადაურიცხავს.

როგორც აღინიშნა, გარდა რეგიონებისა, რელიგიურ ორგანიზაციებს მატერიალურ დახმარებას თბილისის რაიონული გამგეობებიც უწევნ. დაფინანსება 2014-2015 წლებში გათვალისწინებულია თბილისის ათივე რაიონული გამგეობის ბიუჯეტში.

2014 წელი

საჯარო ინფორმაციის სახით მიღებული მონაცემების მიხედვით, 40-მა მუნიციპალიტეტმა და თბილისის 10-მა რაიონულმა გამგეობამ 2014 წელს რელიგიური ორგანიზაციებისთვის გამოყო სულ 4,783,725 ლარი (აქედან მუნიციპალიტეტების მიერ გამოყოფილი თანხა შეადგენს - 2,978,763.95 ლარს, ხოლო თბილისის რაიონული გამგეობების დაფინანსება - 1,804,961.42 ლარს.)

აღნიშნული თანხიდან, საპატრიარქოსა და მის დაქვემდებარებაში არსებული ეკლესიების, სასულიერო პირების, ეპარქიების თუ იურიდიული პირებისთვის გამოყოფილი თანხა შეად-

გენს 4,738,539 ლარს (მუნიციპალიტეტების მიერ გამოყოფილი თანხა - 2,967,578 ლარი, ხოლო თბილისის რაიონული გამგეობების - 1,770,961 ლარი).

2014 წელს მუნიციპალიტეტებმა და თბილისის რაიონულმა გამგეობებმა რელიგიურ უმცირესობებს სულ გადაურიცხეს 45,186 ლარი, აქედან რეგიონებში - 11,186 ლარი, თბილისში - 34,000 ლარი.

2015 წელი

საჯარო ინფორმაციის სახით მიღებული მონაცემების მიხედვით, 48 მუნიციპალიტეტმა და თბილისის 10-მა რაიონულმა გამგეობამ 2015 წელს რელიგიური ორგანიზაციებისთვის გამოყო სულ 3,991,068 ლარი (აქედან მუნიციპალიტეტების მიერ გამოყოფილი თანხა შეადგენს 2,371,308 ლარს, ხოლო თბილისის რაიონული გამგეობების დაფინანსება 1,619,761 ლარს).

აღნიშნული თანხიდან, საპატრიარქოსა და მის დაქვემდებარებაში არსებული ეკლესიების, სასულიერო პირების, ეპარქიების თუ იურიდიული პირებისთვის გამოყოფილი თანხა შეადგენს 3,966,590 ლარს (მუნიციპალიტეტების მიერ გამოყოფილი თანხა - 2,364,829 ლარი, ხოლო თბილისის რაიონული გამგეობების - 1,601,761 ლარი).

2015 წელს მუნიციპალიტეტებმა და თბილისის რაიონულმა გამგეობებმა რელიგიურ უმცირესობებს სულ გადაურიცხეს 24,478 ლარი, აქედან რეგიონებში - 6,479 ლარი, თბილისში - 18,000 ლარი.

4.1.1. მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ანალიზი

თვითმმართველი თემებისა და ქალაქების ბიუჯეტები ითვალისწინებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის, მის დაქვემდებარებაში არსებული ეპარქიებისა და ეკლესიების დაფინანსებას კონკრეტული პროგრამების მიხედვით. აღნიშნულ ქვეპროგრამებს სპეციალური დასახელება აქვს - „რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა“ შესაბამისი პროგრამული კოდებით. ზოგჯერ, საპატრიარქოს სუბსიდირება ინტეგრირებულია ზოგადი შინაარსის პროგრამებში, მაგალითად, „კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი“; „რელიგიური და სხვა სახის საქმიანობა“; „დასვენება, კულტურა და რელიგია“. ამ ქვეპროგრამების ზოგადი შინაარსის გამო, შეუძლებელია დადგინდეს, კონკრეტულად რელიგიური შინაარსის კომპონენტისთვის რა ოდენობის თანხაა გამოყოფილი.

რიგ შემთხვევებში, საბიუჯეტო დადგენილებებში რელიგიური ორგანიზაციების ნაცვლად, პირდაპირ მითითებულია ეკლესიების დაფინანსება ან კონკრეტული ეპარქია.

მაგალითად, დადგენილებებში ვხვდებით ქვეპროგრამებს შემდეგი ფორმულირებით: ბორჯომი - „ბორჯომ-ბაკურიანის ეპარქია“ (პროგრამული კოდი: 05 00/05 03), ვანი - „ეპარქიის დაფინანსება“ (პროგრამული კოდი: 05 00/05 04); საჩხერე - „ჭიათურისა და საჩხერის ეპარქია“ (პროგრამული კოდი: 05 00/ 05 06); ქუთაისი - „ქუთაის გაენათის ეპარქია“ - 05 00 / 05 05. ხონი - „ეპარქია“ (05 05), - იგულისხმება ხონი-სამტრედიის ეპარქია. 2015 წლის დადგენილებებში: ბოლნისი - „ეპარქიის დაფინანსება“ (05 00/ 05 04); ქალაქი ზუგდიდი - „ივერიის ღვთისმშობლის ტაძარი“(05 00/ 05 04); რუსთავი - „მეუფის რეზიდენციისა და ტაძრების დახმარება“.

4.1.2. შეუსაბამოები საბიუჯეტო დადგენილებებსა და საჯარო ინფორმაციის სახით გამოთხოვილ დოკუმენტებში მოცემულ ინფორმაციას შორის

უმეტესწილად, მუნიციპალიტეტებს საბიუჯეტო დადგენილებაში არ არის მითითებული წინა წელს იმავე ქვეპროგრამის ფარგლებში ბიუჯეტის ხარჯვის ფაქტები. იქ, სადაც ფიქსირებული იყო აღნიშნული მონაცემი, მკვლევარებმა ჩაატარეს საჯარო ინფორმაციის სახით მიღებული მონაცემებისა და მუნიციპალიტეტების მიერ რელიგიური ორგანიზაციების ქვეპროგრამის ფარგლებში ფიქსირებული ხარჯების (ფაქტების) კომპარატიული ანალიზი. აღმოჩნდა, რომ ზოგჯერ ეს მონაცემები ერთმანეთს არ ემთხვევა. არის შემთხვევები, როდესაც ხარჯვის ფაქტში მითითებული თანხის ოდენობა საჯარო ინფორმაციაში მოცემულ თანხას აღემატება ან, პირიქით ნაკლებია.

მაგალითად, სენაკის მუნიციპალიტეტის მიერ საჯარო ინფორმაციის სახით მოწოდებულ დოკუმენტებში¹⁸ აღნიშნულია, რომ მუნიციპალიტეტს 2014 წელს, არც საპატრიარქო და არც სხვა რელიგიური ორგანიზაციები არ დაუფინანსებია. მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის საბიუჯეტო გეგმაში¹⁹ კი წერია, რომ 2014 წელს 65, 000 ლარით დაგეგმილი იყო წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის ახალი კორპუსის მშენებლობის დაწყება. ასევე, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებაში #69,²⁰ სენაკის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, ქვეპროგრამაში „რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსება“ (05 05), 2014 წლის ხარჯების ფაქტში მითითებულია 65,000 ლარი (სრულად იხილეთ დანართი #8)

18 სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობა, წერილი #01/2190

19 სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N20, 27 დეკემბერი 2014 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2165264>

20 სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N69, 2014 წლის 26 დეკემბერი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2657271>

4.1.3. თანხის მიმღები სუბიექტები

საქართველოს საპატრიარქოს მუნიციპალური დაფინანსების სისტემა დივერსიფიცირებულია. თანხის მიმღები სუბიექტები არიან: საპატრიარქო, მისი ეპარქიები, ეკლესიები, მონასტრები, საპატრიარქოს/ეპარქიების დაქვემდებარებაში არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებები ან იურიდიული პირები; აგრეთვე სასულიერო პირები.

წინა წლების მსგავსად, მუნიციპალიტეტების გამგებების მიერ გამოყოფილი თანხა ეპარქიების, ეკლესია-მონასტრების ან ფიზიკური პირების საბანკო ანგარიშზე ირიცხება.

მაგალითად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს 2014 წელს 26,944 ლარი ფიზიკური პირებისთვის აქვს გადაცემული სარემონტო სამუშაოების, მშენებლობის, გალავნის მოწყობისა და დღესასწაულების ორგანიზებისთვის. უნდა აღინიშნოს, 2013 წლის მონაცემებშიც ფიგურირებენ თანხის მიმღები იგივე ფიზიკური პირები, მაგალითად, შუხუთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, ზაზა ჟღენტი, ივერიის ღვთისმშობლის ტაძრის წინამძღვარი, მერაბ ფირცხალაიშვილი.

ასევე, აბაშის მუნიციპალიტეტს 2014 წელს 88,000 ლარი აქვს გადარიცხული ფიზიკური პირებისთვის.

ქარელის მუნიციპალიტეტმა 2015 წლის ოთხი თვის განმავლობაში საქართველოს რუს-ურბნისის ეპარქიასა და ფიზიკურ პირებს სულ გადაურიცხა 69,549 ლარი. აქედან, მროველ-ურბნელი მიტროპოლიტის იობის მიმართვის საფუძველზე, 17 მარტს, კერძო პირს, გიორგი გოგიტაშვილს 40,260 ლარი გადაერიცხა რუს-ურბნისის ეპარქიის ეკლესია-მონასტრების მშენებლობისთვის მასალების შესაძენად. თანხის დანარჩენი ნაწილიც მშენებლობა-რეკონსტრუქციის მიზნით, გადარიცხულია ფიზიკური პირების ანგარიშზე.

საილუსტრაციოდ იხ. ქარელისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების მიერ მონოდებული 2014- 2015 წლის დოკუმენტები:

აქა იმ ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის განცხადება
ეკლესია - მონასტრებზე გადებული ფინანსური დახმარება 2014 წელი

№	ტაძრის დასახელება	ვის გადაერიცხა	თანხა	გადარიცხვის თარიღი
1	ქარელის წმინდა სამების საკათედრო ტაძარი	ეპარქიის ეპიტროქიმოსი	60000,00	10.01.2014 წელი
2	სოფ. შრეთის დედოფალ მონასტერი	მღვდელის ოსაძე	1000,00	06.02.2014 წელი
3	სოფ. ორბელის დედოფალ მონასტერი	მღვდელის ოსაძე	2000,00	06.02.2014 წელი
4	სოფ. ორბელის მამია მონასტერი	მღვდელის ოსაძე	2000,00	06.02.2014 წელი
5	ქარელის წმ. გიორგის სახელობის ტაძარი	ეპარქიის ეპიტროქიმოსი	2000,00	13.02.2014 წელი
6	სოფ. იმერეთის წმ. დიმიტრის სახელობის მამია მონასტერი	მღვდელის ოსაძე	1000,00	20.02.2014 წელი
7	სოფ. დარბის წმ. გიორგის სახელობის მამია მონასტერი	მღვდელის ოსაძე	2000,00	19.03.2014 წელი
8	სოფ. შრეთის დედოფალ მონასტერი	მღვდელის ოსაძე	12500,00	24.04.2014 წელი
9	სოფ. ჭანჭიჭის წმინდა კირილეს სახ. ტაძარი	ეპარქიის ეპიტროქიმოსი	2000,00	16.05.2014 წელი
10	სოფ. შრეთის მღვდელის წმ. გიორგის სახელობის ტაძარი	მღვდელის ოსაძე	3000,00	16.05.2014 წელი
11	ქარელის დედოფალ მონასტერი	მღვდელის ოსაძე	500,00	29.05.2014 წელი
			88000,00	

განცხადების მმართველი:  /ლ. ტყეშელაშვილი

ა(ა) იმ ქართული მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დარგების განვითარება
გაუფასო - მონიტორინგზე გადებული ფინანსური დახმარება 2015 წელი

1	ქართლის მმ გაორების სახელობის ტაძარი	გაორება ნაწილი	3000,00	19.07.2015 წელი
2	მთვარეთის ტაძრისთვის წმ. გიორგის სახ. ტაძარი	მთვარის ჩიკაძე	5000,00	19.07.2015 წელი
3	სოფ. ლალოვის დედათა მონასტერი	ინკინა მკვდრელი	(1000,00)	19.07.2015 წელი
4	სოფ. ზამთარის წმინდა სამების ტაძარი	გაორება ნაწილი	2540,00	19.07.2015 წელი
5	ოთხეულის მართა მონასტერი	გაორება ნაწილი	2120,00	19.07.2015 წელი
6	სოფ. საგინდის წმინდა გიორგის სახ. ტაძარი	გია ნადირაძე	1500,00	19.07.2015 წელი
7	გაუფასოების "გაორება" დედათა მონასტერი	გაუფასოების ხელმძღვანელი	3008,00	19.07.2015 წელი
8	ქართლის მმ გაორების სახელობის ტაძარი	გაორება ნაწილი	40260,00	17.03.2015 წელი
9	სოფ. დარბაზის მართა მონასტერი	მთვარის ჩიკაძე	1002,00	17.03.2015 წელი
10	საქართველოს დედათა მონასტერი	დედათა დედა	2415,00	17.03.2015 წელი
11	გაუფასოების დედათა მონასტერი	მთვარის ჩიკაძე	1000,00	17.03.2015 წელი
12	სოფ. დარბაზის მართა მონასტერი	მთვარის ჩიკაძე	3000,00	17.03.2015 წელი
13	საქართველოს დედათა მონასტერი	მთვარის ჩიკაძე	1000,00	17.03.2015 წელი
14	სოფ. საგინდის მმ. მთვარის ჩიკაძე	მთვარის ჩიკაძე	1500,00	17.03.2015 წელი
15	სოფ. ოთხეულის მმ. მთვარის ჩიკაძე	მთვარის ჩიკაძე	2000,00	17.03.2015 წელი
16	ქართლის მმ გაორების სახელობის ტაძარი	მთვარის ჩიკაძე	500,00	17.03.2015 წელი
17	გაუფასოების "გაორება" დედათა მონასტერი	გაუფასოების ხელმძღვანელი	700,00	14.04.2015 წელი
			69549,00	

გაორების მმ. მთვარის ჩიკაძე



მ. კერძო

1. რელიგიის მხარდაჭერისათვის გამოყოფილ ასიგნებებიდან 4750 (ოთხასოთხმეცხედარმოცდაათი) ლარი ჩაირიცხოს აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მაცხოვრის სახელობის ტაძარზე სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად.

2. თანხა ჩაირიცხოს ფიზიკურ პირ „ზაზა ჯენტი“ ანგარიშზე, სს „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22, ა/ნ GE37BG0000000329969700.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიომიძის ქ. №14 მისი ოფიციალურად გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

აქ

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის
მოვალეობის შემსრულებელი



მთვარის ჩიკაძე

მსგავსი ფაქტები რელიგიური უმცირესობების შემთხვევაშიც ფიქსირდება, მაგალითად 2014 წელს მარნეულში აშუღის დღესასწაულთან დაკავშირებით თანხა ოთხ ფიზიკურ პირს ჩაერიცხა, სულ 6,900 ლარი.

4.2. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მუნიციპალური დაფინანსება 2014-2015


4.2.1. ზოგადი მიმოხილვა

მუნიციპალიტეტების მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, 2014 წელს, 72-დან 40-მა მუნიციპალიტეტმა მართლმადიდებელ ეკლესიას დაფინანსება გამოუყო, 30-ს კი თანხა არ გადაურიცხავს.

2015 წელს, 74 მუნიციპალიტეტიდან 48-მ, საპატრიარქოს გამოუყო დაფინანსება, ხოლო 26-ს თანხა არ გადაურიცხავს.


დიაგრამა #10

მუნიციპალური დაფინანსება (2014)



დიაგრამა #11

მუნიციპალური დაფინანსება (2015)




საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მუნიციპალური დაფინანსება მხარეების მიხედვით

როგორც დიაგრამა #13 აჩვენებს, 2014 წელს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიებს მუნიციპალიტეტებმა ყველაზე დიდი თანხა იმერეთის რეგიონში გადასცეს. 2013 წელს ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალი ქვემო ქართლის რეგიონში იყო.

საკვლევ პერიოდში ყველაზე მეტი თანხა - ნახევარ მილიონზე მეტი, საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებული მართლმადიდებელი ეპარქიების ანგარიშზე თერჯოლის მუნიციპალიტეტმა გადარიცხა.

დიაგრამა #12


საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მუნიციპალური დაფინანსება რეგიონებში (2014)



2014 წლის მსგავსად, 2015 წელსაც, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ყველაზე მეტი თანხა იმერეთის რეგიონში გამოიყო (იხ. დიაგრამა #13).

დიაგრამა #13

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მუნიციპალური დაფინანსება რეგიონებში (2015)



4.2.2. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია - დაფინანსების მიზნობრივი კატეგორიები (მუნიციპალიტეტები)

2014 წელი

40 მუნიციპალიტეტის (იქ, სადაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის დაფინანსება გამოიყო) დოკუმენტების ანალიზმა აჩვენა, რომ გამგეობების მიერ გამოყოფილი თანხის თითქმის ნახევრის ხარჯის მიზნობრიობა უცნობია.


თვითმმართველი ერთეულების ნაწილმა საერთოდ არ მოგვანოდა თანხის გამოყოფის მიზნობრიობის დამადასტურებელი დოკუმენტები. დოკუმენტების დიდ ნაწილში კი, დაფინანსების მიზნად ხშირად მითითებულია „სუბსიდია“ ან „დაფინანსება“, რის მიხედვითაც შეუძლებელია განისაზღვროს თანხის გადაცემის კონკრეტული დანიშნულება.

იმ დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე კი, რომლებშიც სრულად თუ არასრულად არის მითითებული დაფინანსების მიზნობრიობა, გამოიკვეთა კატეგორიები, რომლებიც საპატრიარქოს პრიორიტეტებსა და საჭიროებებზე გარკვეულ წარმოდგენას ქმნის.

საინტერესოა, რომ მოცემული კატეგორიებიდან, 2013 წლის მსგავსად, პროცენტულად ყველაზე დიდი თანხა ეკლესიების მშენებლობა/რესტავრაციასა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე იხარჯება, სოციალურ-საქველმოქმედო მსახურებაზე კი, კვლავ 1%-ზე ნაკლებია გამოყოფილი.

დიაგრამა #14

მიზნობრივი კატეგორიები, მუნიციპალიტეტები (2014)



მუნიციპალიტეტების მიერ გაცემული თანხის 44 % (1,309,481 ლარი) უცნობია კონკრეტულად რა მიზნებისთვის იხარჯება. ასეთ შემთხვევებში, მუნიციპალიტეტს ძირითადად მითითებული აქვს - „სუბსიდი“ ან „ფინანსური დახმარება“. მაგალითად, 2014 წელს ბორჯომის მუნიციპალიტეტმა ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიას გამოუყო 353,000 ლარი. მუნიციპალიტეტს წერილში²¹ არ აქვს მითითებული დაფინანსების მიზნობრიობა. 2014 წლის ბორჯომის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო დადგენილებაში წერია, რომ ქვეპროგრამის „ბორჯომ-ბაკურიანის ეპარქია“ ფარგლებში, „ხორციელდება მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სარეაბილიტაციო სამუშაოები.“ თუმცა, მიზნობრიობის დასაბუთების ამსახველი დოკუმენტები არ არის მოწოდებული. ასევე, 2014 წელს ხონის მუნიციპალიტეტმა ხონი-სამტრედიის ეპარქიას გადაურიცხა 115,000 ლარი. მუნიციპალიტეტს წერილში²² მითითებული აქვს, რომ ეპარქიას ბიუჯეტის 05 05 მუხლიდან ფინანსური დახმარება (სუბსიდი) გაენია. ამავე მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო დადგენილების შესაბამის ქვეპროგრამაში მითითებულია, რომ განხორციელდება ხონი-სამტრედიის ეპარქიის სუბსიდირება და დაფინანსდება მთავარი საკათედრო ტაძარი. დაფინანსების მიზნობრიობის შესახებ ინფორმაცია არ წერია. 2014 წელს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის წერილში²³ მითითებულია, რომ „ხდება რელიგიის სფეროში ხონი-სამტრედიის ეპარქიის გვერდითი დაფინანსება; 2014 წელს ეპარქია დაფინანსდა 236,000 ლარით.“ მიზნობრიობის შესახებ ინფორმაცია არც შესაბამისი საბიუჯეტო დადგენილების ქვეპროგრამაშია (05 00 /05 06) მოცემული.

ტაძრების მშენებლობა/რეკონსტრუქცია/კეთილმოწყობა: 2014 წელს ამ მიზნით, მუნიციპალიტეტების მიერ გამოყოფილი თანხის 39% (1,141,680 ლარი) დაიხარჯა. მუნიციპალიტეტები უთითებენ, რომ კონკრეტული თანხა გაიცემა ტაძრების მშენებლობა-რეკონსტრუქციისთვის, თუმცა, წერილებს ხშირად ჩასატარებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა თან არ ახლავს. ასევე, არ არის დასაბუთებული, კონკრეტულად რა სახის სარეკონსტრუქციო სამუშაოებია ჩასატარებელი. მაგალითად, აბაშის მუნიციპალიტეტმა 2014 წელს ჭყონდიდის ეპარქიას ეკლესია-მონასტრების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და კეთილმოწყობის მიზნით, გადაურიცხა 50, 000 ლარი.²⁴ დოკუმენტს თან ახლავს ჭყონდიდის ეპარქიის მიტროპოლიტის, პეტრე ჭყონდიდელის წერილი, სადაც აღნიშნულია: „გთხოვთ, გამოგვიყოს 50, 000 ლარი, რომელიც რაციონალურად მოხმარდება აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ეკლესია-მონასტრების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას.“ წერილში არ არის დაკონკრეტებული, თუ რა სახის სარეკონსტრუქციო/კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარებას გეგმავს ეპარქია. მუნიციპალიტეტი ყურდნობა მხოლოდ ზემოთაღნიშნულ წერილს და მიზნობრიობად კეთილმოწყობის სამუშაოებს უთითებს.

21 ბორჯომის მუნიციპალიტეტის წერილი N02/1128

22 ხონის მუნიციპალიტეტის წერილი #1059

23 სამტრედიის მუნიციპალიტეტის წერილი #37/1217

24 აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობა, წერილი # 012/657.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტს წერილში²⁵ უწერია, რომ 2014 წელს, 26 ეკლესია/მონასტრისთვის აქვს გამოყოფილი 134,200 ლარი. მიზნობრიობად მითითებულია მხოლოდ „მშენებლობა“ ან „შეკეთება“. ასეთივე ბუნდოვანია, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ ქუთაის-გაენათის ეპარქიისთვის სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების მიზნით გამოყოფილი თანხის ზუსტი მიზნობრიობა - ბიუჯეტიდან გათვალისწინებული ეპარქიის სუბსიდირების ასიგნებებიდან ეპარქიას ჩაერიცხა 100,000 ლარი.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგ მუნიციპალიტეტს ეკლესია-მონასტრების რეკონსტრუქცია/მშენებლობების მიზნით გაწეული ხარჯების კონკრეტული ჩამონათვალი აქვს მითითებული. მაგალითად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობამ²⁶ 2014 წელს ტყიბული-თერჯოლის ეპარქიას გოგნის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის მშენებლობისთვის გადაურიცხა 500,000 ლარი. დოკუმენტს თან ახლავს მართლმადიდებლური ფონდის, „გოგნი კარუგდებლის“ თავმჯდომარის მიერ თანხის მოთხოვნის წერილი, სადაც მითითებულია კონკრეტული სამუშაოების აღწერა და გასაწევი ხარჯები. თანხის ნაწილის გადარიცხვის შემდეგ (250,000 ლარი), თერჯოლის მუნიციპალიტეტი ითხოვს გადარიცხული თანხის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენას. აღნიშნული კატეგორიის მიზნობრიობისა და ხარჯთაღრიცხვის დამადასტურებელი სრული დოკუმენტაცია მხოლოდ ორი, **თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის** მერიის შემთხვევაშია წარმოდგენილი.



25 ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, წერილი #49/1872

26 თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობა, წერილი #712

კომუნალური ხარჯები: 2014 წელს საპატრიარქოსთვის გამოყოფილი მთლიანი თანხის 10% (301,006 ლარი) ეკლესიების კომუნალური ხარჯების ასანაზღაურებლად დაიხარჯა.

მუნიციპალიტეტები მათ ტერიტორიაზე არსებულ ეკლესია-მონასტრებს უხდიან ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირისა და წყლის გადასახადებს. აღნიშნულ კატეგორიაში შედის ასევე გაზიფიცირებისა და ელექტროენერგიის მიწოდებისთვის საჭირო სამონტაჟო სამუშაოებისთვის გასაწევი ხარჯები. მაგალითად, 2014 წელს ბოლნისის მუნიციპალიტეტმა კომუნალური ხარჯების დაფარვის მიზნით, ბოლნისის ეპარქიას 120,000 ლარი გადაურიცხა.

რელიგიური დანიშნულების ნივთები და რელიგიური ღონისძიებები: მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებიდან საპატრიარქოსთვის გადაცემული სრული თანხის 2,3% (67,695 ლარი) რელიგიური ღონისძიებების დასაფინანსებლად, ასევე, საეკლესიო ნივთების შესაძენად გამოყოფილი. მაგალითად, 2014 წელს, ჭიათურის მუნიციპალიტეტმა ჭიათურა-საჩხერის ეპარქიას „სხვადასხვა სახის რელიგიური ღონისძიებების განსახორციელებლად გადაურიცხა 35, 000 ლარი; თერჯოლის მუნიციპალიტეტმა კი ტყიბულ-თერჯოლის ეპარქიას, კონკრეტულად, მიტროპოლიტ გიორგი შალამბერიძეს, ათონის მთის მოსალოცად და სინმინდების შესაძენად გამოუყო 10,000 ლარი. მეორედ, ტყიბულ-თერჯოლის ეპარქიას „საეკლესიო ნივთების შესაძენად, დამატებით გამოეყო 1,200 ლარი.

გაუმჯიანავი ხარჯები - 2% (60,000 ლარი) -ეს კატეგორია მოიცავს მუნიციპალიტეტების ხარჯებს, რომლებშიც რამდენიმე მიზნობრივი დანიშნულება ერთიანდება და თანხის ოდენობის გამიჯვნა თოთოეული მათგანისთვის შეუძლებელია. მაგალითად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტმა 2014 წელს ნეკრესის ეპარქიას გამოუყო 40,000 ლარი „კომუნალური და სხვადასხვა სახის სამეურნეო ხარჯების“ დასაფარად. მუნიციპალიტეტს არ აქვს ცალ-ცალკე მოცემული კომუნალური და სამეურნეო ხარჯების განაწილება. აგრეთვე, მარტვილის მუნიციპალიტეტს აქვს გამოყოფილი 20,000 ლარი შემდეგი დანიშნულებით: „მარტვილის ეკლესია-მონასტრებში მიმდინარე სამუშაოები და სოფ. სალხისნოს მზრუნველობამოკლებულ წმ. ამბროსი ხელაიას სახელობის ბავშვთა გიმნაზია - პანსიონის ხარჯები“. აქაც, ვერ ხერხდება სარემონტო-სამუშაოებისა და პანსიონის ხარჯების გამიჯვნა.

საყოფაცხოვრებო ხარჯები - 1,9% (56,994 ლარი), აღნიშნულ კატეგორიაში შედის ავეჯისა და საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად გამოყოფილი თანხა. მაგ. ქალაქ ზუგდიდის მერიამ ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიას სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთის შესაძენად გამოუყო 25,161 ლარი. ამ ნივთებში შედის: მაგიდები, კარადები, თაროები, უთო, მიკროტალღური ღუმელი, ხორცის მანქანა, ბლენდერი, კრონშტეინი, 1450 ლარად შეფასებული ჭურჭლის სარეცხი მანქანა, 1327 ლარად შეფასებული საშრობი.

სოციალური მსახურება - 0,6 % (17, 700 ლარი) - მაგალითად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა შემოქმედის ეპარქიას უფასო სასადილოსთვის გამოუყო 7,200 ლარი. ქარელის მუნიციპალიტეტმა პანტელეიმონ მკურნალის სახელობის დედათა მონასტრის „სათნოების სახლს“ გადაურიცხა 500 ლარი.

მარტვილის მუნიციპალიტეტმა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა გიმნაზია - პანსიონის ეზოსა და სპორტული დარბაზის კეთილმოწყობისთვის გამოყო 10, 000 ლარი.

სხვადასხვა სახის მომსახურება - 0,3% (7, 420 ლარი) - ამ კატეგორიაში შედის: „სანვავისა და შეშის შეძენა, საგაზაფხულო სამეურნეო სამუშაოები, კარტოფილის მოხვნა-დამუშავება და აშ.

რელიგიური საგანმანათლებლო საქმიანობა - 0,2% (5,600 ლარი) - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა შემოქმედის ეპარქიას გამოუყო 5,600 ლარი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლისთვის მუსიკალური ინსტრუმენტების შესაძენად.

2015 წელი

2015 წლის მიზნობრივ კატეგორიებში, 2014 წლისგან განსხვავებით, თანხის ყველაზე დიდი წილი 42 % - (1,577,558 ლარი) გამოყოფილია კომუნალური ხარჯების დასაფარად, 32 %-ის (1,197,715 ლარი) მიზნობრიობა კი, უცნობია.

მაგალითად, ხონი-სამტრედიის ეპარქიამ სამტრედიის მუნიციპალიტეტისგან მიიღო 260,000 ლარი, ხოლო ხონის მუნიციპალიტეტისგან 150,000 ლარი, ჯამში - 410,000 ლარი. საჯარო ინფორმაციის წერილში მითითებული მოთხოვნის მიუხედავად, არ ჩანს, თუ რაში ხარჯავს აღნიშნული ეპარქია მისთვის გადაცემულ თანხას.

მომართვის თანახმად გაცნობებთ, რომ არანაირი მატერიალური სიკეთე (უძრავი და მოძრავი ქონება) არის გაცემული 2015 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. მუნიციპალიტეტის ბალანსიდან საქართველოს მართლმადიდებლური ავტოკეფალიური ეკლესიის საპატრიარქოსათვის, მისი ეპარქიებისათვის, მონასტრისათვის, მართლმადიდებლური სასულიერო პირებისათვის, საპატრიარქოს ეპარქიების დაქვემდებარებაში მყოფი საგანმანათლებლო დაწესებულებების ან იურდიული პირებისათვის ან მართლმადიდებლური ეკლესიისათვის წმინთიერი სხვა რელიგიური მიზნებისათვის.

რაც შეეხება სხვა სახის მატერიალურ სიკეთეს გაცნობებთ რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული გეგმა ხონი- სამტრედიის ეპარქიის დასაფინანსებლად შეადგენდა 260,0 ათ.ლარს რომელიც დაფინანსებული იქნა ეტაპობრივად გეგმის მიხედვით 2015 წლის განმავლობაში.

ვალერიანე ფოცხვერია



სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი

თქვენი, N გ01/441/2016 წერილის პასუხად გაცნობებთ, 2015 წლის 01 იანვრიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდა მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის ხონისა და სამტრედიის ეპარქია 150000,00 (ასორმოცდაათათასი) ლარით. რაც შეეხება, სხვა რელიგიურ ორგანიზაციებს 2015 წელს მუნიციპალიტეტისათვის არ მოუმართავთ ბალანსზე არსებული ქონების გადაცემასთან დაკავშირებით. შესაბამისად, მათთვის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ქონების გადაცემა არ მომხდარა.

პატივისცემით

ჯემალ მებუკე

ხონის მუნიციპალიტეტის გამგებელი

2015 წელს, ბორჯომ-ბაკურიანის ეპარქიას ბორჯომის მუნიციპალიტეტიდან გადაერიცხა 146,000 ლარი, რომლის მიზნობრიობა ასევე უცნობია.

საყოფაცხოვრებო ხარჯებიდან, რომელიც ჯამური დაფინანსების 0,6%-ს შეადგენს, აღსანიშნავია, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მიერ მარგვეთისა და უბისის ეპარქიისთვის გადაცემული თანხები: კონდიციონერის შესაძენად - 2,397 ლარი, და საოფისე ავეჯის შესაძენად - 6,340 ლარი.


№	დასახელება	სახ. ერთ.	რაოდენობა	წონა	გამომ. წელი	შეფ. სახე	ერო. ფასი	თანხა
1.	ხაოფისი მკვიდეა		6				100	600
2.	კარადა ხაოფისი		2				260	520
3.	ლოფინი ერთი საწ.		6				250	1500
4.	ტუშო		6				100	600
5.	სარეც		1				80	80
6.	კარადა საძინებლის		2				450	900
7.	საძინებლის ლოფინი		1				700	700
8.	საძინებლის ლოფინი		1				665	665
9.	საძინებლის ლოფინი		1				775	775
10.								
11.								
12.								
	ჯამი 6340							

2015 წელს, გვხდება ახალი კატეგორია - ხელფასები. ამ მიზნით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტმა ააიპ საქართველოს საპატრიარქოს წმ. სვიმონ კანანელის სახ. სასულიერო სწავლების ცენტრს ორი საშტატო ერთეულისთვის გადაურიცხა ხელფასი, თვეში 630 ლარის ოდენობით (სულ 6,300 ლარი) და 1,890 ლარი - სამი თვის ხელფასი (იანვარი-მარტი), სულ - 8,190 ლარი.

სოციალურ-საქველმოქმედო საქმიანობაზე თანხის 0,2 %-ა გათვალისწინებული.

დიაგრამა #15

მიზნობრივი კატეგორიები, მუნიციპალიტეტები (2015)


**4.2.3. მართლმადიდებელი ეკლესიის მუნიციპალური დაფინანსების დინამიკა 2012-2015**

2012-2015 წლებში საპატრიარქოს მუნიციპალური დაფინანსების დინამიკა (მონაცემები არ მოიცავს თბილისში დაფინანსებას) აჩვენებს, რომ 2014 წელს 2013 წელთან შედარებით, დაფინანსება გაზრდილია 23%-ით, ხოლო 2012 წელთან შედარებით -54%-ით. აღსანიშნავია, რომ 2014 წელს, 2009 წლის შემდეგ დაფინანსების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა.

2015 წელს, მუნიციპალური დაფინანსების მაჩვენებელმა 2014 წელთან შედარებით 20%-ით იკლო, თუმცა, აღემატება 2012 წლის დაფინანსების მაჩვენებელს.

დიაგრამა #16

მუნიციპალური დაფინანსების დინამიკა



4.3. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მუნიციპალური დაფინანსება თბილისში

4.3.1. ზოგადი მიმოხილვა

2014 წელი

2014 წელს, თბილისის ათმა რაიონულმა გამგეობამ მართლმადიდებლურ ეკლესიებს მთლიანობაში 1,770,961 ლარი გამოუყო. 2013 წელთან შედარებით დაფინანსება თითქმის 20%-ით არის გაზრდილი.




(ვიზუალიზაცია: JumpStart Georgia)

გამგეობების ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა ქალაქის ბიუჯეტის „სხვა კეთილმოწყობის ღონისძიებების“ პროგრამაშია გათვალისწინებული. ზოგადად, ამ პროგრამის მიხედვით, ქალაქში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება.

თბილისში, 2014 წელს, ყველაზე დიდი თანხა მართლმადიდებლურ ეკლესიებს სამგორის, ვაკისა და ნაძალადევის რაიონულმა გამგეობებმა გადაურიცხეს.

დიაგრამა #17

მართლმადიდებელი ეკლესიის მუნიციპალური დაფინანსება თბილისში (2014)


**2015 წელი**

2015 წელს, თბილისის ათმა რაიონულმა გამგეობამ მართლმადიდებელ ეკლესიას მთლიანობაში 1,601,761 ლარი გამოუყო. 2014 წელთან შედარებით დაფინანსება 10%-ით არის შემცირებული.

ყველაზე დიდი თანხა საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებული ეკლესიებისთვის გამოყვეს მთაწმინდისა და სამგორის გამგეობებმა.

დიაგრამა #18

მართლმადიდებელი ეკლესიის მუნიციპალური დაფინანსება თბილისში (2015)




4.3.2. თბილისში საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსების მიზნობრივი კატეგორიები

2014 წელი

2014 წელს თბილისში ეკლესიებისთვის გადარიცხული 1,770,961 ლარიდან არ ვიცით, რა მიზნით დაიხარჯა თანხის 61%. ამ შემთხვევაში, რაიონულ გამგეობებს დოკუმენტაციაში მითითებული აქვთ „ფინანსური დახმარება“ და დაკონკრეტებული არ არის, თუ რა მიზნებისთვის გაიცემა აღნიშნული თანხა. კეთილმოწყობის სამუშაოებისთვის გადარიცხულია თანხის 33%.

დიაგრამა #19

მართლმადიდებელი ეკლესიის მუნიციპალური დაფინანსების მიზნობრივი კატეგორიები, თბილისი (2014)




ისევე როგორც თვითმმართველი თემების შემთხვევაში, თბილისშიც, თანხა ზოგჯერ სუბიექტების პირად ანგარიშებზე ირიცხება (გლდანის რაიონი).

2015 წელი

2015 წელს, თბილისის გამგეობების მიერ საქართველოს საპატრიარქოსთვის გადაცემული თანხის 76% დაიხარჯა ეკლესიების მშენებლობა/რეკონსტრუქცია/კეთილმოწყობის სამუშაოებზე, თანხის 23%-ის მიზნობრიობა კი უცნობია.

დიაგრამა #20

მართლმადიდებელი ეკლესიის მუნიციპალური დაფინანსების მიზნობრივი კატეგორიები, თბილისი (2015)



4.4. სხვა რელიგიური გაერთიანებების მუნიციპალური დაფინანსება

2014 წელი

2014 წელს მუნიციპალიტეტებმა და თბილისის რაიონულმა გამგეობებმა საქართველოს საპატრიარქოს გარდა, სხვა რელიგიურ გაერთიანებებს სულ გადაურიცხეს 45,186 ლარი, აქედან რეგიონებში - 11,186 ლარი, თბილისში - 34,000 ლარი.

2014 წელს რელიგიური უმცირესობების მუნიციპალური დაფინანსება 2013 წელთან შედარებით, 13,918 ლარით არის გაზრდილი.

დაფინანსება რეგიონების შემთხვევაში შემდეგნაირად გადანაწილდა:

ევანგელურ-ლუთერული ეკლესია - (ლაგოდეხი) 500 ლარი,

მუსლიმი თემი (მარნეულში მდებარე მეჩეთები) - 9396 ლარი

სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქია (ახალქალაქი) - 5049 ლარი

სომეხთა კათოლიკე თემი (ახალქალაქი) - 740 ლარი

2014 წელს რეგიონებში სხვა რელიგიური გაერთიანებებისთვის განწესებული მუნიციპალური დახმარების მიზნობრიობა ცნობილია. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტმა ევანგელურ-ლუთერულ ეკლესიას გადაურიცხა 500 ლარი შშმ ბავშვებისა და მათი მშობლებისთვის. მარნეულის მუნიციპალიტეტმა მუსლიმ თემს 8,140 ლარი გადაურიცხა რელიგიური ღონისძიებების ჩასატარებლად (ყურბან-ბაირამის დღესასწაულთან დაკავშირებით, საქონლის შესაძენად და აშუღის დღესასწაულისთვის); 1256 ლარი კი - კომუნალური ხარჯების დასაფარად. ახალქალაქის მუნიციპალიტეტმა სომხურ სამოციქულო მართლმადიდებელ და სომხურ კათოლიკურ ეკლესიებს აუნაზღაურა კომუნალური ხარჯები -1290 ლარი.

საპატრიარქოს გარდა, სხვა რელიგიური გაერთიანებებისთვის 2014 წელს თბილისში სულ გამოიყო 34,000 ლარი:

სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმიდა ეკლესიის საქართველოს ეპარქია - ფინანსური დახმარება - 21,500 ლარი (კეთილმოწყობისთვის -19, 000 ლარი, დანარჩენი თანხის მიზნობრიობა უცნობია).

ევროპელ ებრაელთა რელიგიური საზოგადოება - 2,500 ლარი (ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და კომუნალური ხარჯებისთვის)


საქართველოს ებრაელთა კავშირი - 2,500 ლარი (ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და კომუნალური ხარჯებისთვის)

ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია - ფინანსური დახმარება - 2,500 ლარი

გემო ვეძისის დასახლება #80-ში მდებარე მუსლიმური სამლოცველო - 5,000 ლარი (სარემონტო სამუშაოებისთვის)

დიაგრამა #21

არამართლმადიდებელი რელიგიური გაერთიანებების დაფინანსების მიზნობრივი კატეგორიები თბილისსა და რეგიონებში (2014)



2015 წელი

საქართველოს საპატრიარქოს გამოკვლებით, სხვა რელიგიურმა გაერთიანებებმა 2015 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტებისა და თბილისიდან ჯამში მიიღეს 24,478.71 ლარის ოდენობის დაფინანსება, აქედან რეგიონებში - 6478.71 ლარი, ხოლო თბილისში (კრწანისის გამგეობა) – 18, 000 ლარი.


რეგიონებიდან, ახალქალაქში სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიების კომუნალური ხარჯების დასაფარად გამოიყო 1,277 ლარი, მარნეულში მეჩეთების კომუნალური ხარჯების დასაფარად - 4, 702 ლარი, ხოლო ლაგოდეხში, 500 ლარით დაფინანსდა ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის საქველმოქმედო პროექტი შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე ბავშვებისა და მათი მშობლებისთვის.

თბილისში, 18,000 ლარით დაფინანსდა „ბეით რახილის“ სახელობის სინაგოგა და თბილისის დიდი სინაგოგის კეთილმოწყობითი სამუშაოები.

ჯამში, 2015 წლის მონაცემებით, თბილისსა და რეგიონებში, თანხის 74% მოხმარდა კეთილმოწყობის სამუშაოებს, 24 % - კომუნალური ხარჯების დაფარვას და დანარჩენი 2 %- საქველმოქმედო საქმიანობას.

დიაგრამა #22


არამართლმადიდებელი რელიგიური გაერთიანებების დაფინანსების მიზნობრიობა რეგიონებსა და თბილისში (2015)

**2013-2015 წლების დინამიკა**

სხვა რელიგიური გაერთიანებების დაფინანსება მუნიციპალიტეტებში (თბილისის ჩათვლით)

დიაგრამა #23

დაფინანსების დინამიკა მუნიციპალიტეტებში (2013-2015)



როგორც, დიაგრამიდან ჩანს, მუნიციპალიტეტებმა 2014 წელს 2013 და 2015 წლებზე ბევრად მეტი თანხა გამოყვეს არამართლმადიდებელი რელიგიური გაერთიანებებისთვის.

4.5. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის მუნიციპალიტეტების მიერ გადაცემული უძრავი ქონება

2014-2015 წლებში, საქართველოს მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების მიერ რელიგიური ორგანიზაციებისთვის გადაცემული ქონების შეფასება აჩვენებს, რომ უძრავი და მოძრავი ქონება მხოლოდ საქართველოს საპატრიარქოს აქვს მიღებული. საპატრიარქოსთვის გადაცემული მატერიალური სიკეთე მიწის ნაკვეთებს, სკვერებს, შენობა-ნაგებობებს მოიცავს.

2014 წელი

საქართველოს საპატრიარქოსთვის 2014 წელს საქართველოს რეგიონებში მუნიციპალიტეტების მიერ გადაცემულია შემდეგი მიწის ნაკვეთები:

საკუთრების უფლებით: 4,740 კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

სარგებლობა/აღნაგობის უფლებით: 27,902 კვ.მ

სულ: 32, 642 კვ.მ


გაცემული უძრავი ქონების რაოდენობა: 6

მუნიციპალიტეტები: მცხეთა, ხობი, ქუთაისი, შუახევი, წყალტუბო, გარდაბანი.

როგორც დიაგრამა #24 -ზეა ასახული, საქართველოს საპატრიარქოსთვის გადაცემული მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობის 76%-ის გამოყენების მიზნობრიობა უცნობია.

დიაგრამა #24

საქართველოს საპატრიარქოსთვის მუნიციპალიტეტებში გადაცემული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთები საკუთრების, სარგებლობა/აღნაგობის უფლებით) მიზნობრიობა (2014)



მინის ნაკვეთების გარდა მუნიციპალიტეტების მიერ საქართველოს საპატრიარქოს გადაეცა შემდეგი შენობა-ნაგებობები:

შუახევი: სხალთის ეპარქიას გადაეცა ორი, 293 კვ.მ და 993 კვ.მ შენობა-ნაგებობა მიზნობრიობა - უცნობი.

ჭიათურა - ჭიათურა-საჩხერის ეპარქიას გადაეცა სოფელ მერევეში მდებარე ბიბლიოთეკის 55 კვ.მ. მიზნობრიობა - უცნობი

2014 წელს, მუნიციპალიტეტებმა საქართველოს საპატრიარქოს სულ გადასცეს 8 უძრავი ნივთი.

2015 წელი

საქართველოს საპატრიარქოსთვის, 2015 წელს საქართველოს რეგიონებში მუნიციპალიტეტების მიერ გადაცემულია შემდეგი მინის ნაკვეთები, რომელთა მიზნობრიობა უცნობია:

მუნიციპალიტეტები: მცხეთა, საგარეჯო, ჭიათურა, ბაღდათი, დუშეთი, სენაკი, ბოლნისი, ხაშური.

საკუთრების უფლებით: 13,927 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი.


სარგებლობა/აღნაგობის უფლებით: 19,268 კვ.მ.

სულ: 33,195 კვ.მ.

გაცემული უძრავი ნივთების რაოდენობა: 12

დიაგრამა #25

რეგიონებში საქართველოს საპატრიარქოსთვის გადაცემული უძრავი ქონების (საკუთრების, სარგებლობა/აღნაგობის უფლებით)



2015 წელს, ქონების გადაცემის მიზნობრივ კატეგორიებში ჩანს, რომ მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობის 50%-ის გადაცემის მიზნობრიობა **უცნობია**.

ჯამური ფართობის 40% **ხაშურის მუნიციპალიტეტმა** საპატრიარქოს გადასცა **სასულიერო პირებისა და მათი ოჯახებისთვის მცირე ზომის დასახლების ასაშენებლად** (49 წლის ვადით, უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით).

გადაცემული ქონების ჯამური ფართობის 5% **ხაშურის მუნიციპალიტეტმა** საპატრიარქოს გადასცა **მიუსაფართა თავშესაფრის მოწყობის მიზნით** (უსასყიდლო უზუფრუქტი, სარგებლობის ფორმით, 10 წლით).

მცხეთის მუნიციპალიტეტმა, აღნაგობის უფლებით გადასცა სოფ. მუხრანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1842 კვ.მ. მიწის ნაკვეთი **ეკლესიის ეზოს კეთილმოწყობისთვის**.

2015 წელს გარდა მიწის ნაკვეთებისა მუნიციპალიტეტებმა საქართველოს საპატრიარქოს გადასცეს შემდეგი შენობა-ნაგებობები:

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი: საპატრიარქოს უსასყიდლოდ გადაეცა სოფ. ნინოწმინდაში არსებული 196 კვ.მ. ფართობის შენობა-ნაგებობა.

ჭიათურის მუნიციპალიტეტი: საპატრიარქოს უზუფრუქტის ფორმით უსასყიდლოდ გადაეცა სოფელ მერევეში მდებარე ყოფილი ბიბლიოთეკის საერთო ფართობიდან 55 კვ.მ.

ამავე სუბიექტს უზუფრუქტის ფორმით უსასყიდლოდ გადაეცა სამსართულიანი შენობის 1019.65 კვ.მ და მესამე სართული 526.70 კვ.მ.


ხაშურის მუნიციპალიტეტი: საქართველოს საპატრიარქოს გადაეცა უძრავი ქონების მე-2 და მე-3 სართულზე მდებარე არასაცხოვრებელი ფართი და მასზე ნაწილობრივად მიმაგრებული ნაკვეთი.

2015 წელს, მუნიციპალიტეტებმა საქართველოს საპატრიარქოს გადასცეს სულ, 15 უძრავი ნივთი.

საბოლოოდ, როგორც დიაგრამა #27 გვიჩვენებს, 2014-2015 წლებში, რეგიონებში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გადაცემული მიწების საერთო ფართობი მკვეთრად აღემატება წინა წლებში გადაცემული ქონების მასშტაბს.

დიაგრამა #26

მართლმადიდებელი ეკლესიისთვის მუნიციპალიტეტების მიერ
გადაცემული მიწების მასშტაბი (კვ.მ)



4.6. თბილისში საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გადაცემული უძრავი და მოძრავი ქონება

2014 წელი

2014 წელს, თბილისში საქართველოს საპატრიარქოს გადაეცა მხოლოდ მოძრავი ქონება, მათ შორის, საპატრიარქოს ხუთი წლით თხოვნის ფორმით გადაეცა თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ორი ერთეული სატრანსპორტო საშუალება (მთლიანობაში საწყისი საბალანსო ღირებულებით 65 500 ლარი).

2015 წელი

2015 წელს თბილისში საქართველოს საპატრიარქოსთვის მოძრავი ქონება არ გადაეცემულა, თუმცა უძრავი ქონება მიწის ნაკვეთების სახით გადაეცა თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოსა და თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ. **აღნიშნული გადაცემის მიზნობრიობა უცნობია.**

საკუთრების უფლებით: 22, 605 კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

სარგებლობა/აღნაგობის უფლებით: 697 კვ.მ

გაცემული უძრავი ნივთების რაოდენობა: 4

სულ: 23,302 კვ.მ

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთავრობის ცნობით, საპატრიარქოს სარგებლობის უფლებით გადაეცა დიღმის მასივში არსებული 697 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მიზნობრიობა არაა ცნობილი. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ აღნიშნულ მოთხოვნაზე დადებითი რეკომენდაცია გასცა.

თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის, ქონების მართვის სააგენტოს ცნობით, 2015 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე, გაფორმდა ორი ხელშეკრულება²⁷, რომლის საფუძველზეც, საქართველოს საპატრიარქოს:

1) საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება: ქ. თბილისში, ისნის რაიონში არსებული 19,016 კვ.მ მიწის ნაკვეთი; ქ. თბილისში, ისნის რაიონში მდებარე 73 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.

სანაცვლოდ, საპატრიარქომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადასცა ისნის რაიონში 19,089 მიწის ნაკვეთი.

2) საპატრიარქოს სიმბოლურ ფასად - 1 ლარად, საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დასახლება ვარკეთილი - 3 მ/რაიონი IV, კორპუსი #417-ის მიმდებარე 1566 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

4.7. ქონებისა და სხვა მატერიალური სიკეთეების განკარგვის მონიტორინგის საკითხი

2015 წელს, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წერილებში მკვლევარებმა თვითმმართველი თემებისა და ქალაქების მუნიციპალიტეტებს ჰკითხეს, აწარმოებდნენ თუ არა ისინი მონიტორინგს რელიგიური ორგანიზაციების მიერ შესაბამისი თანხის/სხვა მატერიალური სიკეთის მიზნობრივად ხარჯვის/განკარგვის შესახებ. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ 74 მუნიციპალიტეტიდან და თბილისის 10 რაიონიდან მონიტორინგი განხორციელდა მხოლოდ 9 შემთხვევაში. აქედან 3 შემთხვევაში, მხოლოდ ნაწილობრივ, რაც იმას ნიშნავს, რომ მონიტორინგი ჩატარდა არა მათ მიერ 2015 წელს თანხების ყველა გადარიცხვაზე, არამედ მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე.

27 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 28 ოქტომბრის #43.08.1238 განკარგულებისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის #425 განკარგულების საფუძველზე, 2015 წლის 27 ნოემბერს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულება; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 2015 წლის 13 ოქტომბრის #41.07.1183 განკარგულებისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის #383 განკარგულების საფუძველზე, 2015 წლის 27 ნოემბერს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის „უძრავი ქონების პირდაპირი ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულება.

4.8. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს როლი მუნიციპალური დაფინანსების პოლიტიკაში

მუნიციპალიტეტების (მათ შორის თბილისის) მიერ მონოდედებული საჯარო ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ 2015 წელს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ (შემდგომში „სააგენტო“) სულ გასცა 32 რეკომენდაცია. მათგან 31 წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობისთვის გაცემულ დადებით რეკომენდაციას - სააგენტომ მიზანშეწონილად მიიჩნია მუნიციპალიტეტის მიერ რელიგიური ორგანიზაციის დახმარება მოთხოვნის შესაბამისად. სააგენტომ გასცა 1 უარყოფითი რეკომენდაცია.²⁸ აღსანიშნავია, რომ სააგენტოს მიერ გაცემული 31 დადებითი რეკომენდაციიდან 29 შემთხვევაში საქმე ეხებოდა საქართველოს საპატრიარქოს მიერ მოთხოვნილ თანხასა თუ სხვა სახის მატერიალურ სიკეთეს. მათგან მხოლოდ 2 რეკომენდაცია ეხებოდა სხვა რელიგიურ გაერთიანებებს და ამ შემთხვევაში, სააგენტომ დანარჩენი 29 შემთხვევისგან განსხვავებით, დაადგინა დახმარების განვეის ნაწილობრივი და არა სრული მიზანშეწონილობა. აღნიშნულ ორ შემთხვევაში არამართლმადიდებელი რელიგიური გაერთიანების მიერ თანხა მოთხოვნილი იყო სინაგოგის კეთილმოწყობისთვის.

სააგენტოს მიერ საქართველოს საპატრიარქოს სასარგებლოდ გაცემული რეკომენდაციები ძირითადად ეხება მუნიციპალიტეტის მხრიდან ისეთი ტიპის დახმარების განვეის მიზანშეწონილობის დადგენას, როგორცაა ეკლესიებისა და მათი ეზოების, ასევე მათთან დაკავშირებული სხვა რელიგიური დანიშნულების შენობების კეთილმოწყობას, რესტავრაციას, სამშენებლო სამუშაოების მხარდაჭერას და სხვ.

აღსანიშნავია, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია რელიგიური უმცირესობებისთვის უძრავი ქონების გადაცემასთან დაკავშირებით რეკომენდაციით სააგენტოს მიმართავს, მაშინ როდესაც, საქართველოს საპატრიარქოსთვის ქონების გადასაცემად ასეთი დოკუმენტი საჭირო არ არის.²⁹

28 აღნიშნული რეკომენდაციით თერჯოლის მუნიციპალიტეტში, საპატრიარქოს უარი ეთქვა გოფანთის ეკლესიის მშენებლობისთვის 25,000 ლარის ოდენობის თანხის გამოყოფაზე.

29 მაგალითისთვის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ გამოგზავნილ წერილში (წერილი #01-8/719; 08 თებერვალი, 2016) აღნიშნულია, რომ 2015 წელს სააგენტოს მიმართა საქართველოში ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის ეპისკოპოსმა მიწის საკუთრებაში გადაცემის თხოვნით, ასევე შევიდა სახარების რწმენის ქრისტიანთა გაერთიანებულ ორმოცდაათინელთა ეკლესიის საბჭოს განცხადება, რომლითაც მოთხოვნილი იყო მიწის ნაკვეთის გადაცემა. წერილში აღნიშნულია, რომ ევანგელურ-ლუთერულ ეკლესიის შემთხვევაში საჭირო იყო დამატებითი დოკუმენტაციის მიწოდება, ხოლო სახარების რწმენის ქრისტიანთა გაერთიანებულ ორმოცდაათინელთა ეკლესიის საბჭოს წერილი თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს განიხილა და დადებითი რეკომენდაცია მოითხოვეს. მკვლევარებმა მოითხოვეს რეკომენდაციის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, თუმცა თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს პასუხი არ გაუცია. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა (წერილი #1/438), რომ 2016 წლის 25 თებერვალს, საკითხი განიხილა ქონებრივ და ფინანსურ საკითხთა შემსწავლელმა სარეკომენდაციო კომისიამ და გაიცა დადებითი რეკომენდაცია. აღსანიშნავია, რომ TDI-მ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიმართა წერილით (295-2 /2016), რომელშიც მოთხოვნილი იყო, სააგენტოს განემარტა სამართლებრივი საფუძველი, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტები ითხოვენ რელიგიური ორგანიზაციებისთვის ქონების ან/და დაფინანსების გადაცემის საკითხებზე შესაბამის რეკომენდაციებს; არსებობს თუ არა რაიმე სამართლებრივი ძალის მქონე დოკუმენტი ასეთ ანგარიშვალდებულებაზე. თუმცა, სააგენტოს აღნიშნულ კითხვაზე პასუხი არ გაუცია.).

5. რელიგიური ორგანიზაციების საკუთრებასა და სარგებლობაში რეგისტრირებული უძრავი ქონება

ამ თავში შევეხებით არა მხოლოდ საკვლევ პერიოდში საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და სხვა რელიგიური ორგანიზაციებისთვის სახელმწიფოს მიერ უძრავი ნივთების გადაცემის ფაქტებს, არამედ შეფასდება მართლმადიდებელი ეკლესიისა და სხვა რელიგიური ორგანიზაციების საკუთრებასა და სარგებლობაში რეგისტრირებული უძრავი ქონება.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს მთავრობის 117-ე დადგენილების მიღებით ხელისუფლებამ პოლიტიკური ნება გამოხატა, რომ საქართველოს საპატრიარქოს გარდა, სხვა რელიგიურ ორგანიზაციებსაც აუნაზღაუროს საბჭოთა ტოტალური რეჟიმის დროს მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანი. მიუხედავად ამისა, დღეის მდგომარეობით, კვლავაც მოუწესრიგებელი რჩება რელიგიური უმცირესობებისთვის იმ უძრავი ნივთების, მათ შორის, საკულტო ნაგებობების რესტიტუციის საკითხი, რომელიც მათ საბჭოთა რეჟიმის დროს ჩამოერთვათ და ამჟამად სახელმწიფოს საკუთრებაშია. დღესდღეობით, არ არსებობს სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც შესაძლებელს გახდიდა უძრავი ნივთების საპატრიარქოს გარდა, სხვა რელიგიური ორგანიზაციების საკუთრებაში გადაცემას.

იმ პირობებში, როდესაც რელიგიური უმცირესობებისთვის, კანონმდებლობის დისკრიმინაციულობისა და გაუმართაობის გამო, ვერ ხორციელდება მათი ისტორიული უძრავი ნივთების საკუთრებაში გადაცემა და რესტიტუცია, საქართველოს საპატრიარქოს სახელმწიფო ყოველწიურად საკუთრებაში გადასცემს ისეთ უძრავ ნივთებს, რომელიც მის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში ისტორიულად არასდროს ყოფილა. შესაბამისად, მსგავსი პრაქტიკა სრულიად სცდება, კონსტიტუციური შეთანხმების შესაბამისად, საბჭოთა რეჟიმის დროს მიყენებული მატერიალური ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებას და პირდაპირ ეწინააღმდეგება სეკულარული სახელმწიფოს პრინციპს. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთების საქართველოს საპატრიარქოსთვის საკუთრებაში გადაცემისას, არ ხორციელდება იმის გამოკვლევა ან/და მითითება თუ რა მიზნობრიობით უნდა განხორციელდეს გადაცემული უძრავი ნივთის გამოყენება.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ, ძირითად შემთხვევაში, არ ხორციელდება რელიგიური ორგანიზაციების საკუთრებასა და სარგებლობაში გადაცემული უძრავი ნივთების საბაზრო ღირებულების შეფასება. შესაბამისად, შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რა ღირებულების უძრავი ქონება გადაეცემა საქართველოს საპატრიარქოსა და სხვა რელიგიურ ორგანიზაციებს.


5.1 საქართველოს საპატრიარქოს საკუთრებასა და სარგებლობაში რეგისტრირებული უძრავი ქონება

კანონმდებლობის შესაბამისად, უძრავ ნივთებზე საკუთრებისა და სარგებლობის უფლება რეგისტრირდება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში³⁰. აქედან გამომდინარე, კვლევის პერიოდში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან გამოთხოვილ იქნა საჯარო ინფორმაცია საქართველოს საპატრიარქოს, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის სარგებლობისა და საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავი ნივთების სტატისტიკის თაობაზე. შესაბამისად, ქვემოთ მითითებული მონაცემები არ შეიცავს ინფორმაციას საქართველოს საპატრიარქოს მიერ დაფუძნებული ორგანიზაციის უძრავ ნივთებთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს საპატრიარქოს საკუთრებაშია 565 მიწის ნაკვეთი, ჯამური ფართობით 16 742 987.82 კვ.მ. (1674.3 ჰა).³¹

მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება 6-ჯერ აღემატება თვითმართველი ქალაქი მცხეთის მთლიან ფართობს.

საქართველოს საპატრიარქოს საკუთრებაში რეგისტრირებული 565 მიწის ნაკვეთიდან 243-ზე შენობა-ნაგებობაა განთავსებული.



30 „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლი

31 მონაცემები საქართველოს საპატრიარქოს საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ნივთების შესახებ, სარეგისტრაციო ზონების მიხედვით შეგიძლიათ იხილოთ ცხრილი N-ში

ფართობის მიხედვით, საქართველოს საპატრიარქოს საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების დიდ ნაწილს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები შეადგენენ. ხოლო უძრავი ნივთების რაოდენობის მიხედვით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.



ყველაზე დიდი ფართობის ქონება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ქარელის მუნიციპალიტეტში აქვს რეგისტრირებული - 37 მიწის ნაკვეთი, საერთო ფართობით 4 131 382 კვ.მ. ყველაზე მცირე კი თერჯოლის მუნიციპალიტეტში 1 უძრავი ნივთის სახით, რომლის ფართობიც 147 კვ.მ-ია.

ათი მუნიციპალიტეტი, სადაც ფიქსირდება საქართველოს საპატრიარქოს საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ყველაზე მასშტაბური მონაცემები.

	ზონა	ფართობი (კვ.მ)	რაოდენობა
1	ქარელი	4 131 382	37
2	გორი	4 055 488	78
3	თეთრიწყარო	2 242 923	19
4	სენაკი	1 176 030.3	28
5	საგარეჯო	868 909	5
6	გარდაბანი	670 654	21
7	თბილისი	391 474	69
8	ჭიათურა	314 218	6
9	ბოლნისი	303 647.95	5
10	ოზურგეთი	279 593	14

საქართველოს საპატრიარქოს, სახელმწიფოსგან და ადგილობრივი თვითმმართველობებისგან, საკუთრების გარდა, უძრავი ნივთები ხშირად სარგებლობის უფლებითაც გადაეცემა.

2015 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, საქართველოს საპატრიარქოს სარგებლობაში რეგისტრირებული უძრავი ქონება:

	ზონა	რაოდენობა	ფართობი (კვ.მ)
1	დუშეთი	1	7742
2	ქარელი	1	4400
3	შუახევი	1	646
4	შუახევი	2	1669
5	თბილისი	1	10174
6	ქობულეთი	1	11810
7	ოზურგეთი	3	14863
8	გურჯაანი	1	836
9	წყალტუბო	1	68
10	ოზურგეთი	1	706
11	ჩოხატაური	2	703
12	სამტრედია	1	3465
	ჯამი	16	57082

საქართველოს საპატრიარქოს მიწის ნაკვეთების, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობის გარდა, საკუთრებაში რეგისტრირებული აქვს ქ. კასპში, სააკაძის ქუჩაზე მდებარე, მშენებარე გადასასვლელი ხიდი. აღნიშნული ხიდი საქართველოს საპატრიარქოს სახელმწიფომ 2009 წელს გადასცა (იხ. დანართი #8).

ასევე, საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად, ფიქსირდება, რამდენიმე შემთხვევა, როდესაც საქართველოს საპატრიარქოს, სახელმწიფოს მიერ საკუთრებაში გაცემული უძრავი ნივთები იჯარის ხელშეკრულებით სხვა პირებზე აქვს გაცემული და საიჯარო ქირის სახით შესაბამის მოგებასაც იღებს.

მაგალითად, ქ. ბაღდათში რუსთაველის ქ. N24-ში მდებარე საქართველოს საპატრიარქოს საკუთრებაში რეგისტრირებული 25 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელიც საპატრიარქოს საკუთრებაში 2012 წელს გადასცა სახელმწიფომ, იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, რადიოსატელეფონო კავშირგაბმულობის საბაზო სადგურის და ანძის განსათავსებლად 2017 წლის 1 მარტამდე, სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს შპს „მობიტელისთვის“ (კომპანია „ბილიანი“). საიჯარო ქირა 2013 წლის 1-ლი აპრილიდან 2015 წლის 9 ივნისამდე, ყოველთვიურად შეადგენდა 500 ლარს, 2015 წლის 9 ივნისის შემდეგ კი, აღნიშნული თანხა 800 ლარამდე გაიზარდა.



საქართველოს საპატრიარქოს, ასევე იჯარის ხელშეკრულებით აქვს გაცემული ქ. თბილის-ში ლესელიძის ქ. N36-ში მდებარე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის „ქარვასლას“ შენობა. (1 503 კვ.მ მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობა საერთო ფართობით 2 434.77 კვ.მ.³²). აღნიშნული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი სახელმწიფომ საპატრიარქოს 2008 წელს უსასყიდლოდ გადასცა საკუთრებაში.

„ქარვასლის“ შენობის სარგებლობის უფლების გადაცემის შესახებ, 2016 წლის 23 თებერვალს, საქართველოს საპატრიარქოს მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირს შპს „მნესა“ (404508323) და შპს „ქარავან თბილისს“ (405128017) შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების³³ თანახმად, საიჯარო ქირის ოდენობა, ობიექტზე მშენებლობის ნებართვის მიღებიდან 1 წლის განმავლობაში, 1 180 ლარის ოდენობით განისაზღვრა, ვინაიდან საიჯარო ქონება არის შავი კარკასის მდგომარეობაში და ხელშეკრულების დადების მომენტისთვის, შეუძლებელია ობიექტით ნორმალური სარგებლობა. ჭერჭერობით, მითითებულ ობიექტზე მშენებლობის ნებართვა არ გაცემულა. შესაბამისად, საიჯარო ქირის გადახდა, ნებართვის მიღების დღიდან დაიწყება. ნებართვის მიღებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ კი, საიჯარო ქირა თვეში 29 500 აშშ დოლარამდე გაიზრდება.

აღნიშნული უძრავი ნივთი გაცემულია სასტუმროს, რესტორნის, მაღაზიების, კვების ობიექტების, ბაზრობისა და მისთვის დამხმარე სანყოფის/სათავსოს მოწყობის მიზნით. დაუშვებელია ობიექტის გამოყენება აზარტული თამაშების წარმოება/წახალისების მიზნით.

32 ფოტოები ხელმისაწვდომია ვებ. გვერდზე <http://docs.tbilisi.gov.ge/DownloadServlet?downloadCase=2&attachedFileId=1358034>

33 ხელშეკრულება ხელმისაწვდომია ვებ. გვერდზე <http://docs.tbilisi.gov.ge/DownloadServlet?downloadCase=2&attachedFileId=1368345>

საპატრიარქოს მიერ დაფუძნებულ შპს „მნე“-სა და შპს „ქარავან თბილისს“ შორის იჯარის ხელშეკრულება 15 წლის ვადით არის გაფორმებული“.

5.2. სხვა რელიგიური ორგანიზაციების საკუთრებასა და სარგებლობაში რეგისტრირებული უძრავი ნივთები

საქართველოს საპატრიარქოს ქონებასთან შედარებით, მნიშვნელოვნად მცირეა სხვა რელიგიური ორგანიზაციების საკუთრებასა და სარგებლობაში რეგისტრირებული უძრავი ქონება. ზოგიერთ შემთხვევაში, რელიგიურ ორგანიზაციებს საჯარო რეესტრში ის უძრავი ნივთებიც არ აქვთ რეგისტრირებული (არც სარგებლობაში და არც საკუთრებაში), რომლითაც ისინი ფაქტობრივად სარგებლობენ და ის მათ საკულტო ნაგებობას წარმოადგენს. მაგალითად, არცერთი უძრავი ნივთი არ ფიქსირდება სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმიდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის სახელზე, საკუთრებისა და სარგებლობის უფლებით. ასევე არ ფიქსირდება საკუთრებისა და სარგებლობის უფლება უძრავ ნივთებზე საქართველოში იმედიტა სასულიერო საბჭოს სახელზე. ასევე, ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც რელიგიურ უმცირესობათა საკულტო ნაგებობები ან/და სხვა სახის უძრავი ქონება ფიზიკური პირის სახელზეა რეგისტრირებული.

რელიგიური ორგანიზაციების საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ნივთები.

დასახელება	რაოდენობა	ფართობი (კვ.მ)
საქართველოს საპატრიარქო	565	16 742 987.82
ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია	15	114 839.00
იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული კრება საქართველოში	17	14 174
სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო	12	13 556
საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია	4	7 716
საქართველოს ევანგელიურ-ლუთერული ეკლესია	1	810.00
საქართველოს ებრაელთა კავშირი	1	64
აღმოსავლეთ ევროპის სომეხ კათოლიკეთა ორდინარიტი	2	1175

34 შენიშვნა: ნიშანდობლივია, რომ ლესელიძის ქ. N36-ში მდებარე უძრავი ნივთი საქართველოს საპატრიარქოს 2006 წელსაც ჰქონდა გაცემული. აღნიშნულ პერიოდში, მითითებული უძრავი ნივთის მესაკუთრე ჯერ კიდევ სახელმწიფო იყო, ხოლო, საქართველოს საპატრიარქოს მითითებული ობიექტი უზრუნველყოფის ხელშეკრულებით უსასყიდლოდ ჰქონდა გადაცემული. 2006 წლის 31 იანვარს, საქართველოს საპატრიარქომ, სახელმწიფოს თანხმობის საფუძველზე, იჯარის ხელშეკრულება გააფორმა შპს „დელქროსს ლიმიტედთან“ (5181317 ანმერშ პაუზ 40 ანმერშ გროუ, სტანდორი, მიდლსექს, ინგლისი). ხელშეკრულების თანახმად, ობიექტის გამოყენება უნდა განხორციელდებოდა კომერციული მიზნით, საზოგადოებრივი, კულტურული, ტურისტული, საგამოფენო და საკონფერენციო დარბაზებისთვის, ქართული და უცხოური ფირმების ოფისების მოსაწყობად და სხვა დანიშნულებით, რომელიც მისაღები იქნებოდა საპატრიარქოსთვის. საიჯარო ქირა განსაზღვრული იყო 25 000 აშშ დოლარით, რომლის გადახდაც უნდა დანერგულიყო ობიექტზე სამშენებლო სამუშაოების დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღებიდან 35 დღის ვადაში. ხელშეკრულების თანახმად, კი სარეკონსტრუქციო-აღდგენითი და სამშენებლო სამუშაოები უნდა დასრულებულიყო არაუგვიანეს 2010 წლის 31 იანვარსა. იჯარის ხელშეკრულება დადებული იყო 50 წლის ვადით, მაგრამ 2014 წლის 11 მარტს, საქართველოს საპატრიარქომ საჯარო რეესტრს, მითითებული ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე განცხადებით მიმართა. რამდენადაც, საიჯარო ობიექტი, დღეის მდგომარეობით, კვლავ სარემონტო მდგომარეობაშია, ივარაუდება, რომ საპატრიარქომ მითითებული იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის მიღება ვერ შეძლო, მაგრამ კვლევის ფარგლებში დაზუსტებული ინფორმაციის მოძიება ვერ მოხერხდა.

სხვა რელიგიურ ორგანიზაციებზე, საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად, საკუთრების უფლება არ ფიქსირდება.³⁵ რაც შეეხება სარგებლობის უფლებას. რელიგიური ორგანიზაციების სარგებლობაში რეგისტრირებული უძრავი ნივთების სტატისტიკური მონაცემები ასეთია:

დასახელება	ფართობი	რაოდენობა
საქართველოს ებრაელთა კავშირი	10 911	9
საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია	611	1
სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო	69548	76

6. რელიგიური ორგანიზაციების გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება სახელმწიფოს დაფინანსების ფარგლებში

6.1. მოქმედი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ჩარჩოს მიმოხილვა

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს უფლება, კანონით დადგენილი წესით, გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას“.

„ინფორმაციის თავისუფლებას საქართველოს კონსტიტუცია გამორჩეულ ადგილს ანიჭებს და დიდ ყურადღებას უთმობს. [...] ინფორმაციის თავისუფლების გარეშე, წარმოდგენილია აზრის თავისუფლებისა და თავისუფალი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სასიცოცხლო დისკუსიისა და აზრთა ჭიდილის პროცესის უზრუნველყოფა. აზრის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია, რომ მოპოვებულ იქნას ინფორმაცია, ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება კი უზრუნველყოფს, რომ აზრი მივიდეს ავტორიდან ადრესატამდე. გარდა საზოგადოებრივი დატვირთვისა, ინფორმაციის თავისუფლებას დიდი მნიშვნელობა აქვს ცალკეული ინდივიდის პიროვნული და ინტელექტუალური განვითარებისათვის.“³⁶

35 შენიშვნა: კვლევის ფარგლებში, საჯარო რეესტრიდან ინფორმაცია გამოთხოვილი იქნა მხოლოდ 20 რელიგიურ ორგანიზაციაზე: 1. ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია (404408342) 2. იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული კრება საქართველოში (406134678) 3. სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო (401960794) 4. საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია (401979962) 5. საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია (404412596) 6. იეზიდთა სასულიერო საბჭო (406054825) 7. საქართველოს ებრაელთა კავშირი (404411310) 8. საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია (406068099) 9. აუსბურგის რწმენის ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესია (412687454) 10. საქართველოს მუსლიმთა გაერთიანება (406079719) 11. სრულიად საქართველოს მუსლიმთა გაერთიანება (434161177) 12. სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმიდა ეკლესიის საქართველოს ეპარქია (404418803) 13. ეკლესია სიცოცხლის სიტყვა (446959426) 14. სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო (426521436) 15. სომეხთა სამოციქულო წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის, სამცხე-ჯავახეთის და წალკის ვიკარიატი (423352375) 16. ქრისტეს ეკლესია (405021596) 17. სახარების რწმენის ქრისტიანთა გაერთიანებული ორმოცდაათიანელთა ეკლესია (404434000) 18. აღმოსავლეთ ევროპის სომეხ კათოლიკეთა ორდინარიატი (406055726) 19. საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია (401974477) 20. საქართველოში ასირიულ-ქალდეური კათოლიკური თემი (404911244)

36 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის #2/3/406,408 გადაწყვეტილება, II.3.10;

გარდა საზოგადოებრივი დისკუსიების წამოჭრისა, ოფიციალურ დოკუმენტებზე წვდომა ხელს უწყობს სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების საზოგადოებრივი კონტროლის ჩამოყალიბებას, რომელიც ორიენტირებულია გადასახადის გადამხდელთა სახსრებიდან შედგენილი საბიუჯეტო დანახარჯების მიზნობრიობისა და ხარჯის ეფექტურობის მონიტორინგზე და ამ კუთხით ზღუდავს სახელმწიფო ინსტიტუტების თვითნებობას.

მიუხედავად, რელიგიური ორგანიზაციების საბიუჯეტო სახსრებიდან დაფინანსების მიმართ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესისა, საქართველოს კანონმდებლობა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე რელიგიურ ორგანიზაციებს გამორიცხავს იმ პირთა წრიდან, რომელთაც გააჩნიათ ვალდებულება, გასცენ საჯარო ინფორმაცია.³⁷ შესაბამისად, დაინტერესებულ პირს არ აქვს შესაძლებლობა რელიგიური ორგანიზაციისგან მიიღოს საჯარო ინფორმაცია, მათთვის გადაცემული სახელმწიფო სახსრების ხარჯვასთან დაკავშირებით.

მითითებული ნორმების კონსტიტუციურობა და რელიგიური ორგანიზაციების მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემა/არ გაცემის კონსტიტუციური ვალდებულების არსებობის საკითხი შეფასდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმეზე, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი კვეენაძე, ნინო კვეტენაძე და ბესიკი გვენეტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. (№1/1/618)

საკონსტიტუციო სასამართლომ, ისე რომ რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების სპეციფიკა და ფაქტობრივი ბუნება არ განიხილა, სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარი განაცხადა. საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება ძირითადად რელიგიური ორგანიზაციის ფუნქციების შეფასებას დააფუძნა. სასამართლომ მიუთითა, რომ კონსტიტუციის 41-ე მუხლის, როგორც სახელმწიფო დანესებულებებში დაცული ოფიციალური დოკუმენტების გაცნობის უფლების დამდგენი ნორმის მიზნებისათვის, საჯარო დანესებულებად ითვლება მხოლოდ ის ორგანიზაციები, რომლებიც ასრულებს სახელმწიფო ამოცანებს, საჯარო უფლებამოსილებას, სახელმწიფო დაფინანსების თუ მის გარეშე.³⁸

დასკვნის სახით, საკონსტიტუციო დავის გადაწყვეტის მიზნით, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს საპატრიარქო არ ახორციელებს საჯარო უფლებამოსილებას და სახელმწიფოს მხრიდან მასზე არ მომხდარა რომელიმე სახელმწიფო ფუნქციის დელეგირება, მიუხედავად იმისა, რომ მის ფუნქციონირებაში სახელმწიფო მონაწილეობს, მისი დაფინანსების გზით.

37 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულება აქვთ ადმინისტრაციული ორგანოს, სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებულ კერძო სამართლის იურიდიული პირს, ასეთი დაფინანსების ფარგლებში; ამავე კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო – ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დანესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს; შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის მქონე რელიგიური ორგანიზაციები თავისუფლდებიან საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისგან საბიუჯეტო სახსრებიდან დაფინანსების ფარგლებშიც კი.

38 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 26 თებერვალი, 2016 | № 618/1/1 განჩინება (საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - გიორგი კვეენაძე, ნინო კვეტენაძე და ბესიკი გვენეტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.)

ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ საკუთარი მსჯელობის განსამტკიცებლად მითითება გააკეთა საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლზე და აღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე, სეკულარიზმის კონსტიტუციურ პრინციპზე, რომელიც რელიგიური დაწესებულების საქმიანობიდან სახელმწიფო ორგანოების ფუნქციონალურ გამიჯვნას გულისხმობს. სასამართლოს შეფასებით, რელიგიური ორგანიზაციის კონფესიური მიზნების განხორციელება ფუნქციონალურად ვერ დაუკავშირდება საჯარო უფლებამოსილებებს, ასეთი დაკავშირება კი დაარღვევს სეკულარიზმის პრინციპს.

შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობით, რელიგიურ ორგანიზაციების გათავისუფლება საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისგან გამართლებულია, სახელმწიფოსგან მათი ინსტიტუციური დამოუკიდებლობის, სეკულარიზმის პრინციპის არგუმენტით. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლო იზიარებს მოსარჩელების პოზიციას საბიუჯეტო სახსრების ხარჯვასთან წვდომის მნიშვნელობის შესახებ. „გასაზიარებელია მოსარჩელის არგუმენტი, რომლის თანახმადაც, მას უნდა ჰქონდეს ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვის შესახებ, რაც სახელმწიფო ორგანოთა მიერ ამ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებაზე მიუთითებს, მათ შორის, რელიგიური ორგანიზაციებისთვის გადაცემულ დაფინანსებასთან დაკავშირებით. აღნიშნული წარმოდგენს დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპიდან განუყოფელ, ღია მმართველობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს წინაპირობას. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლით დაცული უფლება მიემართება სახელმწიფოს და მისი რეგულირების ქვეშ ვერ მოვიაზრებთ სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი რელიგიური გაერთიანებების ვალდებულებას, ოფიციალური დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე.“³⁹

ამდენად, მართალია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო გამართლებულად მიიჩნევს რელიგიური ორგანიზაციების გათავისუფლებას საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისგან, თუმცა, ამავე დროს, აღიარებს საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესების არსებობას საბიუჯეტო სახსრებით რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსებასთან დაკავშირებით. ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვის შესახებ ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის ტვირთს მთლიანად სახელმწიფო ორგანოებს აკისრებს.

განხილულ გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლოს არ შეუფასებია, რამდენად აქვთ სახელმწიფო ორგანოებს ობიექტური შესაძლებლობა დაამუშაონ და გასცენ ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვის შესახებ არსებულ სამართლებრივ ჩარჩოში. შესაბამისად, მითითებული საკითხი დამოუკიდებელი შეფასების საგანია.

მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ როგორც საქართველოს საპატრიარქო, ასევე ოთხი რელიგიური თემი საბიუჯეტო დაფინანსებას იღებს საბჭოთა ტოტალიტარული მმართველობის შედეგად მიყენებული ზიანის კომპენსაციის მიზნით. სამართლებრივი თვალსაზ-

39 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 26 თებერვალი, 2016 | № 618/1/1 განჩინება (საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - გიორგი კვეენაძე, ნინო კვეტენაძე და ბესიკი გვენეტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.) პ.11

რისით, კომპენსაციის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფომ განსაზღვროს გაცემული ანაზღაურების ხარჯვის მიზნობრიობა და განახორციელოს მისი ხარჯვის შემდგომი მონიტორინგი. მაგრამ, დღეს არსებული სამართლებრივი ჩარჩოებისა და პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ რელიგიური ორგანიზაციებისთვის საბიუჯეტო სახსრების გადაცემა მთლიანად გამოვიდა კომპენსაციის სამართლებრივი ჩარჩოებიდან და რელიგიური ორგანიზაციების პირდაპირ დაფინანსებას, სუბსიდირებას დაემსგავსა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია საბიუჯეტო სახსრების ხარჯვაზე საზოგადოებრივი წვდომა, სახელმწიფოს ინსტიტუტების კონტროლისთვისაც. ამისთვის კი აუცილებელია, რომ თავის მხრივ, სახელმწიფოს ჰქონდეს წვდომა ასეთ ინფორმაციაზე და შემდგომში, ამ ინფორმაციას აწვდიდეს დაინტერესებულ პირებს.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას, რომ იმ პირობებში, როდესაც რელიგიური ორგანიზაციები ღებულობენ ფინანსურ სახსრებს ზიანის ანაზღაურების ფარგლებში, არ უნდა მოხდეს აღნიშნული სახსრების სახელმწიფოს მხრიდან მონიტორინგი ან სხვა სახით ჩარევა ამ თანხის გახარჯვაში, რამდენადაც აღნიშნული დაარღვევდა სახელმწიფოსა და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის არსებულ ურთიერთდამოუკიდებლობის პრინციპს, მაგრამ, ისეთი ფაქტობრივი გარემოების არსებობისას, როდესაც სახელმწიფო რელიგიური ორგანიზაციების არსებით სუბსიდირებასა და პირდაპირ დაფინანსებას ახორციელებს, მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს აღნიშნულ სახსრების გამოყენებაზე საზოგადოებრივი წვდომის შესაძლებლობა და უზრუნველყოფილი იქნას მათი გამოყენების მაქსიმალური გამჭვირვალობა, რათა საზოგადოებას ჰქონდეს შესაძლებლობა განახორციელოს სახელმწიფოს სახსრების ხარჯვის კონტროლი და სახელმწიფოს თვითნებობის პრევენცია.

6.2. სახელმწიფოს წვდომა საქართველოს საპატრიარქოსთვის გადაცემულ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვასთან

ვინაიდან საქართველოს საპატრიარქოს დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის საფუძველზე ხორციელდება, საქართველოს საპატრიარქო განიხილება სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავ ორგანიზაციად. შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს საპატრიარქოს ბიუჯეტის დაგეგმვის, კვარტალური/წლიური ანგარიშგების და შესრულების შესახებ ინფორმაციას მოიპოვებს და ამ ინფორმაციას დაინტერესებულ პირებზეც გაცემს ისევე, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ყველა მხარჯავი დაწესებულების შემთხვევაში.⁴⁰

ზოგადად, ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებების მიერ ბიუჯეტების შესრულებასა და ბიუჯეტების ასიგნებების ხარჯვაზე,⁴¹ ადმინისტრაციული სახსრების, ქონების ხარჯვასა და გამოყენებას ამოწმებს სახელმწიფო აუდიტის სამსახური. მაგრამ კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილება არ

40 საბიუჯეტო კოდექსის მე-15, 55, 56 მუხლი

41 საბიუჯეტო კოდექსის მე-19 მუხლი

ვრცელდება საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე.⁴² შესაბამისად, სახელმწიფო არ ამოწმებს საქართველოს საპატრიარქოს მიერ, მისთვის გადაცემული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვასთან დაკავშირებით მიწოდებული ინფორმაციის ნამდვილობას.

აქვე, აღსანიშნავია, რომ საქართველოს საპატრიარქოსთვის გადაცემული საბიუჯეტო სახსრების დიდი ნაწილის მიმღები სუბიექტი არის არა სსიპ სტატუსის მქონე რელიგიური ორგანიზაცია, საქართველოს საპატრიარქო, არამედ მის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირები. მათი ხარჯვა კი, კანონმდებლობის შესაბამისად, შესაძლებელია დაექვემდებაროს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შემოწმებას.

აღსანიშნავია, რომ სსიპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისგან განსხვავებით, მის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირები ასევე არ თავისუფლდებიან, ნებისმიერი დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, საბიუჯეტო დაფინანსების ფარგლებში, საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისგან. კერძო სამართლის იურიდიული პირები ვალდებულები არიან, სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსების ფარგლებში, გასცენ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია,⁴³ იმის მიუხედავად, თუ ვინ არის მათი დამფუძნებელი პირი.⁴⁴

6.3. სახელმწიფოს წვდომა ოთხი რელიგიური თემისთვის გადაცემული სახსრების ხარჯვასთან

საქართველოს საპატრიარქოსგან განსხვავებით, რომლისთვისაც საბიუჯეტო სახსრების გაცემა მხოლოდ კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე, დამატებითი სამართლებრივი მოწესრიგებისა და სახელმწიფოს მიმართ დამატებითი ანგარიშვალდებულებების გარეშე ხორციელდება, სრულიად განსხვავებულია ამ მხრივ სახელმწიფოს პოლიტიკა, საქართველოს მთავრობის N117-ე დადგენილების საფუძველზე, ოთხი რელიგიური თემისთვის გაცემული კომპენსაციის ხარჯვის კონტროლის ნაწილში.

თანხების გადაცემის მიზნით, სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ რელიგიურ ორგანიზაციებთან საბჭოთა ტოტალური რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივი

42 „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე02 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი.

43 ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი

44 შენიშვნა: მსგავსი ვალდებულების არსებობას ადასტურებს ა(ა)იპ – „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტიდან“ კვლევის ფარგლებში გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია, რომელითაც მოთხოვნილი იყო ინფორმაცია საქართველოს მთავრობის სარეგერვო ფონდიდან, 2014-2015 წლებში გამოყოფილი 2 000 000 ლარის ხარჯვის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ა(ა)იპ – „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტი“, როგორც ნებისმიერი სხვა კერძო სამართლის იურიდიული პირი, ვალდებული იყო, სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსების ფარგლებში, გაეცა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ ან განსაკუთრებით შემთხვევებში არაუგვიანეს 10 დღისა, უნივერსიტეტმა კვლევის ფარგლებში მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია გასცა მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოში შეტანილი სარჩელის შემდგომ.

ანაზღაურების შესახებ ხელშეკრულებები გააფორმა. ხელშეკრულების თანახმად, რელიგიურმა გაერთიანებებმა სახელმწიფოს წინაშე იკისრეს გარკვეული ანგარიშვალდებულებები.

ხელშეკრულების დადებიდან ერთი თვის ვადაში, რელიგიური გაერთიანებები ვალდებული არიან, სააგენტოს წარუდგინონ ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნების შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის პროგრამა. სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში, რელიგიური გაერთიანებები ვალდებულები არიან სააგენტოს წარუდგინონ ხარჯთაღრიცხვის პროგრამის შესაბამისი თანხის ხარჯვის შუალედური და საბოლოო ანგარიში.

შესაბამისად, კომპენსაციის მიმღებ სუბიექტებს, სახელმწიფოს მიმართ აკისრიათ სახელშეკრულებო ვალდებულებები, სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში, წარადგინონ გაცემული კომპენსაციის ხარჯვის ანგარიში. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ხელშეკრულებების თანახმად, სააგენტო ასევე უფლებამოსილია, ჩაატაროს წარმოდგენილი ანგარიშების აუდიტორული შემოწმება. იმ შემთხვევაში, თუ აუდიტორული დასკვნა გამოავლენს ხელშეკრულების პირობების დარღვევით ხარჯვის შემთხვევებს, სახელმწიფო შეწყვეტს დაფინანსება მიმდინარე წელს.

შესაბამისად, საქართველოს საპატრიარქოსგან განსხვავებით, სახელმწიფოს გააჩნია სხვა რელიგიური ორგანიზაციების მიერ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ეფექტური სამართლებრივი კონტროლის მექანიზმი. თუმცა, პრაქტიკაში რამდენად ხდება აღნიშნული მექანიზმების გამოყენება, ამ საკითხის სრულყოფილად შესწავლა კვლევის ფარგლებში ვერ მოხერხდა. EMC-იმ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ორჯერ მიმართა საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით, ისლამური, იუდეური, რომაულ-კათოლიკური და სომხური სამოციქულო აღმსარებლობის მქონე რელიგიური გაერთიანებების მიერ სააგენტოსთვის წარდგენილი ხარჯთაღრიცხვის პროგრამისა და პროგრამის ხარჯვის ანგარიშის/შუალედური ანგარიშის შესახებ. EMC-იმ სააგენტოდან საჯარო ინფორმაციის მიღება ვერ შეძლო. აქედან გამომდინარე, უცნობია, დეტალურად, რა მიზნობრიობით გაიხარჯა რელიგიური ორგანიზაციებისთვის გადაცემული ფინანსური სახსრები, ან ხორციელდება თუ არა სააგენტოს მიერ რელიგიური ორგანიზაციებისგან დეტალური ხარჯვის ანგარიშების მოთხოვნა ან/და აუდიტორული შემოწმება.

7. რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების არსებული მოდელის სამართლებრივი შეფასება

7.1. მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსების პრაქტიკის სამართლებრივი შეფასება

სახელმწიფო მართლმადიდებელი ეკლესიის სისტემურ დაფინანსებასა და მისთვის სხვადასხვა სახის ბენეფიტების მინიჭებას, საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმებით ამართლებს. კონსტიტუციური შეთანხმების მე-11 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ადასტურებს XIX-XX საუკუნეებში (განსაკუთრებით 1921-1990 წლებში), სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში, ეკლესიისათვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტს. როგორც ჩამორთმეული ქონების ნაწილის ფაქტობრივი მფლობელი კი, იღებს ვალდებულებას მატერიალური ზიანის ნაწილობრივ კომპენსაციაზე. თუმცა, მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსების არსებული პრაქტიკის დასაბუთება კონსტიტუციური შეთანხმებით გაუმართლებელია, რადგან მიმდინარე დაფინანსება არ ხორციელდება კონსტიტუციური შეთანხმებით განსაზღვრული პირობებით. კერძოდ, კონსტიტუციური შეთანხმება ზიანის ანაზღაურების პირობის ამოქმედებას კონკრეტული პირობების შესრულებას უკავშირებს, რომელიც სახელმწიფოს არ განუხორციელებია. უფრო კონკრეტულად, კონსტიტუციური შეთანხმების მე-11 მუხლის მეორე პუნქტი უთითებს, რომ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხის შესწავლის, კომპენსაციის ფორმების, რაოდენობის, ვადების, ქონების ან მიწის გადაცემისა და სხვა დეტალების დასადგენად, პარიტეტულ საწყისებზე იქმნება კომისია (ამ შეთანხმების ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში), რომელიც მოამზადებს შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტებს. როგორც კონსტიტუციური შეთანხმების მე-11 მუხლის სამართლებრივი ანალიზი აჩვენებს, მუხლის პირველი პუნქტი თვითშესრულებადი ნორმა არ არის და შეთანხმება მის გამოყენებას სახელმწიფოს მიერ შესაბამისი პროცედურების განხორციელებას უკავშირებს. პარლამენტის დადგენილება შეთანხმების დამტკიცების შესახებ მე-11 მუხლის დებულებათა განხორციელების მიზნით საქართველოს პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფის მიერ პარლამენტის კომიტეტებთან ერთად, შესაბამისი საკანონმდებლო აქტების შემუშავებასა და საგაზაფხულო სესიის დასრულებამდე საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენას ითვალისწინებდა.

ამის მიუხედავად, შეთანხმებით გათვალისწინებულ პარიტეტულ საწყისებზე შექმნილ კომისიას, რომელსაც ეკლესიისთვის გადასაცემი კომპენსაციის ოდენობის, ფორმების, ვადების და სხვა წესები უნდა დაედგინა, რეალურად არასდროს უმუშავია და არც რელევანტური ნორმატიული აქტების პროექტები მოუშვებია, რომელიც მათი მიღების/დამტკიცების შემდეგ, ეკლესიის დაფინანსების სამართლებრივი საფუძველი გახდებოდა.

ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) მიერ ჩატარებული კვლევა⁴⁵ აჩვენებს, რომ სახელმწიფოს მიერ კონსტიტუციური შეთანხმებით შექმნილ სხვადასხვა პარიტეტულ კომისიას მხოლოდ ნომინალური დანიშნულება ჰქონდა და რაიმე ტიპის გადანაცვტილება არასდროს მოუღია. კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 7 იანვრის №1 ბრძანებულებით განისაზღვრა საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა უზრუნველყოფი კომისიების შექმნა. ბრძანებულებით დადგენილი იყო, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში, ეკლესიისთვის მიყენებული მატერიალური ზიანის ნაწილობრივი კომპენსაციის საკითხებთან დაკავშირებით მოქმედი ერთობლივი კომისიის შექმნა. თუმცა, აღნიშნულ კომისიას რეალურად არ უშუშავია და არც შესაბამისი გადანაცვტილებები მიუღია. პრეზიდენტის 2003 წლის 7 იანვრის ბრძანებულება 2012 წლის 21 თებერვალს გაუქმდა და ნაცვლად ამისა, 2012 წლის 21 თებერვალს, საქართველოს მთავრობამ მიიღო #63 დადგენილება „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული საკითხების განხილველი სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“, რომელმაც განსაზღვრა კომისიის დებულება და სამუშაო ჯგუფების შემადგენლობები. კომისიის მიერ შექმნილ რვა სამუშაო ჯგუფს შორის, ორ სამუშაო ჯგუფს ქონებრივი საკითხების განხილვისა და ეკლესიის ეკონომიკური საქმიანობისათვის შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნისა და XIX და XX სს-ში (საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში) ეკლესიისათვის მიყენებული ზარალის დადგენის საკითხებზე მუშაობა დაევალა. თუმცა, აღნიშნულ სამუშაო ჯგუფებს არ უშუშავიათ და კომისიას არ მიუღია კონკრეტული გადანაცვტილებები.

ამდენად, 2002 წლიდან, სახელმწიფოს მიერ საბიუჯეტო სახსრებიდან ეკლესიის დაფინანსება ზიანის ანაზღაურების გაანგარიშებისა და კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული მოსამზადებელი ღონისძიებების განხორციელების, მათ შორის, შესაბამისი ნორმატიული აქტების (ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძვლის დამდგენი ნორმატიული აქტების) მიღების გარეშე დაინყო.

ნიშანდობლივია ისიც, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის კანონები, ისევე როგორც სხვა სამართლებრივი დოკუმენტები, რომელთა საფუძველზეც ეკლესიისთვის ხორციელდება საბიუჯეტო სახსრების გადაცემა, არ აკეთებს რაიმე სახის მითითებას კონსტიტუციური შეთანხმების ან სხვა სამართლებრივი აქტების პირობებზე. შესაბამისად, ეკლესიის დაფინანსება კონსტიტუციური შეთანხმებით დადგენილი სამართლებრივი ჩარჩოს გარეთ, მეტიც, მის საწინააღმდეგოდ ხორციელდება. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური პოზიცია/შეფასება, რომ 2002 და შემდგომი წლების წლიური ბიუჯეტებიდან საქართველოს საპატრიარქოსთვის თანხის გამოყოფა საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიებების დაფინანსების მიზნით ხორციელდებოდა, სამართლებრივად დაუსაბუთებელი და კონკრეტულ ნორმატიულ საფუძველს მოკლებულია.

45 „რელიგიური დისკრიმინაციისა და კონსტიტუციური სეკულარიზმის კვლევა საქართველოში“, თბილისი 2014. ხელმისაწვდომია: <http://tdi.ge/sites/default/files/religiuri-diskriminaciisa-da-konstituciuri-sekularizmis-kvleva.pdf>

ასევე, მართლმადიდებელი ეკლესია საჯარო განცხადებებში უთითებს, რომ ის დაფინანსებას ზიანის ანაზღაურების/კომპენსაციის საფუძველზე იღებს. თუმცა, სახელმწიფოსა და ეკლესიის საჯარო პოზიციონირების საპირისპიროდ, ეკლესიის დაფინანსების პრაქტიკის სამართლებრივი ანალიზი აჩვენებს, რომ რეალურად ეკლესიისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან და სხვა საბიუჯეტო სახსრებიდან გადაცემული დაფინანსება სამართლებრივ და ფაქტობრივ კავშირში არ არის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მისთვის მიყენებულ ზიანთან. შესაბამისად, 2002 წლიდან დღემდე, მართლმადიდებელი ეკლესიისთვის დაფინანსების გადაცემა ხორციელდებოდა კონსტიტუციური შეთანხმებით განსაზღვრულ სამართლებრივ ჩარჩოებს გარეთ, მხოლოდ სახელმწიფოს პოლიტიკური ნების საფუძველზე, რაც სახელმწიფოს მხრიდან თვითნებობისა და სეკულარიზმის კონსტიტუციური პრინციპის დარღვევის მაღალ რისკებს ქმნის.

7.2. ოთხი რელიგიური გაერთიანების დაფინანსების პრაქტიკის სამართლებრივი შეფასება

გემოთ ნახსენები 2014 წლის 27 იანვრის #117-ე დადგენილების შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ აღიარა საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს (შემდგომში – საბჭოთა რეჟიმის დროს) მიყენებული ზიანი და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე, გამოაცხადა მზადყოფნა ისლამურ, იუდეურ, რომაულ-კათოლიკურ და სომხური სამოციქულო აღმსარებლობის მქონე რელიგიური გაერთიანებებს აუნაზღაუროს მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანი. იმის მიუხედავად, რომ საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს, დიდი ზიანი მიადგათ საქართველოში არსებულ სხვა რელიგიურ ორგანიზაციებსაც, რელიგიური ორგანიზაციების (თემების) შერჩევა, სახელმწიფოსგან შესაბამისი კომპენსაციის მისაღებად, წინასწარი ობიექტური კრიტერიუმების შეფასებისა და კვლევის გარეშე განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ 2014 წლის 10 დეკემბერს, სსიპ საქართველოს სახარების რწმენის ეკლესიამ კონსტიტუციური სარჩელით⁴⁶ მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. მოსარჩელე ეკლესიის ინტერესებს საკონსტიტუციო სასამართლოში „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ იცავს. მოსარჩელე ეკლესია ითხოვს, საქართველოს მთავრობის 117-ე დადგენილების იმ ნორმათა არაკონსტიტუციურად ცნობას კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით, რომელიც გამორიცხავს ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას იმ რელიგიური ორგანიზაციებისთვის, რომელთაც ასევე მიადგათ ზიანი საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს. ამასთან, მოსარჩელე მხარე სადავოს ხდის დადგენილების იმ ჩანაწერს, რომელიც მორალური და მატერიალური ზიანის სიმბოლურ ანაზღაურებას ითვალისწინებს. მისი მტკიცებით, ზიანის ოდენობის განსაზღვრა დადგენილებით არ ხდება ობიექტური, სამართლიანი და ზიანთან დაკავშირებული კრიტერიუმებით, რის გამოც, რელიგიური ორგანიზაციების ყოველწლიურ დაფინანსებას იგი მთავრობის პოლიტიკურ ნებას უკავშირებს.

46 სარჩელი ხელმისაწვდომია- <http://constcourt.ge/ge/news/aw-10-26-dekembers-shemosuli-sarchelebi-1477.page>

იმ გარემოებას, რომ სახელმწიფოს მიერ რელიგიური ორგანიზაციებისთვის საბიუჯეტო სახსრების გადაცემით ხორციელდება არა საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურება, არამედ მათი პირდაპირი სუბსიდირება, დამატებით ადასტურებს ე.წ. „ზიანის ანაზღაურების“ მოდელის თავად საქართველოს მთავრობის მიერ შემოთავაზებული განმარტება.⁴⁷ საქართველოს შესახებ რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) ანგარიშზე საქართველოს მთავრობის კომენტარების თანახმად, „2014 წლის 27 თებერვლით დათარიღებული №117 ბრძანებით, 4 რელიგიური გაერთიანების დაფინანსება არ უნდა ჩაითვალოს მიყენებული ზიანისთვის ერთგვარ კომპენსაციად ან რესტიტუციად, არამედ ეს არის სიმბოლური დატვირთვის მატარებელი, ვინაიდან საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პერიოდში მიყენებული ზარალი უცნობია. შესაბამისად, ფინანსური აქტივების რაოდენობის განსაზღვრისათვის საჭირო კრიტერიუმით ვალდისწინებს მოცემულ რელიგიურ ორგანიზაციებთან დაკავშირებით არსებულ გარემოებებს.“⁴⁸ საკონსტიტუციო სასამართლოში სსიპ სახარების რწმენის ეკლესიის საქმის განხილვის დროს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ პირდაპირ მიუთითა, რომ დაფინანსების მიზანი არა საბჭოთა პერიოდში მიყენებული ზიანის ანაზღაურება, არამედ იმ პერიოდში მიყენებული ზიანის, დღესდღეობით არსებული რეალური ეფექტების აღმოფხვრაა.

თანხების გადაცემის მიზნით, სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ რელიგიურ ორგანიზაციებთან საბჭოთა ტოტალური რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივი ანაზღაურების შესახებ ხელშეკრულებები გააფორმა, რომლის თანახმადაც, რელიგიურ გაერთიანებებს დაეკისრათ ვალდებულება მათთვის კომპენსაციის სახით გადაცემული თანხები, წინასწარ, სააგენტოს მიერ დადგენილი მიზნობრივობით დაეხარჯათ.⁴⁹ ხელშეკრულების დადებიდან ერთი თვის ვადაში, რელიგიური გაერთიანებები ვალდებული იყვნენ,

47 შენიშვნა: საქართველოს მთავრობის N117-ე დადგენილების მსგავს ინტერპრეტაციას ახორციელებენ სსიპ „რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს“ წარმომადგენლები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესიის მიერ წარდგენილი სარჩელის განხილვაზე.

48 ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ მოხსენება საქართველოს შესახებ (მონიტორინგის მეხუთე ციკლი) გვ. 76 პ.27 ხელმისაწვდომია <http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/Country-by-country/Georgia/GEO-CbC-V-2016-002-GEO.pdf>

49 აღსანიშნავია, რომ სსიპ სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველოს, რომელიც საქართველოში ისლამის შიიტურ ფრთას წარმოადგენს უარი ეთქვა კომპენსაციის მიღებაზე, რამდენადაც აღნიშნული ორგანიზაცია, 117-ე დადგენილების შესაბამისად, არ გაერთიანდა სხვა მუსლიმურ ორგანიზაციებთან წარმომადგენლობით საბჭოში, რომლებიც წარმოადგენდნენ სუნიტ მრევლს. სსიპ სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესმა სასულიერო სამმართველომ, მითითებული გარემოების გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლოში წარადგინა სარჩელი. სარჩელის თანახმად, ქრისტიანულ ჯგუფებთან შედარებით, მუსლიმური ჯგუფის მიმართ ადგილი აქვს კონსტიტუციის მე-14 მუხლით აკრძალულ დისკრიმინაციულ მოპყრობას, რადგანაც მთავრობის დადგენილება დაფინანსების მისაღებად ქრისტიანულ რელიგიებს არ ავალდებულებს ერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნას. ასევე, სარჩელის თანახმად, მეშვიდე საუკუნიდან გაყოფილი ორი მუსლიმური მიმდინარეობისათვის ერთ ორგანიზაციაში გაერთიანების მოთხოვნა და ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო, დაფინანსებაზე უარის თქმა, არის რწმენის და გაერთიანების თავისუფლების დარღვევა. საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებულია გაერთიანების თავისუფლება, ხოლო კონსტიტუციის მე-19 მუხლით - რწმენის თავისუფლება. შესაბამისად, სსიპ სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო ითხოვს საქართველოს მთავრობის N117-ე დადგენილების იმ ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელიც მას საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით, სხვა მუსლიმურ ორგანიზაციებთან გაერთიანებას აიძულებს.; <https://gyla.ge/ge/post/saia-sakhelmtsifo-biujetidan-muslimbis-diskriminacili-dafinansebis-tsess-sakonstitucio-sasamartloshi-asachivrebs>

სააგენტოსთვის წარედგინათ ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის პროგრამა. ხელშეკრულებების თანახმად, სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში, რელიგიური გაერთიანებები ვალდებული არიან სააგენტოს წარუდგინონ ხარჯთაღრიცხვის პროგრამის შესაბამისი თანხის ხარჯვის შუალედური და საბოლოო ანგარიში. სააგენტო ასევე უფლებამოსილია, ჩაატაროს წარმოდგენილი ანგარიშების აუდიტორული შემოწმება. ხელშეკრულების პირობების დარღვევით ხარჯვის შემთხვევაში, ხელშეკრულება ითვალისწინებს მიმდინარე წლის დაფინანსების შეწყვეტას.

დაფინანსების ეს პრაქტიკა სახელმწიფოს აძლევს რელიგიური ორგანიზაციების კონტროლის შესაძლებლობას. ოთხი რელიგიური თემის დაფინანსების პრაქტიკა აჩვენებს, რომ მათთვის წლიურად გადასაცემი თანხების ოდენობასა და პერიოდს მთლიანად სააგენტო განსაზღვრავს. ხარჯვის მიზნობრიობის თაობაზე სახელშეკრულებო პირობების დარღვევის შემთხვევაში კი, სახელმწიფო დაფინანსების შეწყვეტის უფლებას იტოვებს, რაც ზიანის ანაზღაურების პრინციპთან ცალსახა წინააღმდეგობაში მოდის.

რელიგიური ორგანიზაციების კონტროლის ინტერესის თაობაზე ეჭვებს აძლიერებს ის გარემოება, რომ სახელმწიფომ დაფინანსების დიდი ნაწილი სწორედ მუსლიმურ რელიგიურ ორგანიზაციებზე მიმართა. მაშინ, როცა სხვა ორგანიზაციებს ასევე მწვავედ უდგათ საკულტო ნაგებობების დაუბრუნებლობის გამო მიყენებული ზიანისა და მათი შენარჩუნება-რესტავრაციის პრობლემა. უკანასკნელ წლებში, ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით სერიოზული პრობლემები მთავრობას სწორედ ამ თემში შეექმნა და დიდია ალბათობა, რომ სახელმწიფოს სწორედ მათი კონტროლის ინტერესი ჰქონდეს. ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ მუსლიმი თემისთვის გაცემული თანხის 75% სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოსა და საქართველოს მუსლიმთა გაერთიანების ღვთისმსახურების რჩენაზე იხარჯება, რაც, ფაქტობრივად, აღნიშნული პირების დაქვემდებარებისა და კონტროლის პირდაპირი ფორმაა. ხაზგასასმელია, რომ არსებობს დასაბუთებული კითხვები სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს დაარსების პროცესში სახელმწიფოს უშუალო მონაწილეობის თაობაზე.⁵⁰

ამდენად, ოთხი რელიგიური ორგანიზაციის დაფინანსების არსებული მოდელი სახელმწიფოს მხრიდან რელიგიური გაერთიანებებისთვის გადაცემული თანხების ხარჯვის შემაშფოთებლად ინტენსიურ კონტროლს ითვალისწინებს. ეს კი შეიცავს რელიგიური გაერთიანებების დამოუკიდებლობასა და ავტონომიაში ჩარევის მაღალ რისკებს. იმ პირობებში, როცა მთავრობა, ფორმალურად, ოთხი რელიგიური ორგანიზაციის დაფინანსებას საბჭოთა პერიოდში მიყენებული ზიანის ანაზღაურებას უკავშირებს, განსაკუთრებით გაუგებარია კომპენსაციის მოდელში ბენეფიციარების როგორც მესაკუთრეების თავისუფლებაში ჩარევა და ხარჯვის კონტროლის დაწესება. დადებული ხელშეკრულებების პირობები აჩვენებს, რომ სახელმწიფოს ინტენსიურად ერევა გამოყოფილი თანხების მიზნობრიობის განსაზღვრაში, ასევე რელიგიური ორგანიზაციების ყოველდღიური საბუღალტრო-ფინანსურ და პოლიტიკის განმსაზღვრელ საქმიანობაში, რაც რელიგიურ ორგანიზაციებთან ურთიერთობის დაუშვებელი ფორმაა.

50 <http://emc.org.ge/2015/11/26/interviu-mirtag-asadovtan/>

7.3. დაფინანსების მოდელების შემაჯამებელი შეფასება

საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლი აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას. ამასთან, იგი აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის (შემდგომში ეკლესიის) განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან. აღნიშნული მუხლის მეორე პუნქტი უთითებს, რომ საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით. თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში.

ზოგადად, კონსტიტუციური შეთანხმებებით, ეკლესიებსა და სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის რეგულირება მიღებული პრაქტიკაა სხვა ევროპულ ქვეყნებშიც. ეკლესიის განსაკუთრებული ისტორიული როლის აღიარება სამართლებრივად პრობლემას არ ქმნის. თუმცა, მსგავს აღიარებას თან არ უნდა სდევდეს დისკრიმინაციული შედეგი სხვა რელიგიური ორგანიზაციების მიმართ. ასევე, იგი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში.

2002 წლიდან, სახელმწიფოს მიერ საბიუჯეტო სახსრებიდან ეკლესიის პირდაპირი დაფინანსების განხორციელება დაიწყო, რაც კომპენსაციის ფორმას არ წარმოადგენდა, რადგან ეკლესიის დაფინანსება ზიანის ანაზღაურების გაანგარიშებისა და კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული მოსამზადებელი ღონისძიებების განხორციელების, მათ შორის, შესაბამისი ნორმატიული აქტების (ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძვლის დამდგენი ნორმატიული აქტების) მიღების გარეშე დაიწყო.

2002 წლიდან დღემდე მიღებული, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის ტექსტების ანალიზი ცხადყოფს, რომ სახელმწიფოს პირდაპირი დაფინანსების პოლიტიკა თანმიმდევრულია. 2002 წლიდან 2016 წლის ჩათვლით, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის საფუძველზე, ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს საპატრიარქოსათვის გამოყოფილმა პირდაპირმა დაფინანსებამ 235 672 200 ლარი შეადგინა. 2009 წლიდან 2013 წლამდე, ყოველწლიურად გამოყოფილი თანხები 22–დან 27 მილიონამდე მერყეობდა, ხოლო 2013 წლიდან ქვეყნის მთავარი საფინანსო დოკუმენტი სტაბილურად 25 მილიონს ითვალისწინებს საპატრიარქოს დაფინანსებისათვის. სახელმწიფო ბიუჯეტში საპატრიარქოსთვის გამოყოფილი ფინანსების ოდენობა, ძირითადად, ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

დაფინანსების კომპენსაციის მოდელის სპეციფიკა ის არის, რომ ის ამოწურვადია და რაღაც ეტაპზე, როცა დაანგარიშებული, მხარეებს შორის შეთანხმებული ზიანი ანაზღაურდება, დაფინანსება უნდა შეწყდეს. იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფოს არ დაუანგარიშებია რელიგიური ორგანიზაციებისთვის საბჭოთა პერიოდში მიყენებული ზიანის ოდენობა და არ

დაუდგენია მისი გადახდის წესი, რელიგიური ორგანიზაციები, განსაკუთრებით კი საქართველოს საპატრიარქო, პირდაპირი დაფინანსების წესით, დიდი ოდენობის ფინანსურ და სხვა მატერიალურ მოგებას იღებს, რომლის გამართლება საბჭოთა პერიოდში მიყენებული ზიანით სამართლებრივად და ფაქტობრივად შეუძლებელია. ამ პირობებში, ცხადია, რომ შეუძლებელია კომპენსაციის რაიმე ეტაპზე ამოწურვის ან გადაჭარბების საკითხზე მსჯელობა. მიყენებულ ზიანთან ერთად, ასევე არ ხორციელდება იმ ქონების შეფასება, რომელიც საკუთრებაში გადაეცემა საქართველოს საპატრიარქოს. ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება უკვე კომპენსირებული ზიანის შემდგომში შეფასებაც.

სახელმწიფოს მიერ რელიგიური ორგანიზაციებისთვის ყოველწლიურად გადახდილი დაფინანსების ოდენობა არ ეფუძნება რაიმე ობიექტურ, განჭვრეტად და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ კრიტერიუმს. ამავდროულად, არ ხორციელდება მისი ოდენობის განსაზღვრა რელიგიური ორგანიზაციების საჭიროებების შემოწმებისა და კონკრეტული თანხების ადეკვატურობის დადგენის პროცედურებითაც კი. შესაბამისად, რელიგიური ორგანიზაციებისთვის კომპენსაციის სახით გადასაცემი თანხების ოდენობა ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული, რაც სეკულარობის პრინციპთან მოდის წინააღმდეგობაში.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციურმა შეთანხმებამ და საქართველოს მთავრობის N117-ე დადგენილებამ რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების კომპენსაციური/რესტიტუციური მოდელი განსაზღვრა, რეალურად, რელიგიური ორგანიზაციები სახელმწიფოსგან პირდაპირ დაფინანსებას იღებენ. ეს არღვევს რელიგიური ორგანიზაციებისა და სახელმწიფოს სეპარაციის პრინციპს, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპიდან, ასევე საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლისა და კონსტიტუციური შეთანხმების 1-ლი მუხლიდან გამომდინარეობს.

7.4. სეკულარიზმის სამართლებრივი პრინციპის მიმოხილვა

სეკულარიზმის, როგორც რელიგიის თავისუფლების დაცვის სფეროში არსებული პრინციპის საყოველთაოობას ცხადყოფს საერთაშორისო თუ სხვადასხვა ეროვნული სამართლის მიდგომის მიმოხილვა. დაფინანსების მსგავსი პირდაპირი მოდელის ფარგლებში, სახელმწიფო, ფაქტობრივად, აიძულებს გადასახადის გადამხდელებს, დააფინანსონ სახელმწიფოს პოლიტიკური ნების საფუძველზე შერჩეული რელიგიური ორგანიზაციები, მიუხედავად მოქალაქეების რწმენისა ან კეთილსინდისიერი წინააღმდეგობისა კონფესიური საქმიანობის დაფინანსების მიმართ.

ევროპის სასამართლომ საქმეში „ბესარაბიის მეტროპოლიტენის ეკლესია მოლდოვას წინააღმდეგ“ აღნიშნა, რომ სახელმწიფომ ნებისმიერი საკითხის რეგულირებისას, რომელიც ეხება სხვადასხვა რელიგიურ მიმდინარეობასა და რწმენის სისტემას, უნდა შეინარჩუნოს ნეიტრალიტეტი და მიუკერძოებლობა, რაც, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია სა-

ხელმწიფოში პლურალისტური გარემოს არსებობისათვის და დემოკრატიის ფუნქციონირებისათვის.⁵¹ რელიგიური ორგანიზაციების პრეფერენციების აკრძალვისა და ნეიტრალიტეტის როლი ხაზგასმულია ასევე საქმეში „იეჰოვას მოწმეების რელიგიური ორგანიზაცია და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ“.⁵²

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ გაეროს პაქტის მე-18 მუხლის ზოგადი კომენტარი #22 ამბობს, რომ „რელიგიის სახელმწიფო, ოფიციალურ ან ტრადიციულ რელიგიად აღიარების ფაქტი ან ის, რომ მისი მიმდევრები წარმოადგენენ მოსახლეობის უმრავლესობას, არ უნდა გახდეს პაქტის მე-18 და 27-ე მუხლების დარღვევისა და ამასთან, დისკრიმინაციის საფუძველი, სხვა რელიგიის მიმდევრების ან არამორწმუნე (non-believers) პირების წინააღმდეგ.“

ამასთან, გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტმა საქმეში *Arieh Hollis Waldman v. Canada*, დაადგინა პაქტის 26-ე მუხლის დარღვევა (კანონის წინაშე თანასწორობა) და აღნიშნა, რომ სახელმწიფო სახსრებით კათოლიკური სკოლების დაფინანსება დისკრიმინაციას წარმოადგენდა მაშინ, როდესაც სხვა სკოლებს მხოლოდ კერძო დაფინანსებით შეეძლოთ არსებობა. კომიტეტმა განმარტა, რომ რელიგიური სკოლის დაფინანსება სახელმწიფოს ვალდებულებას არ წარმოადგენს და შესაბამისად, სეკულარული საჯარო განათლების უზრუნველყოფა დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპთან სრულ შესაბამისობაშია. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო გადანაწევრდა რელიგიური სკოლების დაფინანსებას, ეს აუცილებლად უნდა მომხდარიყო რომელიმე რელიგიური ჯგუფის დისკრიმინაციის გარეშე, დიფერენციების შემთხვევაში, ობიექტურ და გონივრულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით.⁵³

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეროვნულ დონეზე რელიგიის ფინანსური მხარდაჭერის იძულების აკრძალვა გამომდინარეობს სხვადასხვა ქვეყნის კონსტიტუციებში განმტკიცებული სახელმწიფოს და ეკლესიის გამიჯვნის პრინციპიდან,⁵⁴ ზოგ შემთხვევაში კი, ამის შესახებ პირდაპირ არის მითითებული კონსტიტუციებში.⁵⁵

ამერიკის უზენაესმა სასამართლომ, ერთ-ერთ საქმეში (*Everson v. Board of Education of the Township of Ewing*), პირდაპირ მიუთითა, რომ ოდენობის მიუხედავად, არანაირი გადასახადი არ შეიძლება დაეკისროს პირს, თუ ის რელიგიური ღონისძიებების ან ინსტიტუციების დასაფინანსებლად იქნება გამოყენებული, რა ფორმითაც არ უნდა არსებობდნენ ისინი.⁵⁶

51 *Metropolitan Church of Bessarabia v. Moldova*, პ. 116

52 *Religionsgemeinschaft der Zeugen Jehovas and Others v. Austria*, პ. 92

53 *Arieh Hollis Waldman v. Canada*, პ. 10.6

54 Norman Doe, *Law and Religion in Europe*, Chapter: Property and Finances of Religion, p. 175

55 მაგ: დანიის კონსტიტუცია; ირლანდიის კონსტიტუცია პირდაპირ კრძალავს გარკვეული რელიგიის პერმანენტულ დაფინანსებას.

56 *Everson v. Board of Education of the Township of Ewing*: Page 330 U. S. 16

ამერიკის უზენაესმა სასამართლომ, საქმეში *Lemon v. Kurtzman*, სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის საფუძველზე და სეკულარიზმის პრინციპზე დაყრდნობით, ზოგადად „რელიგიასთან გადაჭარბებული აფილაცია (entanglement)“ დაუშვებლად მიიჩნია. აღნიშნულ საქმეში, სასამართლომ, სეკულარიზმის პრინციპის დარღვევის გამო, არაკონსტიტუციურად ცნო დაფინანსების სისტემა, რომელიც ნებისმიერ რელიგიურ სკოლაში არარელიგიური საგნების სწავლების დაფინანსებას ეხებოდა, რადგან ეს წესი ქმნიდა სახელმწიფოს მხრიდან თვითნებობის შესაძლებლობას, ჩარეულიყო რელიგიური სკოლების საქმიანობაში, დაფინანსების მიზნობრივი ხარჯვის შემოწმების მიზნით, და ამასთან, არარელიგიური საგნის მასწავლებლებს შეეძლოთ, მიღებული რესურსი რელიგიური მიზნებისათვის გამოეყენებინათ. საქმეში უზენაესმა სასამართლომ ჩამოაყალიბა ტესტი, რომლის მიხედვით, ნებისმიერი კანონი უნდა ეფუძნებოდეს სეკულარულ მიზანს, არ უნდა უჭერდეს მხარს ერთ რომელიმე რელიგიას და ამასთან, „რელიგიასთან გადაჭარბებული აფილაციის (entanglement)“ უნდა გამორიცხავდეს. შესაბამისად, უზენაესმა სასამართლომ ფორმალურად სეკულარული, თუმცა „საფრთხის შემცველი“ დაფინანსებაც კი, კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ გამოაცხადა.

ამერიკის უზენაესმა სასამართლომ, საქმეში *Larson v. Valente*, დაადგინა დისკრიმინაცია რელიგიური ორგანიზაციების მიმართ, ხაზი გაუსვა ნეიტრალიტეტისა და რელიგიების პრეფერენცირების აკრძალვის პრინციპებს, აღიარა კონსტიტუციით დაცული რელიგიის თავისუფლების დარღვევა (non-establishment clause) და აღნიშნა, რომ რელიგიის თავისუფლება გარანტირებული იქნება მხოლოდ თავისუფალი კონკურენციის პირობებში. სასამართლოს მსჯელობის თანახმად, რელიგიის თავისუფლება დაცულია მხოლოდ მაშინ, როდესაც კანონმდებელს და ამომრჩეველს აქვთ ვალდებულება პატარა, ახალი და არაპოპულარული რელიგიების მიმართ საკუთარი რელიგიის ან რწმენის ანალოგიური მოპყრობა აჩვენონ. ამ გადანყვეტილებით რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვას დაუკავშირდა რელიგიის თავისუფლება, ნეიტრალიტეტისა და სეკულარიზმის პრინციპები. გადანყვეტილებაში მკაფიოდ იყო ხაზგასმული ასეთი კანონის სეკულარულ მიზანსა და კრიტერიუმებზე დაფუძნების აუცილებლობა.

სეკულარიზმის პრინციპი რელიგიის თავისუფლების ბუნებრივ შემადგენელ ნაწილად განიხილა კანადის უზენაესმა სასამართლომაც საქმეში *Mouvement laïque québécois v. Saguenay (City)*. სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფო უნდა დარჩეს ნეიტრალური, კერძოდ, მან რომელიმე რწმენის მიმდევრების არც პრეფერენცირება არ უნდა მოახდინოს და არც დააბრკოლოს ისინი. აღნიშნული კი ემსახურება თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოების შენარჩუნებას. გადანყვეტილების თანახმად, თუ სახელმწიფო ემხრობა რელიგიის გარკვეულ გამოხატულებას კულტურული და ისტორიული რეალობის ან მემკვიდრეობის საბაზად მოყვანით, ის არღვევს სახელმწიფოს ნეიტრალიტეტის ვალდებულებას, რომლის თანახმად, საჭარო უფლებამოსილების განხორციელება გარკვეული რელიგიური მიმდინარეობის მხარდასაჭერად დაუშვებელია. აღნიშნულ საქმეშიც, რელიგიის თავისუფლებისა და სეკულარიზმის პრინციპის დაკავშირება მოხდა დისკრიმინაციის აკრძალვასთან.

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ–ერთ საქმეში⁵⁷ მსგავსი პოზიცია დააფიქსირა და აღნიშნა, რომ სახელმწიფოს აკისრია რელიგიური და იდეოლოგიური ნეიტრალიტეტის ვალდებულება. შესაბამისად, ეკლესიას არ შეიძლება სახელმწიფომ გადასცეს სუვერენული უფლებამოსილება იმ ადამიანებზე, რომლებიც მათი წევრები არ არიან. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ ასეთი განხილვის დროს, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს იმ ფაქტს, რომ ეკლესიას პრივილეგირებული სამართლებრივი სტატუსი ჰქონდა ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, სახელმწიფო რელიგია თავისი კლასიკური ფორმით აღარ არსებობს სახელმწიფოსა და რელიგიის გამიჯვნის პირობებში. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე, არაკონსტიტუციურად ცნო აქტი, რომელიც შერეულ ოჯახებში, დასაქმებულ არარელიგიურ პირსაც ავალდებულებდა ეკლესიისათვის გადასახადის გადახდას, თუ მისი მეუღლე ეკლესიის წევრი იყო.

შესაბამისად, საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების თანახმად, დაუშვებელია, სახელმწიფომ გარკვეულ რელიგიურ ჯგუფთან პირდაპირი ასოცირება მოახდინოს და ამით მისი გავლენა მიმართოს ერთი რელიგიური ორგანიზაციის მხარდასაჭერად. სახელმწიფო ძალაუფლება არ უნდა იქნეს გამოყენებული რელიგიების დასაკნინებლად ან მათ გასაძლიერებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობს როგორც რელიგიური ორგანიზაციის სახელმწიფო პოლიტიკაში ჩარევის საფრთხე, ასევე რელიგიური ორგანიზაციის ეკონომიკური დამოკიდებულების შემთხვევაში, თეორიული საფრთხე სახელმწიფოს მიერ რელიგიური ორგანიზაციის ავტონომიაში ჩარევის კუთხით. როგორც კონსტიტუციონალისტი ანდრამ შაიო განმარტავს: „სეკულარული და საეკლესიო კონტროლის გაერთიანება გაუტოლდება ტირანიას, იმის მიუხედავად ამ ერთეულებიდან რომელს ექნება აბსოლუტური ძალა.“⁵⁸

რა თქმა უნდა, სეკულარიზმის პრინციპი არ გულისხმობს რელიგიური ორგანიზაციებისათვის მიმართული ყველანაირი დაფინანსების დაუშვებლობას. რელიგიური ორგანიზაციის დაფინანსება შეიძლება ლეგიტიმურად ემსახურებოდეს საჯარო ფუნქციის შესრულებას, მათ შორის, რელიგიის თავისუფლებით სარგებლობის გარანტიების დაცვას, რისი კარგი მაგალითიცაა კაპელანის ინსტიტუტი.⁵⁹ ამასთან, მიღებულია რელიგიური განათლების დაფინანსებაც საჯარო სკოლებში, რომლის ფარგლებშიც, სხვადასხვა დენომინაციის წარმომადგენელი მასწავლებლები ფინანსდებიან რელიგიური გაკვეთილების ჩატარებისათვის.⁶⁰ მაგალითად, უნგრეთში იურიდიული სტატუსის მქონე რელიგიური ორგანიზაციები ფინანსდებიან სახელმწიფო ინსტიტუციების მსგავსად და მათ თანაბრად, საგანმანათლებლო, სოციალური და ჯანდაცვის კუთხით განხორციელებული ღონისძიებებისათვის.⁶¹ ასეთი საჯარო ფუნქციების შესრულებისას, იურიდიული სტატუსის მქონე რელიგიური ორგანიზაცია, სხვა ტიპის ორგანიზაციების მსგავსად, ანგარიშვალდებულია სახელმწიფოს წინაშე.⁶²

57 Mixed Marriage Church Case (1965), German Constitutional Court

58 ანდრამ შაიო, კონსტიტუციონალიზმი და სეკულარიზმი: საზოგადოებრივი საღი აზრის საჭიროება, გ. 7

59 1905 წლის 19 დეკემბრის საფრანგეთის კანონი, მუხლი 2, რუმინეთის კონსტიტუცია, მუხლი 29.5

60 Norman Doe, Law and Religion in Europe, Chapter: Property and Finances of Religion, p. 182

61 Hungary: LFCRC 1990, Art 19.1

62 Norman Doe, Law and Religion in Europe, Chapter: Property and Finances of Religion, p. 177

აქვე აღსანიშნავია, რომ რელიგიური ორგანიზაციისათვის საჯარო ფუნქციის დელეგირებისას, გათვალისწინებული უნდა იქნეს რელიგიის ბუნება. რელიგიის ბუნებრივი არსი გარკვეული მსოფლმხედველობის გატარება და მისი უზენაესობის მტკიცებაა, რაც სხვა იდეოლოგიებთან ანტაგონისტურ დამოკიდებულებაშია.⁶³ მაგალითად, განათლების უფლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად რელიგიური ორგანიზაციის ფინანსური მხარდაჭერა იმთავითვე ეწინააღმდეგება სახელმწიფოს საჯარო ინტერესისა და ფუნქციის გაგებას, იყოს სახალხო სუვერენიტეტის ინსტრუმენტი. იმის გარდა, რომ ყველა რელიგიას ახასიათებს წინააღმდეგობა სხვებთან, ზოგიერთი მათგანი შეიძლება იყოს დისკრიმინაციული იდეების გამტარებელი, რაც მართალია სახელმწიფოს თავისთავად არ აძლევს საშუალებას, მისი ლეგიტიმურობა შეაფასოს, თუმცა, მაშინ როდესაც ის რელიგიურ ორგანიზაციას საზოგადოებრივ სფეროში დაუშვებს, არათუ უფლებამოსილებას იძენს, არამედ ვალდებულებას კისრულობს, არ გააძლიეროს იდეები, რომლებიც სახალხო სუვერენიტეტს და მის ფუნქციას, როგორც ამის განმახორციელებელ ინსტრუმენტს ეწინააღმდეგება. ამის კარგი მაგალითი შეიძლება იყოს, ისეთი რელიგიური ორგანიზაციების საჯარო უფლებამოსილებებით აღჭურვა, რომლებიც ქალის მორჩილებას ქადაგებენ და რომელთაც ამ უფლებამოსილებების განხორციელებისას აღნიშნული იდეების გატარების საშუალება ეძლევათ.⁶⁴ ამ საკითხებზე მართებული მსჯელობის წინაპირობა, წინასწარი შეთანხმების არსებობაა, რომ სახელმწიფო სახალხო სუვერენიტეტის და სეკულარიზმის გატარებისას, ამასთან დისკრიმინაციის აკრძალვის უზრუნველყოფისას, რომელიმე იდეოლოგიას, ან რელიგიების უარყოფას ათეიზმთან დაახლოების ფორმით კი არ ემხრობა, არამედ ინდივიდისა თუ რელიგიური ორგანიზაციისაგან თვისობრივად განსხვავებულ პოზიციაშია და „უსაფრთხო პლურალიზმის“ უზრუნველყოფა წარმოადგენს მის ვალდებულებას და არა არჩევანს. ამ ვალდებულების შესრულებისას, სეკულარიზმი სახელმწიფოს ავალდებულებს, არა წინასწარი ნდობის, არამედ თანაბარი ინდიფერენტულობის ფორმულით მიუდგეს რელიგიებს, რაც მათ ფუნქციონირებისათვის საჭირო ავტონომიურ სივრცეს დაუტოვებს.⁶⁵

სეკულარიზმის პრინციპის ზემოთ მოყვანილი განმარტებები სრულად შეესაბამება თეორიაში არსებულ მიდგომებს, რომელიც სახელმწიფო პოლიტიკაში რელიგიური მოტივების არსებობას არ უარყოფს, თუმცა განმარტავს, რომ ასეთი მოტივების არსებობის საჭიროების მიზეზები მისაღები უნდა იყოს ყველასათვის და ამის დასაბუთება არ უნდა ეფუძნებოდეს

63 Peter Jones, "Religious Belief and Freedom of Expression: Is Offensiveness Really the Issue?," *Res Publica* 17, no. 1 (2011): 88

Jeremy Waldron, *The Harm in Hate Speech* (Cambridge, Mass.: Harvard University Press, 2014), 130.

Silvio Ferrari, Rinaldo Cristofori, and International Consortium for Law and Religion Studies, eds., *Law and Religion in the 21st Century: Relations between States and Religious Communities* (Farnham, Surrey ; Burlington, VT: Ashgate Pub, 2010), 216.

S. Parmar, "The Challenge of 'Defamation of Religions' to Freedom of Expression and the International Human Rights System," *EUROPEAN HUMAN RIGHTS LAW REVIEW*, no. 3 (2009): 6.

64 ანდრამ შაიო, კონსტიტუციონალიზმი და სეკულარიზმი: საზოგადოებრივი სალი აზრის საჭიროება, გ. 19

65 ივთვე, 11, 17–18.

მხოლოდ კონკრეტულ კონფესიაზე და მის ტრანსცენდენტულ მოსაზრებებზე მითითებას.⁶⁶ ამასთან, შესაძლებელი უნდა იყოს მისი „თარგმნა“ ყველასათვის მისაღებ საფუძველზე.

ამ გაგებითაც, სეკულარიზმის პრინციპი ახლოს დგას სახალხო სუვერენიტეტის პრინციპთან, რადგან ის უზრუნველყოფს შეთანხმებას ფაქტზე, რომ საზოგადოების ყველა წევრს აქვს საღად აზროვნების და პოლიტიკურ გადანაცვტილებებში მონაწილეობის უნარი და ეს მხოლოდ კონკრეტული რწმენის მიმდევრებისათვის არ არის ხელმისაწვდომი.⁶⁸ კონსტიტუციურ სამართალში დამკვიდრებული ეს მიდგომა ეფუძნება ჯონ როულზის „საჯარო გონის“ (public reason) თეორიას, რომელიც ასევე აღიარებს რელიგიურ მოტივს, თუმცა შესაბამის პოლიტიკურ დასაბუთებაში ტრანსფორმირებული ფორმით.⁶⁹

საქმეში Bruno v. Sweden ევროპულმა სასამართლომ დიფერენციაცია მოახდინა რელიგიური ორგანიზაციის მიერ კონფესიური და საჯარო ფუნქციების შესრულებას შორის. სასამართლომ დაშვებულად მიიჩნია მოქალაქეების დაბეგვრა ისეთი ხარჯებისათვის, რომლებიც რელიგიური ორგანიზაციის მიერ არაკონფესიური ფუნქციების შესრულებას, მაგალითად დაკრძალვების ადმინისტრირებას შეეხებოდა და გამოყო ის ისეთი დაფინანსებისაგან, რომელიც გარკვეულ კონფესიურ მიზნებს ემსახურება. მოცემულ შემთხვევაში, საქართველოში, სახელმწიფოს მიერ საქართველოს საპატრიარქოსთვის არც ერთი ისეთი უფლებამოსილების გადაცემა არ განხორციელებულა,⁷⁰ რომელსაც სახელმწიფო რელიგიური ორგანიზაციის საშუალებით ახორციელებს, რაც სეკულარული სახელმწიფოს პირობებში დაშვებული პრაქტიკაა.

ევროპის ქვეყნებში გავრცელებულია გადასახადებისგან დაქვითვის სისტემა იმ პირებისათვის, რომლებიც ნებაყოფლობით გარკვეული ეკლესიის ფინანსურ მხარდაჭერას გადანევენ. ამ შემთხვევაში, პირი ახორციელებს ნებაყოფლობით ფინანსურ კონტრიბუციას, და შესაბამისი ოდენობით გათავისუფლებულია გადასახადისგან სახელმწიფოს წინაშე.⁷¹ მართალია, ასეთ სისტემებშიც, ეკლესიის დაფინანსებისას, სახელმწიფო დასაბეგრი შემოსავლებიდან გამოყოფს თანხას, თუმცა ეს ხდება გონივრული ოდენობით, ეკლესიის წევრების ნებაყოფლობითი გადანაცვტილების შესაბამისად, რაც სახელმწიფოს თვითნებობის რისკებს ამცირებს.

66 Andras Sajó, Preliminaries to a concept of Constitutional Secularism in Constitutional Secularism in an age of Religious Revival, Susanna Mancini and Michael Rosenfeld, p.55

67 ანდრაშ შაიო, კონსტიტუციონალიზმი და სეკულარიზმი: საზოგადოებრივი საღი აზრის საჭიროება, გ. 1

68 იგივე, გ. 2

69 John Rawls, "The Idea of Public Reason Revisited," The University of Chicago Law Review, 1997, 766, , 780, 783, 784, 799, 800

Rex J. Ahdar and I. Leigh, Religious Freedom in the Liberal State, Second edition (Oxford: Oxford University Press, 2013), 63.

70 საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 26 თებერვლის №1/1/618 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - გიორგი კვეკელიძე, ნინო კვეტენაძე და ბესიკი გვენეტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ პ.9

Norman Doe, Law and Religion in Europe, Chapter: Property and Finances of Religion, p. 178

შესაბამისად, დღესდღეობით, საქართველოში მოქმედი რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების პრაქტიკა, მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ რეგულაციას და მხოლოდ სახელმწიფოს პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული. იგი პირდაპირი, არასეკულარული დაფინანსების მოდელად ყალიბდება, რაც შესაძლებელია სახელმწიფოს მიერ კონკრეტული რელიგიური ორგანიზაციების ლოიალობის მოსაპოვებლად იქნას გამოყენებული. ამ ვარაუდს კიდევ უფრო აძლიერებს, 2012 წლამდე, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს საპატრიარქოს დაფინანსების პრაქტიკა, რომელიც ძირითადად პოლიტიკურ კრიზისებს ემთხვეოდა. მსგავს პირობებში, კიდევ უფრო მწვავედება სახელმწიფოს თვითნებობისა და რელიგიური ორგანიზაციების ავტონომიაში ჩარევის ან/და რელიგიური ორგანიზაციების მხრიდან სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრის საფრთხე.

დანართი #1

დასახელება	საიდენტიფიკაციო კოდი	2015 წლის ბიუჯეტის დაფინანსების გეგმა (ათასი ლარი)	2014 წლის ბიუჯეტის დაფინანსების გეგმა (ათასი ლარი)
სასულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტი		14,683.00	14,594.30
ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა სვიმონ კანანელის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრი	430026410	150.00	150
ა(ა)იპ – ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის საგანმანათლებლო ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	245623491	1,768.00	1,858.00
ააიპ საქართველოს საპატრიარქოს, წმიდა ნინოს სახელობის ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატი	436683297	959	958.4
საქართველოს საპატრიარქოს ბათუმის წმიდა მოწამე ეკატერინეს სახელობის სათნოების საგან	248387302	261	260.8
ააიპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრი	448047774	447	446.9
წმიდა გიორგი მთაწმინდელის მონასტერთან არსებული სარეაბილიტაციო ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	236097978	230	230
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისათვის გადასაცემი გრანტი	205233022	2,000.00	2,000.10
ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტისათვის გადასაცემი გრანტი	247865289	2,449.00	2,448.40
ა(ა)იპ – სმენადაქვეითებულ ბავშვთა რეაბილიტაციისა და ადაპტაციის ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	245624294	100	100
საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზიის სუბსიდირების ღონისძიებები	204562990	800	800
ა(ა)იპ – ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიის სასწავლო ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	423351241	500	500
ა(ა)იპ – ფოთის საგანმანათლებლო და კულტურულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი	215148588	653	653.1
ჯამი		25,000.00	25,000.00

დანართი #2

დასახელება	შესრულება 2015 წ. (ლარი)	შესრულება 2014 წ. (ლარი)
მივლინება ქვეყნის შიგნით	7,724.00	10,918.00
მივლინება ქვეყნის გარეთ	4,733.76	1,413.54
თანამდებობრივი სარგო	14,994,041.67	14,772,248.11
პრემია	128,311.56	69,772.65
დანამატი	148,646.24	2,440.92
ჰონორარი	11,710.00	30,120.00
კომპენსაცია	0.00	6,950.00
დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება ფულადი ფორმით	11,348.98	1,242.17
შტატგარეშე მომუშავეთა თანამდებობრივი სარგო	430,261.62	418,692.66
შტატგარეშე მომუშავეთა პრემია	2,436.32	1,837.50
შტატგარეშე მომუშავეთა დანამატი	0	120,333.00
შტატგარეშე მომუშავეთა ჰონორარი	0	625.00
ჯამი	15,739,214.15	15,436,593.55

დანართი #3

	მიმღები სუბიექტი	თანხის ოდენობა 2014 წ. (ლარი)	თანხის ოდენობა 2015 წ. (ლარი)	დანიშნულება
1	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახ. სკოლა-პანსიონი	200000	240000	საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებული საგანმანათლებლო ცენტრისა და სასწავლო დაწესებულებების სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით
2	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა სვიმონ კანანელის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრი ¹	0	150000	საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებული საგანმანათლებლო ცენტრისა და სასწავლო დაწესებულებების სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით
3	ა(ა)იპ - მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური საშუალო სკოლა	0	40000	საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებული საგანმანათლებლო ცენტრისა და სასწავლო დაწესებულებების სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით
4	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ნინოს სახ. სამრევლო სკოლა	0	10 000	საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებული საგანმანათლებლო ცენტრისა და სასწავლო დაწესებულებების სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით
5	ა(ა)იპ - ჩოხატაურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახ. სამრევლო სკოლა	12000	5000	საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებული საგანმანათლებლო ცენტრისა და სასწავლო დაწესებულებების სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით
6	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ლანჩხუთის წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზია	10000	5000	საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებული საგანმანათლებლო ცენტრისა და სასწავლო დაწესებულებების სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით

¹ შენიშვნა: აღნიშნული თანხის გამოყოფა, სავარაუდოდ რუსთავი 2-ზე P.S-ში 2015 წლის 13 დეკემბერს გასულ სიუჟეტს უკავშირდება, რომელიც შეეხებოდა საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებული ბაგა-ზაღებისა და სკოლების მძიმე მდგომარეობას, რამდენადაც სიუჟეტში სხვა დაწესებულებებთან ერთად აღწერილი იყო, წმინდა სვიმონ კანანელის სასწავლო ცენტრის დაქვემდებარებაში მოქმედი ხარაგაულის მეოთხე გიმნაზიაში არსებული გაუსაძლისი პირობებიც. სიუჟეტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე <http://rustavi2.com/ka/video/11358?v=2>

7	ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარია	150000	150000	სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით
8	ა(ა)იპ - ვანისა და ბაღდათის ეპარქიის კულტურისა და სულიერების განვითარების ცენტრი	170000	0	სასწავლო და საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით
9	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	1000000	1000000	სწავლებისა და კვლევითი ხარისხის განვითარების დაფინანსების მიზნით
ჯამი		1542000	1590000	

დანართი #4

ქონების დასახელება	რაოდენობა	ღირებულება (ლარი)	მიზნობრიობა
ტუფის ქვა	230 მ3	1265	ქ. თბილისში, ელიას მთაზე "დიდი ელია წინასწარმეტყველის" სახელობის სამონასტრო ლავრის მშენებლობა, სამგორში, ჭაჭანაძის ქუჩაზე "მთავარანგელოზ მიქაელის" სახელობის ეკლესიის მშენებლობა
ტუფის ქვა, მავთულიანი ბეტონის კონსტრუქცია, ბაზალტის ქვა, რკინა-ბეტონის ფილა, წითელი აგური, აზბესტის მილი, ჯართი (რკინა-ბეტონის)		7650.5	ქ. თბილისში, ელიას მთაზე "დიდი ელია წინასწარმეტყველის" სახელობის სამონასტრო ლავრის მშენებლობა, სამგორში, ჭაჭანაძის ქუჩაზე "მთავარანგელოზ მიქაელის" სახელობის ეკლესიის მშენებლობა
თითბერის გასროლილი ჰილზი	16756.61 კგ	100539.66	მახათას მთაზე მშენებარე ტაძრისთვის
ჯამი		109455.16	

დანართი #5

ქონების დასახელება	რაოდენობა	ღირებულება (ლარი)	მიზნობრიობა
წიწვოვანი ჯიშის მერქნული რესური	13.11	1835.4	მონასტრის მშენებლობა
სამასალე მორი	63183	7737.75	ცამეტი ასურელი მამის სახელობის ეკლესიის მშენებლობა ბაგეზში
სამასალე მორი	99825	18964.12	ცამეტი ასურელი მამის სახელობის ეკლესიის მშენებლობა ბაგეზში
სამასალე მორი	38231	3119.68	მიმდინარე სარემონტო-აღდგენითი სამუშაოებისთვის და ხატწერის სკოლის განვითარებისთვის
სამასალე მორი	146646	27395.26	ხევი-სტეფანწმინდის ეპარქიაში მიმდინარე ახალი სამონასტრო კომპლექსის მშენებლობისთვის
მრგვალი ხე-ტყე (მორი)	99.55	0	სოფ. მოხესა და ჭელაში ახალი სამონასტრო კომპლექსების მშენებლობისთვის და ასევე ზარზმის მონასტერში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის
ფიცარი და ძელი	19.08	8586	ხევი-სტეფანწმინდის ეპარქიაში მიმდინარე ახალი სამონასტრო კომპლექსის მშენებლობისთვის
სამასალე მორი	19.6	3828.6	ქ. თბილისში, დიდი დიდმის წმ. კეთილმსახურ მეფის ვახტანგ გორგასლის ტაძრის მშენებლობა
სამასალე მორი	21.24	0	ჭყონდიდისა და მარტვილის ეპარქიაში ეკლესია-მონასტრების სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები
სამასალე მორი	26	5001.84	დიდი დიდმის 3 მ/რ-ში წმ. კეთილმსახური მეფის ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძრის მშენებლობა
სამასალე მორი	44	8154.5	ჭყონდიდისა და მარტვილის ეპარქიაში ეკლესია-მონასტრების სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები
კრიპტომერიის ხის მორი	93 122	0	არ არის განსაზღვრული
ჯამი		84623.15	

დანართი #6

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი თბილისი, გ.გ. ბრძანაძე II ქუჩა, №1 ტელ/ფაქსი: (+995 32) 2 98 89 52		VICAR OF CATHOLICOS-PATRIARCH OF ALL GEORGIA #1 KING EREKLE II SQ. TBILISI 0105, TEL/FAX: (+995 32) 2 98 89 52
--	---	---

№ 90

19 სექტემბერი, 2014 წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრს
ბატონ ნოდარ ხადურს

ბატონო ნოდარ,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარეობს მახათას მთაზე მშენებარე ტაძრისათვის
აუცილებელი ნივთების დაშვადება, როგორცაა მანძილები, ქაღები, ზარები და სხვა
ძირითადი საშუალებები. ყოველივე ზემოაღნიშნულისათვის გვესჭირება სპეციალური მასალა
– თითბერი.

მოგმართავთ თხოვნით, რათა გაგვიწიოთ დახმარება და საქართველოს საპატრიარქოს
უსასყიდლოდ გადასცეთ თითბერის გასროლილი მასრები, საერთო რაოდენობით 16 756.61 კგ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ.

პატივისცემით,

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი
ბოდბედი ეპისკოპოსი



თბილისი
ეპისკოპოსი ბაკობი
(იაკობიშვილი)

საპატრიარქო ფინანსთა სამსახურის
№ 133606/2014
29 09 2014 წ.

დანართი #7

	დასახელება	რაოდენობა
1	ლეიბი	25
2	ბალიში	25
3	საბანი	25
4	გადასაფარებელი	25
5	სურათი სხვადასხვა	25
6	სასადილო მაგიდა კომპლექტში	10
7	კარადა შუშით	1
8	ფარდა-ქალუზი	7
9	ტუმბო	3
10	რბილი სკამი	2
11	სკამი ნახევრად რბილი	30
12	სკამი საოფისე	4
13	ტუმბო თეთრი	4
14	საწოლი	3
15	დივანი	1
16	საწოლი ხის	22
17	საწოლი (2 ადგილიანი) ყავისფერი	6
18	კომპიუტერის მაგიდა	2
19	მაგიდა	5
20	ტუმბო	4
21	კარადა	13
22	გაზეტურა "ბეკო"	1
23	გაზეტურა "ვესტელი"	1
24	სარეცხის მანქანა "სამსუნგი"	1
25	ტუმბო ლურჯი	10
26	ხალიჩა	4
27	კარადა წიგნების	5
28	ტელევიზორი "ბეკო"	1
29	ტელევიზორი "ჯივისი"	1

30	ტელევიზორი "სამსუნგი"	1
31	ტელევიზორი "ჯენერალი"	1
32	ალუმინის ქვაბი 40 ლიტრიანი	1
33	ალუმინის ქვაბი 50 ლიტრიანი	1
34	ხის სკამი	30
35	გათბობის რადიატორი	10
36	სასადილო მაგიდა	10
37	საუთაო მაგიდა	4
38	ტანსაცმლის საშრობი	4
39	სკამი ხის პანელით	10
40	სალარო სეიფი	1
41	საკიდი საბავშვო	10
42	კარადა სამედიცინო	1
43	საწვავის 10 ტონიანი რეზერვუარი (რ-10)	1
44	2 ერთეული სატრანსპორტო საშუალება, SAME SOLARIS 55 (ბორბლიანი ტრაქტორი, რეგისტრაციის ნომერი : AA652B, გამოშვების წელი - 2006, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი: NS05S474WT10494, ძრავის საიდენტიფიკაციო ნომერი N122105, ფერი - წითელი 6/8); SAME SOLARIS 55 (ბორბლიანი ტრაქტორი,	

დანართი #8

შეუსაბამობები საბიუჯეტო დადგენილებებსა და საჯარო ინფორმაციის სახით გამოთხოვილ დოკუმენტებში მოცემულ ინფორმაციას შორის:

2014 წელი:

ონის მუნიციპალიტეტის ცნობით, გამგეობას რელიგიური ორგანიზაციებისთვის 2014 წელს თანხა არ გამოუყვია. თუმცა, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებაში #46², 2014 წლის ხარჯის ფაქტის გრაფაში, ქვეპროგრამაზე “რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა” (05 04), მითითებულია 17,700 ლარი. 17,800 ლარი იყო გათვალისწინებული 2014 წლის ბიუჯეტის გეგმაშიც (საკრებულოს დადგენილება #23³), ქ. ონში სოფელ ლაჩთის წმ. გიორგის ეკლესიის სარემონტო სამუშაოებისთვის.

მცხეთის თვითმმართველი ერთეულის მუნიციპალიტეტის ცნობით (წერილი #3409), 2014 წელს რელიგიური ორგანიზაციებისთვის დაფინანსება არ გამოყოფილა, თუმცა, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება #45-ში⁴, 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, 2014 წლის ხარჯებში ქვეპროგრამის “რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა” (05 03) გასწვრივ მითითებულია, რომ 2014 წელს დაიხარჯა 5,000 ლარი.

ასევე, სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2015 წლის საბიუჯეტო დადგენილების⁵ ქვეპროგრამაში “რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (05 04), 2014 წლის ხარჯვით ნაწილში წერია, რომ მუნიციპალიტეტმა ამ ქვეპროგრამის ფარგლებში დახარჯა 5,000 ლარი, საჯარო ინფორმაციის სახით მოწოდებულ დოკუმენტში კი (წერილი #05/1776), წერია, რომ 2014 წელს სულ საპატრიარქოსთვის გადაირიცხა ამ თანხის ნახევარი, 2,300 ლარი.

არის შემთხვევა, როდესაც საჯარო ინფორმაციაში მითითებული თანხის ოდენობა საბიუჯეტო დადგენილებაში ფიქსირებულ თანხას აღემატება. მაგალითად, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება #39-ის⁶ მიხედვით, 2014 წელს, ქვეპროგრამისთვის “რელიგია” (05 04) 33, 500 ლარი დაიხარჯა. ამ თანხაზე 2,000 ლარით მეტი, 35,000 ლარია მითითებული 2014 წლის გეგმაში (იხ. 2014 წლის საბიუჯეტო დადგენილება⁷), რომლითაც გათვალისწინებული იყო - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფელ ფოკის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის ელ. ენერგიისა და გათბობის საწვავის ხარჯები, აგრეთვე, ქ. ნინოწმინდის წმინდა სარქისის ეკლესიის დახმარება. თუმცა, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის წერილში (#45/16) მითითებული მონაცემების მიხედვით, 2014 წელს დაიხარჯა ოფიციალურად ფიქსირებულ თანხაზე დაახლოებით, 10,000 ლარით მეტი, 46, 600 ლარი.

ზოგი მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო დადგენილებაში გათვალისწინებულია ეკლესია-მონასტრების დახმარება, თუმცა თანხის ოდენობა დაკონკრეტებული არ არის. მაგალითად, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება #37-ში⁸, მითითებულია, რომ “რელიგიის”

² ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N46, 2014 წლის 25 დეკემბერი
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2651240>

³ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N23, 2013 წლის 12 დეკემბერი
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2123979>

⁴ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N45, 2014 წლის 25 დეკემბერი
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2653222>

⁵ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N 43, 2014 წლის 19 დეკემბერი
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2638474>

⁶ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N 39, 2014 წლის 24 დეკემბერი
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2648896>

⁷ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N14 2013 წლის 24 დეკემბერი
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2154204>

⁸ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N37, 2014 წლის 29 დეკემბერი
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2662847>

პროგრამის ფარგლებში 2015 წელს განხორციელდება ეკლესია-მონასტრების ფინანსური დახმარება. თუმცა, დოკუმენტში არსად არის დაკონკრეტებული, რა ოდენობის თანხის გამოყოფას გეგმავს მუნიციპალიტეტი (საჯარო ინფორმაციის სახით მოწოდებული დოკუმენტების მიხედვით, 2014 წელს მუნიციპალიტეტმა ამ მიზნით 44, 700 ლარი გამოყო).

2015 წელი:

შეუსაბამობები აღმოჩნდა, ასევე, 2015 წლის მუნიციპალიტეტების მიერ რელიგიური ორგანიზაციების ქვეპროგრამის ფარგლებში ფიქსირებული ხარჯების და საჯარო ინფორმაციის სახით მიღებული მონაცემების ანალიზისას.

მაგალითად, თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება #54-ში⁹ 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, 2015 წლის ხარჯებში ქვეპროგრამის „რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა“ (05 03) გასწვრივ მითითებულია, რომ 2015 წელს, 44, 300 ლარი დაიხარჯა, ხოლო თიანეთის მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული წერილის (#21/40) მიხედვით, დაიხარჯა 49, 325, 41 ლარი.

ასევე, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილებაში¹⁰ ქვეპუნქტის „რელიგია“ (05 07) გასწვრივ ჩანს, რომ 2015 წელს დაიხარჯა 34 300 ლარი, ხოლო ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ცნობით (წერილი #82/15), 2015 წელს დახარჯულია 35, 720,63 ლარი.

ზოგჯერ, საჯარო ინფორმაციის სახით მოწოდებულ წერილში იმაზე ნაკლები თანხაა მითითებული, ვიდრე ამა თუ იმ საბიუჯეტო დადგენილებაში ფიქსირებული ხარჯი.

მაგალითად კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება #35-ში¹¹, ქვეპროგრამის „რელიგიური ღონისძიებების ხელშეწყობა“ (05 02 06) გასწვრივ, მითითებულია, რომ 2015 წელს 22,000 ლარი დაიხარჯა, მაგრამ, კასპის მუნიციპალიტეტის მიერ გამოგზავნილი წერილის (#2/324) თანახმად, დაიხარჯა 20,000 ლარი.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება #30-ში¹², ქვეპუნქტის „რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა“, 2015 წლის ხარჯის ფაქტის გრაფაში მითითებულია 8,000 ლარი, თუმცა, ლენტეხის მუნიციპალიტეტის ცნობით (წერილი #03-597), 2015 წელს მუნიციპალიტეტს თანხა რელიგიური ორგანიზაციებისთვის არ გამოუყვია.

⁹ თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N54 2015 წლის 29 დეკემბერი
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3134819>

¹⁰ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N24, 2015 წლის 30 დეკემბერი
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3140474>

¹¹ კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N35, 2015 წლის 20 ნოემბერი
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3060189>

¹² ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N30, 2015 წლის 30 დეკემბერი
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3142857>

დანართი #9



პროც. (ფასები ქონების) საკუთრ. კოდი N 67.00.021

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882014431623 - 14/08/2014 11:27:14

შომშადების თარიღი
14/08/2014 17:18:14

საკუთრების განყოფილება

მონა	სექტორი	ხაზოვანი ობიექტი	ობიექტის გიში: საკომუნიკაციო ნაგებობა ობიექტის აღწერა: გადამსასვლელი ხიდი (მშენებარე) ობიექტის სიგრძე: 386.43 მ. დაფარვის მონა: ქალაქი კასპი, გიორგი სააკაძის ქუჩა საკუთრების გიში: საკუთრება დამატებითი მასასიათებლები: წინა საკადასტრო კოდი:
67	00	021	

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882012095243 , თარიღი 07/03/2012 11:11:02
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 07/03/2012

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა № 1865 , დამოწმების თარიღი: 29/01/2010 , საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო
- სელშეკრულება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და საქართველოს საპატრიარქოს შორის 2009 წლის 30 დეკემბერს გაფორმებულ ნასყიდობის სელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე , დამოწმების თარიღი: 20/02/2013 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- ნასყიდობის სელშეკრულება N090909835 , დამოწმების თარიღი: 30/12/2009 , ნოტარიუსი ლ. პუტურიძე

მესაკუთრეები:

საქართველოს საპატრიარქო, ID ნომერი: 204395537

მესაკუთრე:

საქართველოს საპატრიარქო

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

